ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 16 აპრილი 2002 №66 (1588) | ფასი 50 თეთრი


# ლოკომოტივს ცხადაძე ჩახსნეს

## შუშაკის მუშაკობამ დინამო დაამშვიდა



საქართველოს ჩემპიონატის მორიგ ტურში ცეცხლი ბრიალებდა, საკითხავია — როგორი, მაგრამ მაინც... ეპიცენტრი ეროვნული სტადიონი გახლდათ, რომელზეც გამართულ „დინამო" — „ლოკომოტივს" ქართული მასშტაბებით მეტისმეტად ღირებული კითხვა დასტრიალებდა: რას წარმოადგენს სადღეისოდ ივო შუშაკის „დინამო"? ხორვატი მწვრთნელის მუშაობა ჯაბან გუნდებთან მოგებას ჰყოფნის თუ „დინამოს" პრინციპული თამაშების მოგებაც ხელეწიფება? მეორე ვერსია გამართლდა. ემოციებით სავსე თამაშში (ჩხუბიც იყო), შუშაკის ტაქტიკურმა ნიაღსვლებმა კახა ცხადაძისა გადასწონა და შედეგად ახალი სტატუს კვო მივიღეთ: რკინიგ ზელთა კლუბმა შეიძინა მძლავრი ფორვარდი ზაზა ჯანაშია და დაკარგა მთავარი მწვრთნელი — შაბათის მატჩის შემდეგ „ლოკომოტივის" და ცხადაძის გ ზები გაიყარა . ივო შუშაკის ხელში კი „დინამომ" აგერ უკვე შვიდი საჩემპიონატო მატჩია, მარცხი არ იცის. ზემოთ ნახსენებ ფორვარდს შაბათს ღირებული არაფერი უკეთებია, რადგან სათამაშო პრაქტიკის უქონლობა რუსეთის კი არა, საქართველოს ჩაჩანაკ ჩემპიონატშიც ფეხბურთელს საქმეს უჭირებს. რამდენიმე მატჩის შემდეგ ძველი ჯანაშიას ნახევარს მაინც უნდა ველოდოთ, მაგრამ ჩემპიონატის დამთავრებამდე მეტი აღარც დარჩა... ხოლო საქართველოს ეროვნული ნაკრები დანარჩენ ქართველობასთან ერთად მორიგ მსოფლიოს ჩემპიონატს ტელევიზორში იხილავს, თან ერთხელაც აუყვება იმ ალმართს, რომლის წვეროსაც ჯერ მხოლოდ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მოხვედრა ჰქვია. ალექსანდრე ჩივაძის ლაშქარი უკვე ეწვია უკრაინას, სადაც 17 აპრილს იქაურებთან ამხანაგურად მოსინჯავს ძალას.

იხილეთ მეორე-მესამე-მეოთხე გვერდები



გურამ ფოლადიშვილის ფოტო

დინამოელებმა ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშია ბურთს არ გაეკარეს

# ხასაიას ხასხასა, კვირკველიას საკვირველი

## ფინური ოქრო-ვერცხლი ქართველებსაც ერგოთ

გარეთ მეტისმეტად ციოდა და ქარი ქროდა, როცა უქმეებზე ფინური სუინაიოკის კარგად დათბილულ საჭიდაო დარბაზში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ევროპირველობა ჩატარდა. აქამდე არცთუ განთქმული ქართველი ფალავნები ამ ამბის მონაწილენი იყვნენ და სამშობლოში ჩინებულ გუნებაზე ბრუნდებიან. ბადრი ხასაია ევროპის ჩემპიონი გახდა, მანუჩარ კვირკველია – ვიცე-ჩემპიონი და გუნდური მე-4 ადგილიც თავისთავად რიგიანი შედეგია. ქართველებს მედლებით მხოლოდ რუსებმა, თურქებმა და ბულგარელებმა გაუსწრეს.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი




REUTERS

მანუჩარ კვირკველიას ოქრო თურქმა სერეფ ეროღლუმ არ დაანება

# ჩივაძემ კიევში გაჭირვებული საქართველო წაიყვანა



ალექსანდრე ჩივაძე

**გუშინ** დილით თბილისიდან ჩარტერული რეისით უკრაინაში გაემგზავრა საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები. ალექსანდრე ჩივაძესა და ვახტანგ კოპალეიშვილს გეგმები დიდად არც შეუცვლიათ. ორივე მწვრთნელმა ფეხბურთელები მოისაკლისა და შესამჩნევად შესუსტებული შემადგენლობით ჩაფრინდნენ კიევში.

ჩივაძის გუნდს ტრავმირებული ლევან ცქიტიშვილიც ვერ დაეხმარება, მას ბუნდესლიგის ბოლო ტურში ფეხი უტკენია და არველაძეების, ქეცბაიას, ნემსაძის, ხიზანიშვილისა და იაშვილის დარად კლუბში დარჩენილა სამკურნალოდ. ეროვნული გუნდის გეგმებს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, „შაწუხოს" თუ არა დანიური „კოპენჰაგენის" ფორვარდი მიხეილ აშვეთია. შუა ევროპაში გადასახლებულ ქუთაისელს სათამაშო პრაქტიკა აკლია და, ალბათ, მწვრთნელებიც ამიტომ იკავებენ თავს, მაგრამ ნაკრებსაც თავდამსხმელი რომ სჭირდება... გუშინ ჩივაძე კიევს 17 ფეხბურთელით ეწვია:

*მეკარეები: დავით გვარამაძე (დინამო), გრიგოლ ჭანტურია (ბათუმი);*

*მცველები: ედიკ საჯაია (ტორპედო, რუსეთი), გელა შეყილაძე (ლიერსი, ბელგია), ალექსანდრე რეხვიაშვილი (სკონტო, ლატვია), გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი (ორივე დინამო), რევაზ ქემოკლიძე გივი დიდავა (ორივე ტორპედო);*

*ნახევარმცველები: გოჩა ჯამარაული (ლუცერნი, შვეიცარია), გიორგი ქინქლაძე (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული (ორივე დინამო), რატი ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი, შვეიცარია), გიორგი დემეტრაძე (ლოკომოტივი, რუსეთი);*

ვახტანგ კოპალეიშვილმა ადრე შერჩეული შემადგენლობა თითქმის შეინარჩუნა. მხოლოდ ფიურტელი გიორგი დეკანოსიძელა ვერ ჩავა კიევში, მწვრთნელმა მის ნაცვლად ზაპოროჟიელ ირაკლი მოდებაძეს უხმო. არ არის გამორიცხული, ახალგაზრდულის თავკაცმა ორიოდ მოთამაშე ეროვნულ გუნდსაც შეაშველოს. დღეს უკრაინელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან:

*მეკარეები: ზურაბ მამალაძე (დინამო), ბესიკ კოდალაევი (სლავია, ბელარუსი);*

*მცველები: ლაშა სალუქვაძე (ლოკომოტივი), ალექსანდრე ინწკირველი, დავით ზაზაშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ილია კანდელაკი, რამაზ სვანაძე, სანდრო ჩივაძე (ყველა დინამო);*

*ნახევარმცველები: მალხაზ ასათიანი, რომან ახალკაცი (ორივე ტორპედო), გიორგი ადამია (ვიტ ჯორჯია), დავით სირაძე (ლოკომოტივი), ლევან ჩაჩუა, თენგიზ უგრეხელიძე (ნივა, უკრაინა);*

*თავდამსხმელები: ლადო ახალაია (ზიმბრუ, მოლდოვა), ირაკლი მოდებაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), რევაზ კვერნაძე (არსენალი, უკრაინა)*

**მამუკა კვანტალიანი**



ლევან ცქიტიშვილი

# ვარ გურული, მაშასადამე, ქართველი

**ესპანეთიდან** გერმანიაში გადაინაცვლა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა. კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდები გუშინ იენასთან მდებარე ბად-კრონენბერგის საწვრთნელ ბაზაზე დაბინავდნენ, მგზავრობისგან დაქანცულები ვარჯიშს და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას დღეიდან გააგრძელებენ.

გერმანიაში წასვლამდე ჩვენებურნი კვირას, ბადახოსის ტურნირზე მესამე ადგილისთვის მატჩში პოლონელ თანატოლებს შეხვდნენ და ფიფიას მიერ მეორე ტაიმში გატანილი კინკილათი მეტოქე 1:0 დაამარცხეს.

გერმანიაში ქართველი ჭაბუკები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. ზეგ, ჩვენებურთა მეტოქე ჩრდილოეთ რეგიონალლიგის ერთ-ერთი გუნდი იქნება, 22 აპრილს კი ტიურინგიის მხარის 17-წლამდელთა ნაკრები.

როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ლევან ყიფიანმა წუხელ გვაცნობა, კობა ჟორჟიკაშვილმა ნაკრებში ახლო წარსულში თბილისის „დინამოს" თავდამსხმელის, ახლა კი საფრანგეთში მოსაქმინე გია გურულის ვაჟი, სანდრო გურული მიიწვია. სანდროს, ჯერ კიდევ ესპანეთის შეკრებაზე უთამაშია ბოლო ორი მატჩი და მწვრთნელზედაც კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია.

სანდრო გურული ფრანგული „ბულონის" საფეხბურთო სკოლაში იწრთობა და ყიფიანის თქმით, დიდი შანსი აქვს დანიაში, ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავროს.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ფედერალური ამბები

**ფეხბურთის** ფედერაციაში სიწყნარემ დაისადგურა... გადაიარა ქარიშხალმა, მოხსნილი თანამშრომლებიც უკანვე დააბრუნეს და თითქოს ჩვეულებრივი სამუშაო რიტმიც აღადგინეს. მიუხედავად სიწყნარისა, მაინც არ ავიწყდებათ დავით პეტრიაშვილი, პრეზიდენტობის მოსურნე და ფედერაციის აწ უკვე ყოფილი მოხელე. მის გვარ-სახელს ერთხელ მაინც მოისმენთ ქართული ფეხბურთის „ნაქირავებ ბინაში".

ფედერაციის ნამდვილი სახლი კი შენდება და დაახლოებით თვენახევარში მზადაც იქნება. საზეიმო გახსნის ცერემონიალი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაა დაგეგმილი. „მართალია, ახალი ოფისის კეთილმოწყობა მაისის ბოლოს დასრულდება, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის დროს მისთვის ვინ მოიცლის. ამიტომ ფიფა-უეფადან სტუმრები ივლისში ვიწვიეთ და თითქმის ყველასაგან დასტურიც მივიღეთ" — გაგვანდო სამომავლო გეგმები ვალერი ჩოლარიამ. გენერალური მდივნის თქმით, თბილისში ლენარტ იუჰანსონს და გერჰარდ აიგნერს ელიან.

გუშინ პრეზიდენტ ჟორდანიასთან სასულიერო პირები იყვნენ, მოითათბირეს და მალე ფედერაციის ახალ ოფისსაც აკურთხებენ.

ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი თბილისიდან დღეს მიემგზავრებიან... არა, უკრაინაში, ჩვენი ნაკრების მატჩზე ქართული ფეხბურთის თავკაცები ვერაფრით მოხვდებიან. ამჯერად მივლინება ორ ნაწილად იყოფა — სასეირო გასართობი და საქმიანი. დღეს ჟორდანია და ჩოლარია ნორვეგიისკენ აიღებენ გეზს. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა და უეფას ვიცე-პრეზიდენტ, პერ-რავნ ომდალის პერსონალური მიწვევით ჩვენი ფეხბურთის ჩინოსნები იქაურ ხელმძღვანელებთან და სხვა სტუმრებთან ერთად ნორვეგიული ფეხბურთის 100 წლისთავს იზეიმებენ. იქიდან ქართველთა ორკაციანი დელეგაცია ქუნევას მიაშურებს და საკლუბო ფეხბურთის ლიცენზირების საკითხთა პრეზენტაციას დაესწრება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დაიწყო მზადება გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის ბასა ლოლობერიძის მე-80 წლისთავის აღსანიშნავად. 11-12 ოქტომბერს, საქართველოში დიდი საფეხბურთო ზეიმი მზადდება. გამოვა წიგნი, რომელშიც ბასა ლოლობერიძის ცხოვრება იქნება აღწერილი. მომზადდება სპეციალური სატელევიზიო გადაცემაც. 12 ოქტომბერს საქართველო ისედაც საფეხბურთოდ იქნება მომართული, თბილისში ხომ რუსთა ნაკრები ჩამოდის. საკითხავი კი მხოლოდ ერთია — ვინ ჩაატარებს იმ ღონისძიებებს, ძველი თუ ახალი ფედერაცია?!

**მამუკა კვანტალიანი**

მწუხარებით ვიუწყებით, რომ „სარბიელის" რედაქტორს თამაზ მიგრიაულს გარდაეცვალა ძმა

**ლუხუმ მიგრიაული**

და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახის წევრებს

სარბიელელები

**ინგლისი**

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩი

**დარლინგტონი 1:4 პლიმუთი**

**გერმანია**

მეორე ბუნდესლიგა
XXXI ტური

**მაინცი 4:1 არმინია**

**იტალია**

სერია B
XXXI ტური

**სიენა 1:1 ბარი**

# ბოლო გაჩერება

## ჩხაიძემ მოთამაშე-მწვრთნელი მატარებლიდან ჩამოსვა

**შაბათის** თბილისურ დერბიში „დინამოსთან" 0:2 დამარცხებით „ლოკომოტივმა" არამარტო 3 ქულა და მეორე ადგილი, არამედ მოთამაშე მწვრთნელი კახა ცხადაძეც დაკარგა.

მატჩის დამთავრებიდან რამდენიმე საათში „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა აკაკი ჩხაიძემ ცხადაძე მთავარი მწვრთნელობიდან დაითხოვა.

— მე ვესაუბრე ჩხაიძეს, რომელმაც გამათავისუფლა. ვფიქრობ, მის გადაწყვეტილებაში უჩვეულო არაფერია, მისი როგორც პრეზიდენტის კომპეტენციაა, განსაზღვროს, ვინ გაწვრთნას გუნდი — განუცხადა ცხადაძემ „სარბიელს".

— ჩემს ძველ კონტრაქტს „ლოკომოტივთან" დეკემბერში გაუვიდა ვადა, ახალზე კი ზაფხულში უნდა გველაპარაკა — დასძინა ცხადაძემ, რომელიც არ აპირებს დარჩეს „ლოკომოტივში", როგორც მოთამაშე, მიუხედავად იმისა, რომ კლუბს მისთვის ამაზეც არ უთქვამს უარი.

კახი ცხადაძემ ამ გაზაფხულს თამაში განაახლა მძიმე ტრავმის შემდეგ და თუ შარშან ერთადერთხელ გავიდა მოედანზე, წლეულს ცხრავე მატჩში მოირგო „ლოკომოტივის" მაისურა.

— ცხადაძის ადგილს სეზონის ბოლომდე მისი ყოფილი თანაშემწე სერგო კოტრიკაძე დაიჭერს, რომელსაც გია ჯიშკარიანი დაეხმარება — განაცხადა „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ლვაბერიძემ, რომელიც მეორე ეტაპის პირველ სამ მატჩში ორი მარცხის შემდეგ ცხადაძის გათავისუფლებას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

სერგო კოტრიკაძე „ლოკომოტივს" დროებით ადრეც წვრთნიდა 1997-98 წლების სეზონში. 1999-2000 წელს კი კოტრიკაძე „ვიტ ჯორჯიას" ედგა სათავეში, რომელსაც კლუბის ისტორიაში პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლები და უეფას თასის საგზური მოაპოვებინა.

**ვახტანგ ჭყიკაძე**

საქართველოს 13 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე ეტაპი

# 3 ტური

## I–VI ადგილები

# პანკისის ლომი მცხეთაში

მცხეთა
13 აპრილი
16 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

**თსუ 0:2 მილანი**

0:1 გამცემლიძე (42), 0:2 მელოევი (88)

**თსუ:** ქრიკიშვილი, ბერიანიძე, დათუნაიშვილი, ჩობული, მერებაშვილი, მესხი, იაკობიძე, სულთანიშვილი (მ. ნოზაძე 46), ქუხილავა, ლ. კვარაცხელია, გ. ა. მიქაძე (სოხაძე 78)

სათადარიგონი: გუგუნავა; ა. ლობჟანიძე, ქოქოჯ; თ. დემეტრაძე, ბერიშვილი

**მილანი:** ნაყოფია, ტარულაშვილი, მეტრონიძე, ბარამიძე, მ. სამხარაძე, გამცემლიძე (როსტიაშვილი 72), მოსიაშვილი, გოლეთიანი, დიმიტრიშვილი, მელოევი, ვარამაშვილი (ქაღაიაშვილი 81)

სათადარიგონი: გრძელიძე, ჩიტაური, მებონია, უგაძე, ქარჩავა

**გაფრთხილება:** იაკობიძე (60)

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ო. ხეცაძე, დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. გრუჯიდი

ჯარიმა: 17:16; კუთხური: 1:4; კარისკენ დარტყმა: 7:4; კარში დარტყმა: 3:4; თამაშგარე: 2:4

**გიორგი ვაშაკიძე მცხეთიდან**

**პირველად** გახლდით პირველლიგელთა მატჩის გასაშუქებლად და გამოგიტყდებით, გული არც მიმიწევდა. ჯერ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში რა დონეა და პირველში რა უნდა ყოფილიყო, თუმცა კახური „მილანის" ხილვა კი მაინტერესებდა. ჩემი ვარაუდი პირველმა ტაიმმა სრულიად გაამართლა, ორივე გუნდი ისე იზლაზნებოდა, ერთხანს ლამის ჩამეძინა კიდეც, მაგრამ წნორელებს ჩამოყოლილმა გულშემატკივრების ენამოსწრებული ხუმრობები ამხიარულებდა და აცოცხლებდა ტრიბუნებს.

სტუმრებმა კარის ჩარჩოში ერთადერთხელ, ისიც 42-ე წუთზე დაარტყეს და პაატა გამცემლიძემაც მაშინ გაიხარა. ლაშა გოლეთიანმა ერთი შეხებით „მილანის" მე-13 ნომერი მეკარე იოსებ ჭრიკიშვილს შეატოვა, პაატამ კარიდან გამოვარდნილ თსუ-ს გოლკიპერს დაასწრო და ბურთს ჭვინტი წაჰკრა.

მეორე ტაიმში „მილანმა" იგრძნო სტუდენტთა უმოქმედობა და თამაში დაალაგა, მოთამაშე-მწვრთნელ სოსო ბარამიძის მეთაურობით, წნორელები უფრო ორგანიზებულად ამოქმედდნენ, მელოევ-ვარამაშვილის თავდამსხმელთა დუეტიც გამოფხიზლდა.

თსუ კი უჯიგროდ, ქაოსურად თამაშობდა, არ ჰგავდნენ სტუდენტები მატჩის გადამრჩენელ გუნდს.

ვერც იმას იტყოდი, სანაიამ იდეალურად იმსაჯა. ერთი-ორ ეპიზოდში ფეხბურთელებს შორის მომხდარ შეხლა-შემოხლაში ნაკლებ პრინციპულობა გამოიჩინა, მატჩის სადავეები ხელიდან გაუშვა, ვითარებაც ნელ-ნელა იძაბებოდა. მასპინძლებს რომ არაფერი გამოსდიოდათ, უხეშობასაც არ თაკილობდნენ, ცხადია, ამ შემთხვევაში, მათ არც სტუმრები ჩამორჩებოდნენ.

თსუ-ს მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთი საგოლე მომენტი შეექმნა, პავლე დათუნაიშვილის ოციოდ მეტრიდან ტექნიკურად დარტყმული მამუკა ნაყოფიამ ძელის დახმარებით ლამაზ ნახტომში კუთხურზე გადააგდო და მასპინძლებიც ერთი რამით თუ გამოირჩნენ — პირველად კუთხური 86-ე წუთზე(!) მოაწოდეს.

ორ წუთში კი ზაზა მელოევმა მშვენიერი ბურთი გაუტანა ჭრიკიშვილს, საჯარიმოს გარედან მეკარეს ცხრიანში დაურტყა და საყვარელი ქომაგისგან შეძახილი თუ კომპლიმენტი დაიმსახურა — ჯიგარი ხარ, მელოევ, პანკისის ლომი ხარო...

**დილა 2:1 ლოკომოტივი 3**

**ცხინვალი 0:1 ქობულეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 32 |
| დილა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 31 |
| ქობულეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 27 |
| თსუ | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 26 |
| ლოკომოტივი 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:3 | 23 |
| ცხინვალი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 18 |

## VII–XI ადგილები

**სამტრედია 2:3 დინამო 2**

**ხობი 3:0 მერანი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 18 |
| ლაზიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 17 |
| ხობი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 14 |
| სამტრედია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 13 |
| მერანი 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 11 |

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
13
# 3 ტური



მეტოქეებმა ერთმანეთზე ხელითაც გაიწიეს

# ლოკომოტივს ცხადაძე ჩახსნეს

## I–VI ადგილები

თბილისი. ეროვნული. 1 500 (ტევადობა 70 900). 13 აპრილი. 18.00 საათი

### დინამო 2:0 ლოკომოტივი

| |
|---|
| 1:0 აშვაბაძე (57), 2:0 მიქაძე (88) |
| **დინამო:** ზოიძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, კარლოსი, მაწკავა (გოგობერიშვილი 71), ამისულაშვილი, ა. სახვაძე, ბურდული, დარასელია (შიშიაშვილი 90), აშვაბაძე, გ. მიქაძე; სათადარიგონი: გვარამაძე, სვანაძე, მ. ბობოხიძე, შავგულიძე, ი. სამხარაძე; **მწვრთნელი:** ივო შუშაკი |
| **ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, დავითნიძე, ცხადაძე, მამნავა, კ. გოგიჩაიშვილი, გელა ქორიძე, სირაძე, ქიქვაძე, მორჩილაძე (დავითაშვილი 63), ზ. ჯანაშია (კიდარაშვილი 73); სათადარიგონი: ივარდავა, ლაშა სალუქვაძე, ონიანი, დათვაძე, როქვაია; **მწვრთნელი:** კახა ცხადაძე |
| **გაფრთხილება:** კარლოსი (23), ცხადაძე (50), ვაშაკიძე (83), ქორიძე (85), დავითნიძე (90) |
| **მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი) |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო |
| ჯარიმა 13-16, კუთხური 4-4, კარისკენ დარტყმა 5-1, კარში დარტყმა 5-3, თამაშგარე 0-1 |



ივო შუშაკის ხელში „დინამო“ ჯერაც დაუმარცხებელია

**კობა ინასარიძე**

**მეორე ეტაპის** პირველივე მატჩში შინ „ტორპედოსთან“ და შაბათს „დინამოსთან“ სტუმრად წაგებამ თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელ კახა ცხადაძეს პოსტის დატოვებად დაუჯდა. ეროვნულზე დაკარგული სამი ქულა და საჩემპიონო შანსების მინიმუმამდე შემცირება ველარ აიტანეს რკინიგზული კლუბის ხელმძღვანელებმა და მწვრთნელმა, ამიტომ მატჩის შემდეგვე ერთმანეთს დაშორდნენ.

„დინამო“ და მისი ხორვატი მწვრთნელი ივო შუშაკი კი ჯერაც დაუმარცხებელნი არიან. ბოლო შვიდ მატჩში შუშაკის შეგირდებმა მეტოქეს მხოლოდ ქულა დაუთმეს და შაბათის შემდეგ ცხრილის მეორე საფეხურზე მოკალათდნენ.

— „ლოკომოტივი“ კარგი გუნდია. „დინამომ“ კი ჩემი ხელმძღვანელობით დღეს ყველაზე კარგად ითამაშა, გამორჩეულად მეორე ტაიმში. ამ მატჩისთვის განსაკუთრებით ვემზადებოდით და, მგონი, დამსახურებულად გავიმარჯვეთ — თქვა მატჩის შემდეგ „დინამოს“ მწვრთნელმა ივო შუშაკმა.

მართლაც, „დინამო“ იმსახურებდა სამ ქულას. უგოლო და დაძაბულ პირველ ტაიმს, რომლის დროსაც ფეხბურთელებმა ნერვები ვერ მოთოკეს და ერთმანეთს წაეკიდნენ, მეორე ტაიმში მასპინძელთა სრული უპირატესობა და ალალი ორი უპასუხო გოლი მოჰყვა.

მატჩის პირველმა მეოთხედმა ისე განვლო, ფეხბურთელებს კინკლაობის მეტი მოედანზე ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. ეგ კი არა, 25 წუთი რომ მიილია და სტუმარმა ქორიძემ იუხეშა, საქმის გარჩევისას ბრაზილიელმა კარლოსმა მას კეფაში ისეთი შემოსცხო, ხმა ტრიბუნაზეც მოგვესმა. არბიტრმა ფანიაშვილმა კარლოსს ყვითელი ბარათი აჰმარა და მონასტერიც აირია — წესის ყოველ დარღვევაზე გაწევ-გამოწევა და ერთი ამბავი იყო, მსაჯი კი მეტისმეტად ლმობიერი.

— შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი, მეტოქესთან საქმის გარჩევას თავი დაანებეთ და ტემპს მოუმატეთ-მეთქი. ფეხბურთელებმა გაითვალისწინეს ჩემი მითითება და, როგორც ვთქვი, ჩემი ხელმძღვანელობით ჯერჯერობით საუკეთესოდ ითამაშეს — კმაყოფილებით აღნიშნა პრესკონფერენციაზე ივო შუშაკმა.

მატჩი რომ განახლდა, დინამოელი თავდამსხმელები, განსაკუთრებით კი მიქაძე, „ლოკომოტივის“ მცველებთან პირისპირ შებმას აღარ ერიდებოდნენ და არც ნახევარმცველებისგან უგვიანდებოდათ გამოზომილი პასები. ერთხელ გაძვრა მცველთა შორის მიქაძე, ორჯერ, მესამედ კი საგოლე პასი გააკეთა: 57-ე წუთი იყო, პირით ხაზთან მან ორი მეტოქე მოიტოვა და კარის ძელიდან მეტრით დაშორებულმა ბურთი უკან აშვაბაძეს დაუგორა, რომლის ხელისშემშლელი იმ მომენტში სტუმართაგან არავინ ყოფილა და ანგარიშიც გაიხსნა — აშვაბაძემ ლომაიას შორეულ კუთხეში გაუტანა.

პასიური იყო და აშკარად ჩანდა, რომ სასურველ ფორმაში ჯერ არ არის „ლოკომოტივის“ მოსკოვის „ლოკომოტივისგან“ ნათხოვარი ზაზა ჯანაშია. მას შაბათს ღირებული არაფერი გაუკეთებია.

გატანილი გოლის შემდეგ სტუმრები მთლად დაიბნენ და სტატისტიკური მაჩვენებლიდანაც კარგად ჩანს, რომ მასპინძელთა კარისკენ ერთი-ორჯერ დაარტყეს. ფაქტობრივად, ზოიძეს სამუშაო არც ჰქონდა.

„დინამო“ კი ჭკვიანურად თამაშობდა, ბურთს აგორებდა და შეტევის პირველსავე შესაძლებლობას იყენებდა. ჯერ დარასელია-სახვაძის ორიგინალური კედელი სახვაძის არაზუსტი, თუმცა მეტად სახიფათო დარტყმით დასრულდა, შემდეგ მოედანზე წუთის შესულმა, ახლახან გამოჯანმრთელებულმა გოგობერიშვილმა დააფრთხო „ლოკომოტივი“, რასაც ბოლოს მიქაძის გოლიც მოჰყვა: საკუთარი კარის სიახლოვეს დავითნიძის პასი სახვაძემ ჩაჭრა, ბურთი დარასელიას დაუგორა, მან მეკარის ბაქანზე მყოფ მიქაძეს და ანგარიშიც გაორდა.

— ორი გოლი ხომ გავიტანეთ და ორი ამდენი ნაღდი მომენტი გავაცუდეთ. სხვა მატჩისას, შესაძლოა, საქმე სანანებლად გაგვიხდეს, შანსი უნდა გამოიყენო — ესეც შუშაკმა თქვა.

„ლოკომოტივს“ მატჩის გადარჩენა აღარ შეეძლო, შეცვლებისა და თავდასხმის გაძლიერების მიუხედავად, რკინიგზელებს ზოიძის კართან მიახლოებაც უჭირდათ. პირიქით კი... პირიქით, მესამე გოლს სტუმრები სწორედ კახა ცხადაძემ გადაარჩინა, როცა ლომაიასთან პირისპირ ორი დინამოელი დარჩა და მან პასი ჩაჭრა. ორიოდ წუთში კი ცხადაძე-„ლოკომოტივის“ გზა „დინამოსგან“ ჩაიჭრა.



ამ მომენტში მეკარე გიორგი ლომაიამ გიორგი მიქაძეს არ გაატანინა

ფოთი. ფაზისი. 1 000 (ტევადობა 6 500). 13 აპრილი. 16.00 საათი

### კოლხეთი 3:0 ბათუმი

| |
|---|
| 1:0 დოუშვილი (52), 2:0 გვასალია (81), 3:0 ფანჩულიძე (89) |
| **კოლხეთი:** ქაჩაბია, ტორჩინავა (ი. გვასალია 46), მ. ქობულაძე, ქუტიძე, აბელედიანი, გუჩუა (ფანჩულიძე 85), პ. კვეტენაძე, ფანჩულიძე, კვირკველია, დოუშვილი, წივწივაძე; სათადარიგონი: ჩემია, პაპავა, ნადარაია, დ. ოდიკაძე; **მწვრთნელი:** სოსო ფილია |
| **ბათუმი:** ქანტურია, კობიძე, თურმანიძე, ი. მახარაძე, გ. ჩხაიძე, ხუჯაძე, დარჩიძე (ტუღუში 65), რომანაძე (ქიცარავა 65), დ. ჯანაშია, მაჭუტაძე, აფხაზავა; სათადარიგონი: ბალაძე, ცინარიძე, ზვ. გვაზავა, ბეჟანიძე, ჩიჩუა; **მწვრთნელი:** ასლან ბალაძე |
| **გაფრთხილება:** მაჭუტაძე (55), კობიძე (66) |
| **გაძევება:** მაჭუტაძე (55) |
| **მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. ყარაულაშვილი (ზუგდიდი) |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე |
| ჯარიმა 13-16, კუთხური 4-1, კარისკენ დარტყმა 18-2, კარში დარტყმა 8-2, თამაშგარე 3-7 |

# ერთი, ორი, სამი, სამი კაპიტანი

**იუზა კაციტაძე** ფოთიდან

**ერთ მატჩში** რომ გუნდისთვის სამ კაცს ეკაპიტნოს, დაგვეთანხმებით, იშვიათი ამბავია, მაგრამ შაბათს „ფაზისზე“, სწორედ ამის მომსწრე შევიქენით. შეხვედრის 55-ე წუთზე ზუგდიდელმა არბიტრმა კახა მესხმა სამართლიანად დაატოვებინა მინდორი სტუმართა წინამძღოლს. მსაჯს ყელში ამოუვიდა მაჭუტაძის არცთუ კორექტული რეპლიკები და ფეხბურთელს ყვითელი აუნთო. პოდა, ბათუმელიც აინთო, რას ჰქვია, გამაფრთხილეო და მსაჯს საჯაროდ მტყუანი დაუგინა. მესხმაც აღარ დაახანა და... მაჭუტაძემ კაპიტნის სამკლავური რომანაძეს გადააბარა, ეს კი ათ წუთში შეცვალეს და კაპიტნად უკვე შეცვლაზე შესული ტუღუში მოგვევლინა.

დაალალატა მაჭუტაძემ თავისი გუნდი. მართალია, გაძევებამდე სტუმრები უკვე აგებდნენ, მაგრამ სხვა მხრივ მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ და სულ ადვილი შესაძლებელი იყო, თამაში შემოებრუნებინათ. კაპიტნის გადამკიდე კი, პირიქით მოხდა...

ზღვისპირული დერბი საინტერესო სანახაობას გვპირდებოდა. „ბათუმი“ და „კოლხეთი“ ჩემპიონატში მეოთხე ადგილს და ამასთან ინტერტოტოს საგზურს ეცილებიან ერთმანეთს. სტუმრები ოთხი ქულით უსწრებდნენ მასპინძლებს და, ცხადია, ორივე გუნდი თავისას ეცდებოდა.

„ბათუმმა“ ამ თამაშისთვის არჩვაძე და მინდაძე მოიისაკლისა. ამათ არყოფნაში ასლან ბალაძემ დაცვის გასამაგრებლად კობიძეს და ჩხაიძეს დაახევინა უკან, შუა ხაზში ოთხი კაცი გაამწესა, წინ კი, ჩვეულად, მაჭუტაძე და აფხაზავა ათამაშა. კოლხებს ძირითადიდან, ფაქტობრივად, მხოლოდ დისკვალიფიცირებული გოროზია აკლდათ. ელდარ გვასალია კი სოსო ფილიამ მეორე ტაიმისთვის შემოინახა. აქვე ვიტყვით, მასპინძლებმა სათამაშო სქემაში სიახლე შეიტანეს, ფილიამ თავდასხმაში წივწივაძეს ამპლუით მარჯვენა ნახევარმცველი დაუშვილი შეუწყვილა.

თამაში საკმაოდ სწრაფ ტემპში დაიწყო. მეტოქეები მონაცვლეობით უტევდნენ ერთმანეთს. პირველად სახიფათოდ კი გუჩუამ დაარტყა. ვალტერმა სტუმართა საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად გაისროლა და მცირედით აცილა მიზანს. ბათუმელები, როგორც ვთქვით, მასპინძლებს ტოლს არაფერში უდებდნენ და მე-11 წუთზე დაწინაურების საუცხოო შანსიც მიეცათ. ხუჯაძემ საკუთარი ნახევრიდან კარგად გაუჭრა აფხაზავას, რომელმაც ბრძოლაში მარცხნიდან შეაღწია კოლხთა საჯარიმოში და, თითქოს, საგოლედ დაარტყა შორეულ დაბალ კუთხეში, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. მერე ათიოდე წუთს უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, კოლხთაგან გამორჩეულად კვეტენაძე აქტიურობდა. კახამ ჯერ 25 მეტრიდან ძლიერი დარტყმით სცადა გატანა, თუმც აუცდა, წუთში კი აბელედიანის ფლანგური გადაცემის შემდეგ შემობრუნებით დაურტყა ჭანტურიას, აქ კი მეკარემ იმარჯვა.

ბათუმელებს სწრაფ კონტრშეტევებზე ჰქონდათ აგებული თამაში და შანსს უცდიდნენ. შუა ტაიმში მიეცათ კიდეც მეტოქის დამწუხრების შესაძლებლობა, როცა ჯანაშიამ თვალის დახამხამებაში ჩაიქროლა მარჯვენა ფლანგზე და საჯარიმოსთან ახლოს პირით ხაზიდან სახიფათოდ გაგზავნა კარის გასწვრივ, ეგ იყო, პარტნიორებმა გარჯა ვერ დაუფასეს, გადაცემის „ჩამკეტი“ არავინ აღმოჩნდა. შესვენებამდე ორი საგოლე მომენტიც შეიქმნა და ორივე ჭანტურიას კართან. კვეტენაძეს და დაუშვილს მართებდათ გატანა, ერთმაც და მეორემაც ხელსაყრელი პოზიციიდან აცილეს.

სამაგიეროდ, თამაშის განახლების შემდეგ პირველსავე შეტევაში იხეირეს კოლხებმა. ტორჩინავას შემცვლელმა გვასალიამ ცენტრში არ დაანება ბურთი მეტოქეს და მარცხენა ფლანგზე კვირკველიას მიაწოდა, ამანაც უმალ საპირისპირო მხარეს გახსნილი დაუშვილი მოძებნა, რომელიც მარდად დაუსხლტა მცველს, საჯარიმოში შეიჭრა და კარიდან გამოსული ჭანტურია უძლური გახადა. გოლს მოყოლილ წუთში ჯანაშიამ ერთხელაც გაინავარდა ფლანგზე, საჯარიმოში ჩაწოდებაც მოახერხა, მაჭუტაძემ თავური შეაგება ბურთს, მაგრამ არაზუსტად. ეს იყო და, ორ წუთში ბათუმელები მოედანზე ათნი დარჩნენ. თავში ვთქვით, არბიტრმა გასახდელში მიაბრძანა მათი კაპიტანი. ბალაძის გუნდიც ამის მერე აირია. „ფაზისზე“ ლამის ცალკარა გაჩაღდა. კოლხებმა შავი დღე აყარეს კაცნაკლულ მეტოქეს. ორი რაა, მასპინძლებს დარჩენილ დროში ათის გატანაც მარჩებდათ. არ ვაჭარბებთ. ფილიას შეგირდთა ყოველი შეტევა გოლისმომასწავებლად გამოიყურებოდა. რომელი ერთი გავიხსენოთ. მე-60-დან 75-ე წუთამდე წივწივაძემ, გვასალიამ და ფანჩულიძემ იმდენი ურტყეს სტუმართა კარში თუ კარისკენ, რამდენიმე თამაშს ეყოფოდა. სხვა საქმეა, რომ დარტყმები მიზანს ვერ აღწევდა. და მაინც, „კოლხეთმა“ დიდი ანგარიშით იმარჯვა. ბოლო ათ წუთში გვასალიამ და ფანჩულიძემ წივწივაძის პასებით იხეირეს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ბათუმის“ დამრიგებელი ასლან ბალაძე და შეუძლოდ გამხდარი (გვითხრეს შაქარმა აუწიაო) კოლხთა თავკაცის თანაშემწე მამუკა მიქავა გამოცხადდნენ.

**ასლან ბალაძე, „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი:** ჟურნალისტებთან არასდროს პრობლემა არ მქონია. მით უფრო მწყინს, რომ ბოლო დღეებში პრესასა და ტელევიზიაში ისეთი რაღაცეები მომაწერეს, რაც ცხოვრებაში არ მითქვამს. „ტორპედო“, „კოლხეთი“ და „მერანი“ ერთმანეთს შეეკრნენო. თავს დავდებ, ეს ჩემი სიტყვები არ არის. ჩვენი სტადიონის თარობაზე გამონათქვამები დამომაბრალეს. ყველას გთხოვთ, უხერხულობაში ნუ ჩამაგდებთ, იმდენს ნუ იზამთ, აჭარიდან ავიბარგო.

ვიცოდი, რომ ძნელი თამაში გველოდა. ყველაზე სუსტ რგოლში — დაცვაში ორი კაცი გვაკლდა. ამის გვეშინოდა და, რაც მოხდა, თავად ნახეთ. უკანა ხაზმა ძალიან სუსტად ითამაშა. დავალება სხვა ფეხბურთელებმაც ვერ შეასრულეს, ბოლომდე მხოლოდ ხუჯაძემ და აფხაზავამ იბრძოლეს, მეკარესაც ვერ დავადანაშაულებ. მაჭუტაძის გაძევების შემდეგ გუნდმა სახე დაკარგა. ასეთი შემართული „კოლხეთი“ მე ჯერ არ მინახავს. მასპინძლებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს.

**მამუკა მიქავა, „კოლხეთის“ მწვრთნელი:** ასეთ ანგარიშს ნამდვილად არ ველოდით, ამდენი საგოლე მომენტი კარგა ხანია არ შეგვიქმნია. შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ და გაგვიმართლა. მეტოქეს პირველ ტაიმში თავისი შანსი რომ გამოეყენებინა, საქმე გაგვირთულდებოდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 3 | 3 | 0 | 0 | 5:2 | 35 |
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 28 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 28 |
| ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 22 |
| კოლხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 21 |
| მერანი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 17 |

# VII–XII ადგილები

# შეაშველეთ წყალი

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 500 (ტევადობა 22 000). 13 აპრილი. 16.00 საათი

## გურია 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 გოჩაშვილი (63)

გურია: ჩომახიძე, ლევან სალუქვაძე, განეცი (გალოგრე 71), ფუანია, ფაცურია, კუკულაძე (კიკაჩეიშვილი 61), სულაქველიძე, ჯიქიძე, ლ. ჩიაიძე (ჩხარტიშვილი 75), ნუგზამ იმნაიშვილი, ნაროუშვილი
სათადარიგო: ტაფურიძე
მწვრთნელი: რამაზ ფირცხალაიშვილი

ვიტ ჯორჯია: ტურაძე, კობიაშვილი, იმნ კირველი, ჯ. მუჯირი (თევდორაძე 60), ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, დ. დოლიძე (წუწუნავა 46), გველესიანი, ადამია, მელქაძე (დვალიშვილი 65), ვ. გოჩაშვილი
სათადარიგო: მამარდაშვილი; კვახაძე, სანიკიძე, მ. ცქიფურიშვილი
მწვრთნელი: ჟანი კარნევალი

მსაჯები: ა. ორდინიძე (რნი); კ. თბილელი, ა. ნონიკაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ჯარიმა: 18-16; კუთხური: 4-8; კარისკენ დარტყმა: 6-5; კარში დარტყმა: 1-5; თამაშგარე: 7-4

**გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან**

**პირველ ეტაპზე** „ვიტ ჯორჯიამ“ ლანჩხუთში იოლად, 5:1 იმარჯვა, ახლა კი მხოლოდ 1:0. მერე რაო? იკითხავს მავანი. რა და მაშინდელ „გურიასა“ და ახლანდელს შორის დიდი განსხვავებაა. გამოდის, რომ ანგარიშის ასეთი სახეცვლილება უფრო ვიტელების სისუსტეს უნდა მივაწეროთ, ვიდრე გურულების კარგ თამაშს.

არადა, შაბათს მატჩი ნაცნობი სცენარით წარიმართა. წაიბრძოლეს მასპინძლებმა მონდომებით და ჟინით, მაგრამ მაინც წაგებულნი დარჩნენ. ყველაფრის თავიდათავი კვლავაც შეტევის ხაზის უსუსურობა იყო, თორემ მოგებაც იოლი შესაძლებელი ჩანდა.

თავიდანვე გახსნილ თამაშში მასპინძლებს გატანა მალე შეეძლოთ. მეხუთე წუთი იყო, სამი გურული ორი ვიტელი მცველის წინაშე რომ აღმოჩნდა. მართალია, ნაროუშვილმა თანაგუნდელის მისამართით უხეირო პასი გააკეთა, მაგრამ კობიაშვილის ფეხიდან ბურთი სრულიად მარტოდ დარჩენილ იმნაიშვილს მიუვიდა. წინა ტურში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორს საპენალტოს მიდამოებიდან დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა და ანგარიშის გახსნის ჩინებული შესაძლებლობაც დაიკარგა.

„ვიტ ჯორჯიამ“ უმალ უპასუხა და ლაშა ნოზაძემ არანაკლებ ღირებული მომენტი გააცუდა. მისი დარტყმული მეკარეს კი გასცდა, მაგრამ კარის ხაზზე შორეულ ძელთან მყოფ განევს ვერა და მან ბურთი სამშვიდობოს გაიტანა.

მართალია, მას შემდეგ სწრაფი და ორმხრივი იერიშებით გაჯერებული ბურთაობა გაჩაღდა, მაგრამ მეტოქეებს რეალური საგოლე მომენტის შექმნა უჭირდათ. ეს უფრო გურულებზე ითქმის, რომლებსაც საშემსრულებლო კომპონენტში უამრავი წუნი ჰქონდათ. მწყობრად გარჯა არც სტუმრებს გამოსდიოდათ და ხშირ შემთხვევაში შემტევი სამეულის გარჯა არაეფექტური იყო.

ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ვლადიმერ გოჩაშვილმა იშვიათი სილამაზის გოლი არ გაიტანა. 63-ე წუთი მიმდინარეობდა, გურულებმა მეტოქის შეტევა რომ მოიგერიეს, მაგრამ დილმელაშვილმა ბურთი კვლავ საჯარიმოში დააბრუნა. იქ კი გოჩაშვილი შეუდარებელი გახლდათ —. კარიდან ზურგშექცევით მყოფმა დახლოებით 12 მეტრიდან ბურთს ეფექტური მაკრატელა შეაგება და შორეულ კუთხეში მოათავსა.

„გურია“ თამაშის გადარჩენას შეეცადა და ხუთიოდ წუთში ლაშის გაათანაბრა კიდეც. ფაცურიას პასით კვლავ იმნაიშვილი აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბურთმა კარში შესვლა არ ინება და შორეულ ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა.

საერთოდ მეტოქეებმა საკმაოდ ხისტი და შიგადაშიგ უხეში ფეხბურთი გააჩაღეს, ბოლო ნახევარ საათში ტრავმებმაც იმატა. გურულებს ჯერ ერთობ აქტიური კუკულაძე დაუშავდათ, ხოლო ათ წუთში მისი ბედი ლიბერო განევმა გაიზიარა. ორივე შესაცვლელი შეიქნა და „გურიაც“ საბოლოოდ ბედს შეურიგდა. არადა, ყველა სიკეთესთან ერთად, იმ დღეს მასპინძლებს ექიმიც არ ჰყავდათ და მარტო „კოკა-კოლას“ ბოთლში ჩასხმულ წყალს აბა, რა წამლობა შეეძლო.

ბოლო ოცი წუთი „ვიტ ჯორჯია“ კაცნაკლული იგერიებდა შეტევებს. აქაც ტრავმა იყო მიზეზი და იმის გამო, რომ კარნევალის სამი შეცვლა უკვე გაეკეთებინა, ბარძაყმტკივან ინწკირველს ოდენ სტატისტად იძულებით ყოფნა დაევალა. თუმცა ეს ფაქტორი გურულებმა თავიანთ სასარგებლოდ მაინც ვერ გამოიყენეს.

ასეთი უხეშობის ფონზე გასაკვირი იყო მსაჯის სიმშვიდე. ავთანდილ ორდინიძეს ყვითელი ბარათის ჩვენება ერთხელაც არ მოსვლია აზრად. ის კი არა, ხშირ შემთხვევებში ჩასტვენასაც ერიდებოდა.

# ომი მგელთან

წყალტუბო. 26 მაისი. 500 (ტევადობა 12 000) 13 აპრილი. 16.00 საათი

## სამგურალი 1:0 სიონი

1:0 ლონლაძე (65)

სამგურალი: ბოდოკია, ფრანგიშვილი, შეყრილაძე, დ. ქელიძე, შ. ლონლაძე, კოპალიანი, ფუტკარაძე, კ. ჯანაშია (ჭაჩიბერაძე 46), მ. ჯინჭარაძე (კიკვიძე 46), დარსაძე (ცომაია 79), ხუნდაძე
სათადარიგო: ო. ბობოხიძე, ზ. ფხაკაძე, ლ. ქობულაძე, ნებიერიძე
მწვრთნელი: გია გიგატაძე

სიონი: ვოლკოვი, სიდამონიძე, ბურნაძე, ლ. ჩხეიძე, ბაბიძე (მინდიაშვილი 46), ხუჭუა, გაბისკირია, მოსეშვილი (კ. გოდერძიშვილი 62), ისიანი, გიორგი ქორიძე (ნინუა 75), მინაშვილი
სათადარიგო: დალაქიშვილი; შაკიაშვილი
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); მ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ჯარიმა: 19-21; კუთხური: 9-1; კარისკენ დარტყმა: 13-4; კარში დარტყმა: 8-1; თამაშგარე: 6-5

**პაატა კვანტალიანი წყალტუბოდან**

**უმაღლეს ლიგაში** დასარჩენად კბილებით მებრძოლმა „სამგურალმა“ შაბათს დიდი ომი გაუმართა მეკარე თემურ ვოლკოვს და მის „სიონს“.

გამართული ტაქტიკით მოთამაშე იმერლებმა პირველ წუთებიდანვე წნეხში მოაქციეს მეტოქე და არაერთი ხელსაყრელი მომენტიც შექმნეს ბოლნისელთა კართან, მაგრამ მასპინძელთა მწვავე კბენას ვოლკოვი მონდომებით უძლებდა და რამდენჯერმე აშკარა გოლისგანაც იხსნა ქვემოქართლელები.

პირველ ტაიმში გიგატაძის ბიჭებმა ერთი ისეთი რეალური მომენტი გააცუდეს, რომ სახტად დატოვეს „26 მაისზე“ შეკრებილნი; მე-17 წუთზე დარსაძე ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა, მის საგოლედ დარტყმულს ვოლკოვმა თითი წაატანა, ბურთი ძელს მოხვდა, მერე ისევ ვოლკოვს და ამასობაში ბოლნისელმა მცველებმაც განმუხტეს მწვავე მომენტი.

მასპინძელთა შეტევებით დაიწყო მეორე ტაიმიც. 54-ე წუთზე ფრანგიშვილის ჯარიმას ბურნაძემ დაუხვედრა თავი, გადმოვარდნილ ბურთთან ყველაზე ადრე ხუნდაძე გაჩნდა, მაგრამ თორმეტიოდე მეტრიდან არაზუსტად დაარტყა, 65-ე წუთამდე მასპინძლებმა სამი საგოლე შანსი კიდევ გაანიავეს და საცაა, ნერვიულობასაც დაიწყებდნენ, რომ მშველელად ლონლაძე გამოუჩნდათ. ამან დარსაძის მოკლე პასისას წამით დაასწრო მეტოქე მცველს და 12 მეტრიდან გატეხა ვოლკოვის შემართება.

დარჩენილ დროში სტუმრებმა კი სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ მაქსიმუმი რაც გაახერხეს ის იყო, რომ ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა შეძლეს, მაგრამ გადამწყვეტი შეტევებისთვის შანსი არ მისცემიათ ბოლნისელებს



წყალტუბოში „სიონს“ მეკარე თემურ ვოლკოვის მონდომებამაც ვერ უშველა

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 300 (ტევადობა 3 000). 13 აპრილი. 16.00 საათი

## გორდა 1:0 მეტალურგი

1:0 ჯელაძე (62)

გორდა: ბათიაშვილი, კუდელაშვილი, ტანტურიძე, ზ. ცქიფურიშვილი, ზვ. ლაბაძე, ზ. ლაბაძე, ხურიძე (სილაგაძე 46), გ. კილასონია, კ. ალადაშვილი (მელაძე 46), ა. ჯელაძე, დ. გოდერძიშვილი (ლ. ხმალაძე 82)
სათადარიგო: ბედიაშვილი; ა. ბუკია, კეტიაშვილი, იაშილავა
მწვრთნელი: თენგიზ კაცია

მეტალურგი: მერკვილიშვილი, მალლაკელიძე, ლ. მერებაშვილი, მ. ლონლაძე, გაბრიჭიძე, კაცია შვილი, გუნაძე, კობქაშვილი, სულაკაძე, ვარდიაშვილი, ქნდელაძე
სათადარიგო: ა. ლაბაძე, ორმოცაძე, გურეშიძე, ცნობილაძე, ჭოხონელიძე, მემარიშვილი
მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე

გაფრთხილება: ქნდელაძე (66), ლონლაძე (74), კუდელაშვილი (78)

მსაჯები: ა. მუშკუდი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ი. კახიანი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ჯარიმა: 25-21; კუთხური: 6-5; კარისკენ დარტყმა: 2-6; კარში დარტყმა: 2-5; თამაშგარე: 6-3

# ჯელაძემ გვირილა გათელა

**კახა შალამბერიძე ბოლნისიდან**

**ალმა-დალმა** მოხეტიალე რუსთავის „გორდამ“ მეტოქეს ამჯერად ბოლნისურ „თემურ სტეფანიაზე“ უმასპინძლა და ურთულესი გამარჯვებაც გამოცინცლა ხელიდან. აკი ამბობდა კიდეც მატჩამდე ზესტაფონის „მეტალურგის“ პრეზიდენტი ნუგზარ მდივანი, აქ თამაში ცუდად გვაქვს დაცდილიო. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლი იმერული კლუბი უარს დღეში მყოფ „გორდას“ რამეს დაუთმობდა.

შეხვედრის პირველი 45 წუთი მოსაწყენ ბურთაობაში გაილია. გუნდები ამაოდ ცდილობდნენ რაიმე ღირებულის შექმნას. ბურთიც ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. უხარისხო მინდვრის საფარიც გვარიანად აფერხებდა ფეხბურთელებს.

სტუმრები ასიანთა კლუბში „გაწევრიანებული“ ზვიად ენდელაძით იწონებდნენ თავს და მისი იმედი ჰქონდათ. 36 წლის ვეტერანი მეგოლეც ბევრს მოძრაობდა და ორივე გუნდის შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესოც (!) იყო. ჰოდა, ორმოცს მიტანებული ფეხბურთელი რომ ყველაზე გამორჩეული იქნება, თავად განსაჯეთ, რა საინტერესო მატჩის მოწმენი იყვნენ „თემურ სტეფანიაზე“ შეკრებილი მაყურებლები.

სამაგიეროდ, „გორდა“ აზერბაიჯანიდან ჩამოსული გიორგი კილასონიათი აპირებდა მეტოქის დაფრთხობას. უმცროს კილასონიას პირველ ტაიმში ბევრი არაფერი გამოუვიდა, თუმცა მეორე 45 წუთში უფრო გაშინაურდა და რამდენიმე ეპიზოდში ჩვეულად გაიანავარდა.

ბურთის უაზრო ბაგაბუგით დაღლილმა ზესტაფონელებმა ტაიმის მიწურულსაც გაიხედეს მეტოქის კარისკენ და ისე შეუტიეს, „გორდას“ თავკაც თენგიზ კაციას, ალბათ, ციემა ოფლმა დაასხა. ჯერ სულაკაძემ გაისროლა საჯარიმოს მისადგომებიდან, მაგრამ ააცილა, მერე ვარდიაშვილმა მოჰპარა ბურთი ზაზა ცქიფურიშვილს და მეკარეს პირისპირ შეეყარა, თუმცა ბათიაშვილი არ დანებდა, ბოლოს კი ზვიად ენდელაძის კუთხურიდან ჩაზვეული ხარიხამ აისხლიტა. ეს ყველაფერი მხოლოდ ორწუთიან ინტერვალში მოხდა...

გუნდები შესვენებაზე გავიდნენ და უკვე ბევრი ეჭვობდა, რომ „გორდა“ შეძლებდა სამი ქულის მოპოვებას. არადა, უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი რეალური კანდიდატისთვის ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს. ჰოდა, თუკი თენგიზ კაციას გუნდი ამ შეხვედრაში ვერ იხეირებდა, რუსთაველებს ისღა დარჩებოდათ, გვირილაზე მკითხაობასღა დაეჯერებინათ. გავარდნა-არგავარდნა, რუსთაველთათვის საკითხავი მართლაც ეს არის...

თამაშიც განახლდა და „გორდამ“ თითქოს უფრო მოინდომა, თუმცა 62-ე წუთამდე ვერას გახდა. ხიფათი „მეტალურგის“ კართან წესით არც 62-ე წუთზე უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოედნის ცენტრიდან მოგერიებულ ბურთს, მეტოქის საჯარიმოში არმაზ ჯელაძე შეჰყვა. მერკვილიშვილმა უდროოდ დატოვა კარი, თავდამსხმელმაც ისარგებლა და თავზე გადაუგდო მას ბურთი — 1:0. ეს იყო პირველი დარტყმა „მეტალურგის“ კარში. მანამდე რუსთაველებს ამის შესაძლებლობა არ მისცემიათ. მეორედ „გორდამ“ 83-ე წუთზე შეაწუხა სტუმართა კარის დარაჯი. გია კილასონიამ ბავშვივით მოატყუა სამი მცველი და მოედანზე წუთის შემოსულ ლაშა ხმალაძეს დაუგორა, თუმცა მან ხუთიოდ მეტრიდან მერკვილიშვილს ვერ ააცილა. ეს იყო და რუსთავული კლუბი კინაღამ დაისაჯა. სამ წუთში ენდელაძე დარჩა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბათიაშვილმა ამჯერადაც იყოჩაღა და მშრალად შეინახა კარი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 21 |
| სიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:3 | 19 |
| სამგურალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 13 |
| მეტალურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 13 |
| გორდა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 11 |
| გურია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 14 - პოროშინი | ტორპედო |
| 12 - ფიშფიშაძე | კოლხეთი |
| დავითაშვილი | ლოკომოტივი |
| 11 - ზ. ქუთათელაძე | ტორპედო |
| 10 - მაჭუტაძე | ბათუმი |
| დათბაძე | ლოკომოტივი |
| ენდელაძე | მეტალურგი |

მცხეთა. არმაზი. 16 აპრილი. 16.00 საათი

## ვიტ ჯორჯია — სამგურალი

მეორე ტურის გადადებული მატჩი

მსაჯები: მ. მაისურაძე; ლ. სილაგავა, ზ. ჯვარიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

**იყიდება**

ვაზ–2107 თეთრი ფერის, 1990 წელს გამოშვებული, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით

ტელ: 39-48-29 (11.00 19.00); 69-89-56 (საღამოს) კახა



# ჯანმრთელობისთვის სასარგებლო


REUTERS სანდერლენდიდან

სანდერლენდი — ლივერპული. მაიკლ ოუენმა „ლაითზე" ამაყად გაიარა


REUTERS ლონდონიდან

ტოტენჰემი — ვესტ ჰემი. მასპინძლებმა ბენ ტეტჩერმა და ენტონი გარდნერმა (№18) ფრედერიკ კანო გამოიმწყვდიეს

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### XXXV ტური

**დერბი ქაუნთი 2:3 ნიუკასლი**

1:0 კრისტი (46), 2:0 მორისი (53), 2:1 რობერი (73), 2:2 დაიერი (76), 2:3 ლუა-ლუა (84)
დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, უ. ბარტონი, ჯექსონი, ბოერტიენი, ლი (ევანსი 81), ქინქლაძე, ლ. მორისი (ს. ელიოტი 90), კრისტი (რავანელი 65), შტრუპარი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ნიუკასლი: გივენი, ობრაიენი (ბერნარი 66), ა. ჰიუზი, დისტინი, დაბიზასი, სოლანო, დაიერი, სპიდი, რობერი, შირერი (ჯენასი 73), კორტი (ლუა-ლუა 59)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: დისტინი, ჰიგინბოთემი, რიგოტი, ბოერტიენი
მსაჯი: სტაილზი
31 031 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:1 ლიდსი**

0:1 კიუელი (28)
ასტონ ვილა: ენკელმანი, მ. დილანი, მელბერგი, სტონტონი, ბერი, ჰიცლსბერგერი, ჯ. ბოატენგი (სტოუნი 65), ი. ტეილორი, კაჩლული (ჯ. სამუელი 46), ჰ. ანჯელი (ვასელი 65), კრუში
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, მილსი, მატეო, ჰარტი, ბოიერი, ბეტი, ბაკე, სმიტი, კიუელი, რობი კინი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ანჯელი, ბეტი, ტეილორი, ბოიერი, მილსი
მსაჯი: ნაითი
40 039 მაყურებელი

**ჩარლტონი 1:1 საუთჰემპტონი**

1:0 რუფუსი (16), 1:1 ელ ხალეჯი (86)
ჩარლტონი: დ. კელი, კ. პაუელი, რუფუსი, ფორტიუნი, ჟორჟე კოშტა, ჯ. რობინსონი, პარკერი (ლისბი 66), გ. სტიუარტი, კონჩესკი (კიშიშევი 83), იუელი, ჯ. იოჰანსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
საუთჰემპტონი: პ. ჯონსი, დოდი, ბრიჯი, კ. უილიამსი, ელ ხალეჯი, დელაპი, ოკლი (ტესემი 8), ტელფერი, ბიტი, ა. სვენსონი, პახარსი (ორმეროდი 66)
მწვრთნელი: გორდონ სტრაკანი
გაფრთხილება: რობინსონი, ტესემი, ბიტი, პარკერი
მსაჯი: დოუდი
26 557 მაყურებელი

**ევერტონი 2:2 ლესტერი**

0:1, 0:2 დინი (18, 27), 1:2 ჩედვიკი (62), 2:2 ფერგიუსონი (85)
ევერტონი: ჯერარდი, უოტსონი (კ. კემპბელი 81), სტაბსი, უეირი, პისტონე, ანსუორთი, ჯემილი, გრავესენი, ალექსანდერსონი, რაძინსკი (ნ. ჩედვიკი 61), დ. ფერგიუსონი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ლესტერი: უოქერი, ფ. სინკლერი, როუეტი, ჰითი, დეივიდსონი, ს. ოუქსი, სევიჯი, ლ. მარშალი, პიპერი (რიჯი 71), დიკოვი (სტივენსონი 81), დინი (სტიუარტი 68)
მწვრთნელი: დეივ ბასეტი
გაფრთხილება: მარშალი, გრავესენი
მსაჯი: რენი
35 580 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 ლივერპული**

0:1 ოუენი (65)
სანდერლენდი: სორენსენი, დ. უილიამსი, კრედოკი (კილი 80), ბიორკლუნდი, მაკკარტნი, მაკატირი, კ. რეინა, გევინ მაკკენი, კილბეინი, ფილიპსი, ნ. ქუინი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ლივერპული: დუდეკი, შავიერი, ანჩოზი, ჰიპია, კარაგერი, ჯერარდი, ჰამანი, რიისე, ლიტმანენი (დ. მერფი 58), ოუენი (ჰესკი 90), ანელკა
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: რეინა, ჯერარდი, შავიერი, რეინა
გაძევება: რეინა (89)
მსაჯი: გალაჰერი
48 355 მაყურებელი

**ტოტენჰემი 1:1 ვესტ ჰემი**

1:0 შერინგემი (53), 1:1 პირსი (89)
ტოტენჰემი: კელერი, პერი, ტეტჩერი, ციგე (დოჰერტი 84), ე. გარდნერი, შერვუდი, ანდერტონი, ს. დევისი, პოიეტი, რებროვი (ივერსენი 46), შერინგემი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, ი. პირსი, რეპკა, დეილი, ლაბანტი (უინტერბერნი 60), შემელი, ლომასი, კარიკი, ტ. სინკლერი, დეფო, კანო
მწვრთნელი: გლენ როედერი
მსაჯი: ბერი
36 083 მაყურებელი

**პრემიერლიგის** პირველი ხუთეულის გუნდებიდან შაბათის ტური მხოლოდ ორმა ითამაშა. „მანჩესტერი" ისვენებდა, „არსენალს" და „ჩელსის" კი სათასო ნახევარფინალები ჰქონდათ.

შუა კვირაში ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალიდან გავარდნილი „ლივერპული" სანდერლენდს სტუმრობდა, სადაც მასპინძლები ლიგაში დასარჩენად იბრძვიან. „ლივერპულმა" მაინც გაიმარჯვა, „სანდერლენდს" საქმე კიდევ უფრო გაურთულდა, თამაშის გმირი კი სამი დღის განმავლობაში კრიტიკის ქარცეცხლში მყოფი მაიკლ ოუენი შეიქნა.

ოუენს აკრიტიკებდნენ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში ვერგამოყენებული სამი საგოლე შანსის გამო, სანდერლენდში კი მაიკლმა სტივენ ჯერარდის გადაცემა თითქოს ინსტინქტურად აქცია გოლად და თავისი გუნდი მეორე ადგილზე ააცოცა. ამ სეზონში პირველად „ლივერპულმა" სამი ნამდვილი თავდამსხმელით ითამაშა: ლიტმანენ-ოუენ-ანელკას ტრიომ მშვენივრად მოაწყო წინა ხაზი და ლიტმანენმა მხოლოდ მას შემდეგ დატოვა მოედანი, რაც მისი გუნდი დაწინაურდა.

„ის, რაც დღეს მოხდა, ჩემი ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგია — იხუმრა მერსისაიდელთა მენეჯერმა ჟერარ ულიემ — გუნდმა წარუმატებელი თამაშის შემდეგ ხასიათი გამოამჟღავნა".

მეტი ხმაური იყო „პრაიდ პარკზე", სადაც ლიგაში დარჩენისთვის თავგანწირვით მებრძოლი „დერბი ქაუნთი", მეორე ტაიმის დასაწყისში უკვე 2:0-ს უგებდა „ნიუკასლს", საბოლოოდ კი 2:3 წააგო, დერბელთა მენეჯერი ჯონ გრეგორი კი გვერდითი მსაჯის ლანძღვისთვის, მოედნისპირა სკამიდან გააძევეს.

ქულები „ნიუკასლსაც" ჰაერივით სჭირდებოდა, მენეჯერ ბობი რობსონის გამოთვლით: „ორი მოგება და ერთი ფრე ჩემპიონთა ლიგის საგზურს გვაძლევს".

„დერბის" გმირები მალკოლმ კრისტი და ლი მორისი იყვნენ, ორივემ ულამაზესი გოლები გაიტანეს, თუმცა გრეგორის გუნდმა მაინც ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება. ლორან რობერმა და კირონ დაიერმა სამწუთიან მონაკვეთში გაასწორეს ანგარიში. ფაბრიციო რავანელის შეეძლო გატანა გიორგი ქინქლაძის საუცხოო პასის შემდეგ, მაგრამ ბურთი ქარს გაატანა.

84-ე წუთზე კი ლომანა ტრეზორ ლუა-ლუამ გაიტანა თავის კარიერაში პირველი პრემიერლიგური გოლი, რა თქმა უნდა, ნოლბერტო სოლანოს კროსის შემდეგ. მოკლედ, „დერბიმ" წააგო, ჯონ გრეგორის კი ეგებ ასოციაციის სასჯელიც ხვდეს წილად, რაზან „უვიცი" უწოდა გვერდით მსაჯს ნიუკასლელთა მეორე გოლის ჩათვლის გამო. დაიერმა კი გაიტანა, მაგრამ პასის მიმცემი სოლანო თამაშგარეში იყო, თავი ვეღარ მოთოკა გრეგორიმ.

ამასობაში კი „ლიდსმა" სტუმრად მოუგო „ასტონ ვილას", თუმცა დევიდ ოლირის გუნდმა იმდენი რამ გადაიტანა მოედანზე და მის გარეთ ამ სეზონში, რომ ძნელი წარმოსადგენია, ცხრილში მაღლა აიწიოს. „უაით ჰართ ლეინზე" შეხვდნენ ერთმანეთს ძველი მეგობრების, ორი გლენის, ჰოდლისა და როედერის გუნდები. „ვესტ ჰემმა" ბოლო წუთებზე, იან პირსის შორეული დარტყმით გამოლიჯა ქულა „ტოტენჰემს", რომელიც ტედი შერინგემის გოლით იგებდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 33 | 21 | 9 | 3 | 68:33 | 35 | 72 | 16 | 9 | 4 | 3 | 34:22 | 12 | 31 | 17 | 12 | 5 | 0 | 34:11 | 23 | 41 |
| 2 ლივერპული | 34 | 21 | 8 | 5 | 56:26 | 30 | 71 | 16 | 9 | 5 | 2 | 22:11 | 11 | 32 | 18 | 12 | 3 | 3 | 34:15 | 19 | 39 |
| 3 მანჩესტერი | 34 | 22 | 4 | 8 | 83:44 | 39 | 70 | 17 | 11 | 1 | 5 | 40:16 | 24 | 34 | 17 | 11 | 3 | 3 | 43:28 | 15 | 36 |
| 4 ნიუკასლი | 34 | 19 | 7 | 8 | 65:46 | 19 | 64 | 17 | 10 | 3 | 4 | 34:22 | 12 | 33 | 17 | 9 | 4 | 4 | 31:24 | 7 | 31 |
| 5 ჩელსი | 35 | 16 | 13 | 6 | 63:32 | 31 | 61 | 17 | 11 | 4 | 2 | 42:15 | 27 | 37 | 18 | 5 | 9 | 4 | 21:17 | 4 | 24 |
| 6 ლიდსი | 35 | 16 | 12 | 7 | 51:36 | 15 | 60 | 17 | 8 | 6 | 3 | 30:20 | 10 | 30 | 18 | 8 | 6 | 4 | 21:16 | 5 | 30 |
| 7 ვესტ ჰემი | 34 | 13 | 8 | 13 | 42:51 | -9 | 47 | 17 | 10 | 4 | 3 | 27:13 | 14 | 34 | 17 | 3 | 4 | 10 | 15:38 | -23 | 13 |
| 8 ტოტენჰემი | 35 | 13 | 7 | 15 | 46:50 | -4 | 46 | 18 | 9 | 4 | 5 | 31:24 | 7 | 31 | 17 | 4 | 3 | 10 | 15:26 | -11 | 15 |
| 9 მიდლსბრო | 34 | 12 | 9 | 13 | 34:40 | -6 | 45 | 17 | 7 | 5 | 5 | 22:21 | 1 | 26 | 17 | 5 | 4 | 8 | 12:19 | -7 | 19 |
| 10 ასტონ ვილა | 35 | 10 | 13 | 12 | 39:43 | -4 | 43 | 18 | 7 | 7 | 4 | 20:16 | 4 | 28 | 17 | 3 | 6 | 8 | 19:27 | -8 | 15 |
| 11 საუთჰემპტონი | 35 | 11 | 9 | 15 | 42:50 | -8 | 42 | 17 | 6 | 5 | 6 | 20:20 | 0 | 23 | 18 | 5 | 4 | 9 | 22:30 | -8 | 19 |
| 12 ჩარლტონი | 35 | 10 | 12 | 13 | 36:44 | -8 | 42 | 18 | 5 | 5 | 8 | 21:28 | -7 | 20 | 17 | 5 | 7 | 5 | 15:16 | -1 | 22 |
| 13 ევერტონი | 35 | 10 | 10 | 15 | 40:51 | -11 | 40 | 18 | 8 | 4 | 6 | 25:21 | 4 | 28 | 17 | 2 | 6 | 9 | 15:30 | -15 | 12 |
| 14 ბოლტონი | 34 | 9 | 12 | 13 | 42:54 | -12 | 39 | 17 | 5 | 6 | 6 | 19:28 | -9 | 21 | 17 | 4 | 6 | 7 | 23:26 | -3 | 18 |
| 15 სანდერლენდი | 35 | 10 | 8 | 17 | 26:45 | -19 | 38 | 18 | 7 | 6 | 5 | 17:15 | 2 | 27 | 17 | 3 | 2 | 12 | 9:30 | -21 | 11 |
| 16 ფულემი | 34 | 8 | 13 | 13 | 32:41 | -9 | 37 | 17 | 6 | 6 | 5 | 18:16 | 2 | 24 | 17 | 2 | 7 | 8 | 14:25 | -11 | 13 |
| 17 ბლეკბერნი | 33 | 9 | 9 | 15 | 42:43 | -1 | 36 | 17 | 7 | 5 | 5 | 28:18 | 10 | 26 | 16 | 2 | 4 | 10 | 14:25 | -11 | 10 |
| 18 იფსვიჩი | 34 | 8 | 9 | 17 | 40:56 | -16 | 33 | 17 | 5 | 4 | 8 | 19:23 | -4 | 19 | 17 | 3 | 5 | 9 | 21:33 | -12 | 14 |
| 19 დერბი ქაუნთი | 35 | 8 | 5 | 22 | 32:59 | -27 | 29 | 18 | 5 | 4 | 9 | 20:25 | -5 | 19 | 17 | 3 | 1 | 13 | 12:34 | -22 | 10 |
| 20 ლესტერი | 35 | 4 | 11 | 20 | 26:61 | -35 | 23 | 17 | 2 | 6 | 9 | 11:31 | -20 | 12 | 18 | 2 | 5 | 11 | 15:30 | -15 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 23 |
| ანრი (არსენალი) | 22 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 21 |
| კრუში (ასტონ ვილა) | 19 |
| შირერი (ნიუკასლი) | 18 |
| სოლსკაერი (მანჩესტერი) | 16 |
| ფაულერი (ლიდსი) | 15 |
| ოუენი (ლივერპული) | 15 |

**XXXVI ტური**
**20 აპრილი**

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | - | იფსვიჩი |
| ბოლტონი | - | ტოტენჰემი |
| ჩელსი | - | მანჩესტერი |
| ლიდსი | - | ფულემი |
| ლესტერი | - | ასტონ ვილა |
| ლივერპული | - | დერბი ქაუნთი |
| მიდლსბრო | - | ბლეკბერნი |
| ნიუკასლი | - | ჩარლტონი |
| საუთჰემპტონი | - | ევერტონი |
| ვესტ ჰემი | - | სანდერლენდი |

## პირველი დივიზიონი
### XLV ტური

**ვულვერჰემპტონი 1:0 უიმბლდონი**
1:0 ბლეიქი (23)

**ბარნსლი 0:2 ნორვიჩი**
0:1 ნილსენი (41), 0:2 მაკვეიგი (61)

**ბრედფორდი 0:1 ვესტ ბრომვიჩი**
0:1 ბალისი (90პ)

**კრისტალ პალასი 2:0 პრესტონი**
1:0 ჰოპკინი (54), 2:0 აკინბიი (63)

**ჯილინგემი 1:3 მანჩესტერ სიტი**
0:1 ჰორლოკი (20), 1:1 ონუორა (34), 1:2 გოტერი (39), 1:3 მაკენი (85)

**გრიმსბი 3:1 ბარნლი**
1:0 ბულდინგი (6), 2:0 ალენი (12), 3:0 ბულდინგი (43), 3:1 ბრისკო (89)

**ნოტინგემი 2:2 კრიუ**
1:0 ბოპი (50), 2:0 ლუი-ჟანი (65), 2:1 ჯაკი (76), 2:2 რაიტი (81)

**პორტსმუთი 0:1 უოტფორდი**
0:1 ვებერი (60)

**როტერჰემი 2:2 ბირმინგემი**
1:0 ბიდილდი (36), 1:1 გრაინჯერი (38), 2:1 მაკინტოში (60), 2:2 ჰიუზი (70პ.)

**შეფილდ იუნაიტედი 0:1 უოლსოლი**
0:1 ლეიტონი (43)

**სტოკპორტი 3:1 შეფილდ უენზდი**
0:1 ბ. ქუინი (8), 1:1 უილბრეჰემი (9), 2:1, 3:1 ბექეტი (52, 89)

**კოვენტრი 0:1 მილუოლი**
0:1 კლარიჯი (24)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 45 | 30 | 6 | 9 | 105:51 | 96 |
| ვესტ ბრომვიჩი | 45 | 26 | 8 | 11 | 59:29 | 86 |
| ვულვზი | 45 | 25 | 10 | 10 | 74:41 | 85 |
| მილუოლი | 45 | 21 | 11 | 13 | 66:47 | 74 |
| ბირმინგემი | 45 | 20 | 13 | 12 | 69:50 | 73 |
| ბარნლი | 45 | 20 | 12 | 13 | 69:62 | 72 |
| ნორვიჩი | 45 | 21 | 9 | 15 | 58:51 | 72 |
| პრესტონი | 45 | 19 | 12 | 14 | 69:58 | 69 |
| უიმბლდონი | 45 | 18 | 13 | 14 | 63:56 | 67 |
| კრისტალ პალასი | 45 | 20 | 6 | 19 | 70:60 | 66 |
| ქოვენთრი | 45 | 20 | 6 | 19 | 60:52 | 66 |
| ჯილინგემი | 45 | 17 | 10 | 18 | 61:65 | 61 |
| შეფილდი | 45 | 15 | 15 | 15 | 53:52 | 60 |
| უოტფორდი | 45 | 16 | 11 | 18 | 60:53 | 59 |
| ნოტინგემი | 45 | 12 | 18 | 15 | 49:49 | 54 |
| ბრედფორდი | 45 | 15 | 9 | 21 | 67:74 | 54 |
| პორტსმუთი | 45 | 13 | 14 | 18 | 59:69 | 53 |
| უოლსოლი | 45 | 13 | 11 | 21 | 49:69 | 50 |
| გრიმსბი | 45 | 12 | 14 | 19 | 49:70 | 50 |
| როტერჰემი | 45 | 10 | 19 | 16 | 52:64 | 49 |
| უენსდი | 45 | 12 | 13 | 20 | 47:69 | 49 |
| კრიუ | 45 | 11 | 13 | 21 | 45:76 | 46 |
| ბარნსლი | 45 | 10 | 15 | 20 | 58:86 | 45 |
| სტოკპორტი | 45 | 6 | 8 | 31 | 42:100 | 26 |

## მეორე დივიზიონი

45-ე ტური: ბლეკპული — ბრისტოლი 5:1; ბორნმუთი — ჩესტერფილდი 3:1; ბრაიტონი — სუინდონი 0:0; ბერი — კოლჩესტერი 1:3; კემბრიჯი — ტრანმერი 2:1; კარდიფი — ნოტსი 2:1; ჰადერსფილდი — პორტ ვეილი 2:1; ქუინზ პარკი — ბრენტფორდი 0:0; რედინგი — პიტერბორო 2:2; სტოკი — რექსემი 1:0; უიგანი — ნორთჰემპტონი 3:0; უაიკომბი — ოლდემი 2:1

## მესამე დივიზიონი

45-ე ტური: როჩდეილი — ჰალი 1:1; კარლაილი — პლიმუთი 0:2; ჩელტენემი — ოქსფორდი 2:0; დარლინგტონი — სკანთორპი 2:1; ჰარტლპული — სუონსი 7:1; ლეიტონი — ექსეტერი 1:1; ლინკოლნი — როშდეილი 1:1; ლუტონი — მაკლსფილდი 0:0; რაშდენი — კიდერმინსტერი 0:2; საუთენდი — შრუსბერი 0:2; ტორკი — ჰალიფაქსი 2:4; იორკი — მენსფილდი 3:1

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXXI ტური

**მიუნხენი 5:2 ფრაიბურგი**

1:0 შროთი (24), 2:0 რიზეთი (29), 2:1 ბუტი (32), 3:1 მაქსი (45), 4:1 ჩერნი (59), 4:2 მიულერი (66), 5:2 მაქსი (89პ)

ბუტმა ვერ გაიტანა პენალტი (84, მაკარი)

მიუნხენი: იენში, ბორდერი?, კურცი (ედერსი 60), ტ. ტაპალოვიჩი, ბორიმიროვი, რიზეთი, ჩერნი, მ. ვაისენბერგერი (შროთი 90), ჰესლერი, მაქსი, შროთი

მწვრთნელი: პეტერ პაკულტი

ფრაიბურგი: როისი, შ. მიულერი, დიარა, ა. ცაიერი (ბრუნერი 46), ჰერმელი (კონდე 65), კრუზი, ვილი, ვ. ბუტი, კულიბალი, რამდანე, ბრუნსი (სელიმი 65)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

გაფრთხილება: კურცი, ჰესლერი

მსაჯი: გაგელმანი

20 700 მაყურებელი

**ქიოლნი 2:1 ზანქტ პაული**

1:0 ლოტნერი (7), 1:1 იშმანი (46), 2:1 შერცი (90)

ქიოლნი: პრიოლი, სონგი, სიჩონე, ჩიკონი, კელერი (შერცი 68), ვოიცკე, ბალიტში, შპრინგერი (რაიხი 64), ლოტნერი, ბარანეკი (კრომე 77), კურტი

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

ზანქტ პაული: ჰენდლერი, მაინცმარტი, სტანისლავსკი, კიენცი (კოლინგერი 46), გიბსი, ბიურგერი, იშმანი, რაჰნი (რაკონელი 68), მეგელი, პაჩინსკი, რატი (ბარჩე 74)

მწვრთნელი: დიტმარ დემუტი

გაფრთხილება: სონგი, სიჩონე, ბარანეკი, რატი, პაჩინსკი

მსაჯი: შტარკი

26 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:1 ლევერკუზენი**

1:0 ბარბარეცი (5), 1:1 ნოივილე (13)

ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ჰოოგმა, ბენა, გრავესენი, ითუბელაშვილი?, ჰოლერბახი, ანტარი, ალბერტცი, ბარბარეცი, მეიერი (კრისტენსენი 81), რომეო

მწვრთნელი: კურტ იარა

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, რამელოვი, პლასენტე, ბალაკი, ბ. შნაიდერი, ბაშტურქი, ზე რობერტო, ნოივილე (სებესკენი 81), ბერბატოვი (კირსტენი 74)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: ბენა, ბარბარეცი, ჰოოგმა, ზე რობერტო, ლუსიო, რამელოვი, ბაშტურქი, ბალაკი

მსაჯი: შტრამპე

54 503 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 1:0 დორტმუნდი**

1:0 პეტერსონი (48)

კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰენგენი, ჰ. რამზი, ქნავსი, გრამოცისი, რიდლე, ბასლერი, ხრისტოვი, პეტერსონი (მარშალი 71), კლოზე (გაბრიელი 87), ლოკვენცი

მწვრთნელი: ანდრეას ბრემე

დორტმუნდი: ლემანი, ვორნსი, იურგენ კოლერი, ევანილსონი, მეცელდერი, კელი, რიკენი (ბერლინი 76), ო. ადდო (ეველტონი 68), როსიცკი, ამოროზო, იან კოლერი

მწვრთნელი: მათიას ზამერი

გაფრთხილება: გრამოცისი, ხრისტოვი, რიდლე, იან კოლერი

მსაჯი: ალბრეხტი

40 600 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:2 ბაიერნი**

0:1 ელბერი (11), 0:2 პიზარო (41), 1:2 კრჟინოვეკი (73პ)

ნიურნბერგი: კამპა, ნიკლი, კოში, სანე, ვოლფი, ლ. მიულერი, ლარსენი (გრაი 67), კრჟინოვეკი, იაროლიმი (ვოლფი 90), კაკაუ, რინკი (გომისი 81)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლინკე, რ. კოვაჩი, ლიზარაზიუ, ჰარგრივსი, ნ. კოვაჩი (იერემიესი 81), სალიჰამიჯიჩი (ა. ციკლერი 88), ეფენბერგი, ელბერი (სანტა კრუსი 76), კ. პიზარო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: ვოლფი, კოში, ჰარგრივსი, კოში, კანი, რ. კოვაჩი

გაძევება: კოში (74)

მსაჯი: კრუგი

44 696 მაყურებელი

**ვერდერი 3:0 შალკე**

1:0 ბოუმანი (24), 2:0 აილტონი (63), 3:0 ფრინგსი (77)

ვერდერი: ფ. როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, სტალტერი, ვერნერი (ტიჯანი 88), ფ. ერნსტი, სკრიპნიკი (მაინი 86), ფრინგსი, ბანოვიჩი (ბოროვსკი 81), აილტონი

მწვრთნელი: თომას შაფი

შალკე: რეკი, ვალდოხი, ვან ჰოოგდალემი, ვან კერკჰოვენი, უდე კამფუისი, ნემეცი (ბიოტი 46), ვილმოტსი (ვერმანტი 76), მიოლერი, ბოომსანდი, ე. მპენზა (აგალი 68)

მწვრთნელი: ჰუბ სტივენსი

გაფრთხილება: ვერმანტი, უდე კამფუისი, ვან კერკჰოვენი, მპენზა

მსაჯი: ფაგნერი

35 600 მაყურებელი

**ჰერთა 1:0 ჰანზა**

1:0 ალვეში (2)

ჰერთა: კირალი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, მარქსი (სვერისონი 90), ჰარტმანი, დარდაი, ბაინლიხი, მარსელინიო, გოორი (შმიდტი 75), ალვეში, პრეეცი

მწვრთნელი: ფალკო გოტცი

ჰანზა: კლაიერი, ლანგე (ბაუმგარტი 73), იაკობსონი, ჰილი, ემარა, ჰირში, ლანგე, ვიბრანი (ბიდო 85), ისიგრი, მაული, არვიდსონი

მწვრთნელი: გიუნტერ ფეე

გაფრთხილება: სიმუნიჩი, მარქსი

მსაჯი: მაიერი

42 537 მაყურებელი

**შტუტგარტი 0:0 კოტბუსი**

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მეირა, ვენცელი, მაისნერი (მარკუში 65), ჰ. გერბერი, სოლდო, გლეჰი, ბალაკოვი, ტიფერტი (ბრიუნი 88), ადჰემარი (განეა 65), დუნდეე

მწვრთნელი: ფელიქს მაგატი

კოტბუსი: პიპლიცა, შეიოკი, და სილვა, ბეიერი, როზიჩი, კობილანსკი, აკრაპოვიჩი, რეგუკამბეი, შრიოტერი, მირიუტა, ჰელბიგი (რაინჰარტი 59), ტოპიჩი (მატიუში 89)

მწვრთნელი: ედუარდ გაიერი

გაფრთხილება: და სილვა, ჰელბიგი, მირიუტა

მსაჯი: იანსენი

21 000 მაყურებელი

**გლადბახი 0:2 ვოლფსბურგი**

0:1, 0:2 კლიმოვიჩი (48, 60)

მიონხენგლადბახი: მაიერი, ებერლი, შტასინი, ასანინი, მიუნხი, ა. კლუგე (მუნტეანუ 57), დემო (ოჰერი 55), ულიხი, აიდლო (ფილკენსი 64), ვან ლენტი, ვან ჰოუდტი

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, ბილიჩკოვა, შნოორი, ვაიზერი, აკონორი, ა. მარიჩი (მაერაი 90), კარჰანი, გ. პეტროვი (ს. მიულერი 62), ოსტროგაკი, კლიმოვიჩი

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

გაფრთხილება: ვან ჰოუდტი

მსაჯი: კოლბი

26 900 მაყურებელი

# რუმენიგემ დაიბარა...



„REUTERS"

კაიზერსლაუტერნი — დორტმუნდი. იან კოლერმა (მარჯვნივ) საგოლედ ვერ ამოარტყა

**ზოგჯერ** ვიტყვით ხოლმე, ამას თუ იმას ქულა არ სჭირდება, სატურნირო მოტივაცია აღარ აქვს და თავს ზედმეტად რატომ შეიწუხებსო. ასეთი ფსიქოლოგია ჯერ კიდევ საბჭოეთის დროიდან ჩამოგვიყალიბდა, საქართველოს ჩემპიონატზე ხომ ლაპარაკით ზედმეტია. მაგრამ სადაც ნაღდი ფეხბურთია, იქ ხალხიც სხვაგვარად ფიქრობს. აი, თუნდაც ბუნდესლიგის ბოლო ტურზე ვთქვით, ცხადია, რაღაც ფინანსური სტიმულატორებიც მოქმედებს, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც პროფესიონალიზმი და საკუთარი გულშემატკივრის ერთგულება დგას. აბა, დღევანდელ ვითარებაში რაღა უნდა აწუხებდეს, ვთქვათ, „ჰამბურგს" ან „ვერდერს", მაგრამ ლიდერებს ისეთი ომი გაუმართეს, რომ...

ჰამბურგელებმა „ლევერკუზენს" ორი ქულა დასტყუეს და მათ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს ათქმევინეს: რად დაგვიჯდება ეს ფრე ჩემპიონატის ბოლო დღეს გავიგებთო.

„აოლ-არენაზე" თამაში დაძაბული და ფიცხი გამოდგა, ფეხბურთელები ხშირად კინკლაობდნენ და ცოტა დააკლდათ მუშტი-კრივზე გადასულიყვნენ. მასპინძლები დასაწყისშივე დაწინაურდნენ, გოლი ბოსნიელმა სერგი ბარბარესმა გაიტანა, თუმც სტუმრები ვალში არ დარჩნენ და მალევე გაათანაბრეს, ზე რობერტოს პასი ოსტატურად გამოიყენა ოლივერ ნოივილმა. ბოლოსკენ ნოივილი შესაცვლელი შეიქნა და ექიმების ვარაუდით, ბუნდესნაკრების შემტევს ფეხის თითი აქვს მოტეხილი.

ერთი ხანი „ბაიერი" სათამაშო უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ანთებულ ჰამბურგელებს ველარაფერი მოუხერხა. ტაიმის ბოლოს ბრაზილიელი ლუსიოს დარტყმის შემდეგ მასპინძელმა იორგ ალბერტცმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი, მერე კი დიმიტარ ბერბატოვმა ნაღდი მომენტი გააცუდა. დაძაბულმა გრაფიკმა თავისი მაინც გაიტანა და ბოლოსკენ „ბაიერი" დაიღალა. დაიღალა და რომ არა მეკარე ბუტის ყოჩაღობა, წაგებასაც ვერ გადაურჩებოდა. ბუტმა რომეოს, ალბერტცისა და იუეფალუშის ისეთი დარტყმები მოიგერია, რომ... ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

საინტერესოა, რომ „ჰამბურგს" შინ 10 თამაშია აღარ წაუგია. ტოპმიოლერმა კი ესღა თქვა: „სამი მატჩი კიდევ დაგვრჩა, ორი შინ და ერთი სტუმრად. გარწმუნებთ, ყველაფერს გავაკეთებთ პირველობის მოსაპოვებლად. ბუნდესლიგაში გამარჯვება ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ამოცანას, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგაც კი შევწიროთ".

ბოლო დროს გამოცოცხლებულმა „ვერდერმა" „შალკეს" მოუგო და მიუნხენის „ბაიერნს" მესამე, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილზე აცოცების საშუალება მისცა. ბრემენელები წლეულს გელზენკირხენელთათვის მეტად უხერხული მოწინააღმდეგეები გამოდგნენ, პირველ წრეში ხომ 4:1 დაანგრიეს და ახლა ზედ 3:0 დააყოლეს. „შალკეს" მენეჯერმა რუდი ასაუერმა ხუმრობანარევი სიმართლით დასძინა: „ვერ გეტყვით, რა მოხდა, ეგებ საგაზაფხულო გადაღლამ იმოქმედა, ეგებ ფეხბურთელებმა ვერ გამოიძინეს, შეიძლება ბურთი იყო არასწორად გაბერილი, ან მინდორი უსწორმასწორო. რას გაიგებ"...

„ბაიერნმა" კი ნიურნბერგში მოიგო. სტუმართა თითქმის ყველა ხეირიანი შეტევა მარცხენა ფრთიდან ვითარდებოდა, სადაც ფრანგი ბიქსენტ ლიზარაზუ ბრწყინავდა. თამაში ჯეროვნად გახურებულიც არ იყო, რომ ეფენბერგის ჩაწოდებას ელბერის გოლი მოჰყვა. ტაიმის ბოლოს კი იმავე ეფენბერგის კუთხურს პერუელმა პიზარომ მეორე მიაყოლა. მრისხანე „ბაიერნის" უპირატესობას ნიურნბერგელები არ დაუბნევია და ჯიქურ შეუტიეს. ბაიერნელთა ბედი, რომ კარში ოლივერ კანი ჰყავთ, თორემ ვინ ვის აჯობებდა, კიდევ საკითხავია. 73-ე წუთზე რობერტ კოვაჩმა თავის საჯარიმოში ჩარევა წააქცია და კრჟინოვეკმა პენალტით ერთი გააქვითა, მალევე მასპინძლებმა ჰარგრივსთან უხეშობისთვის მეკარე კოში გაუძევეს, მაგრამ ისინი უმცირესობაშიც ომობდნენ. ეგ არის, დრო აღარ ეყოთ და „ბაიერნმა" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა წაიღო შინ.

„ნიურნბერგის" მწვრთნელი კლაუს აუგენტალერი: „ბაიერნელებს დიდი ბრძოლა გავუმართეთ, თუმცა გოლები ძალიან იოლად გავატანინეთ. ახლა გელზენკირხენში უნდა ჩავიდეთ, მერე კი, ვიმედოვნებთ, „ლევერკუზენი" უკვე ჩემპიონად გვეწვევა და ქულას მაინც ავართმევთ".

„ბაიერნის" მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი: „ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. ჩემ ფეხბურთელებს ჯერაც ვერ დაუვიწყებიათ „რეალთან" მარცხი და ამდენად, მოგება უმთავრესად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გვჭირდებოდა. დიდი მადლობა ოლივერ კანს, მან ნამდვილად გადაგვარჩინა. სხვა მხრივ კი, მთლად გონივრულად ვერ ვითამაშეთ და ბოლო წამებამდე გავიწვალეთ თავი".

ული ჰიონესი, „ბაიერნის" მენეჯერი: „ყველაფერი რომ ვთქვა, რასაც ახლანდელ გუნდზე ვფიქრობ, ვინძლო ამან საქმეს ავნოს"...

კარლ-ჰაინც რუმენიგე, სააქციო საზოგადოება „ბაიერნის" მმართველობის თავმჯდომარე: „თუ ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოვხვდებით, ფეხბურთელებს ხელფასებს დავაკლებთ"...

„ნიურნბერგის" წაგებამ ჩვენებურთა „ფრაიბურგის" წისქვილზეც დაასხა წყალი. ფოლკერ ფინკეს უქართველებო გუნდმა კი, რა თქმა უნდა, ისევ წააგო, თანაც ზედიზედ მეექვსედ, მაგრამ ბუნდესლიგაში დარჩენის შანსი ჯერ კიდევ აქვს.

**სოლომონ ბულისკერიძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლევერკუზენი | 31 | 20 | 6 | 5 | 74:34 | 40 | 66 | 15 | 13 | 1 | 1 | 43:10 | 33 | 40 | 16 | 7 | 5 | 4 | 31:24 | 7 | 26 |
| 2 დორტმუნდი | 31 | 18 | 7 | 6 | 54:28 | 26 | 61 | 15 | 10 | 3 | 2 | 27:10 | 17 | 33 | 16 | 8 | 4 | 4 | 27:18 | 9 | 28 |
| 3 ბაიერნი | 31 | 17 | 8 | 6 | 58:23 | 35 | 59 | 15 | 10 | 5 | 0 | 36:8 | 28 | 35 | 16 | 7 | 3 | 6 | 22:15 | 7 | 24 |
| 4 ჰერთა | 31 | 17 | 7 | 7 | 58:33 | 25 | 58 | 16 | 12 | 2 | 2 | 38:13 | 25 | 38 | 15 | 5 | 5 | 5 | 20:20 | 0 | 20 |
| 5 შალკე | 31 | 17 | 7 | 7 | 49:31 | 18 | 58 | 15 | 12 | 2 | 1 | 35:11 | 24 | 38 | 16 | 5 | 5 | 6 | 14:20 | -6 | 20 |
| 6 ლაუტერნი | 31 | 16 | 5 | 10 | 54:46 | 8 | 53 | 16 | 10 | 4 | 2 | 35:21 | 14 | 34 | 15 | 6 | 1 | 8 | 19:25 | -6 | 19 |
| 7 ვერდერი | 31 | 15 | 5 | 11 | 48:38 | 10 | 50 | 16 | 10 | 2 | 4 | 26:19 | 7 | 32 | 15 | 5 | 3 | 7 | 22:19 | 3 | 18 |
| 8 შტუტგარტი | 31 | 12 | 9 | 10 | 38:35 | 3 | 45 | 16 | 7 | 5 | 4 | 21:13 | 8 | 26 | 15 | 5 | 4 | 6 | 17:22 | -5 | 19 |
| 9 მიუნხენი | 31 | 14 | 3 | 14 | 51:53 | -2 | 45 | 16 | 8 | 2 | 6 | 28:30 | -2 | 26 | 15 | 6 | 1 | 8 | 23:23 | 0 | 19 |
| 10 ვოლფსბურგი | 31 | 11 | 7 | 13 | 51:47 | 4 | 40 | 15 | 8 | 3 | 4 | 30:17 | 13 | 27 | 16 | 3 | 4 | 9 | 21:30 | -9 | 13 |
| 11 ჰამბურგი | 31 | 9 | 10 | 12 | 41:49 | -8 | 37 | 16 | 7 | 6 | 3 | 32:21 | 11 | 27 | 15 | 2 | 4 | 9 | 9:28 | -19 | 10 |
| 12 გლადბახი | 31 | 9 | 10 | 12 | 36:46 | -10 | 37 | 15 | 6 | 4 | 5 | 17:15 | 2 | 22 | 16 | 3 | 6 | 7 | 19:31 | -12 | 15 |
| 13 კოტბუსი | 31 | 9 | 7 | 15 | 33:52 | -19 | 34 | 15 | 8 | 3 | 4 | 24:17 | 7 | 27 | 16 | 1 | 4 | 11 | 9:35 | -26 | 7 |
| 14 ჰანზა | 31 | 9 | 6 | 16 | 32:46 | -14 | 33 | 16 | 6 | 5 | 5 | 19:17 | 2 | 23 | 15 | 3 | 1 | 11 | 13:29 | -16 | 10 |
| 15 ნიურნბერგი | 31 | 8 | 4 | 19 | 29:53 | -24 | 28 | 16 | 6 | 3 | 7 | 20:23 | -3 | 21 | 15 | 2 | 1 | 12 | 9:30 | -21 | 7 |
| 16 ფრაიბურგი | 31 | 5 | 9 | 17 | 30:58 | -28 | 24 | 15 | 4 | 5 | 6 | 18:22 | -4 | 17 | 16 | 1 | 4 | 11 | 12:36 | -24 | 7 |
| 17 ქიოლნი | 31 | 5 | 8 | 18 | 20:57 | -37 | 23 | 16 | 4 | 5 | 7 | 14:21 | -7 | 17 | 15 | 1 | 3 | 11 | 6:36 | -30 | 6 |
| 18 ზანქტ პაული | 31 | 4 | 10 | 17 | 33:60 | -27 | 22 | 15 | 4 | 4 | 7 | 17:21 | -4 | 16 | 16 | 0 | 6 | 10 | 16:39 | -23 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაქსი (მიუნხენი) | 16 |
| ამოროზო (დორტმუნდი) | 15 |
| ბალაკი (ლევერკუზენი) | 15 |
| ელბერი (ბაიერნი) | 15 |
| აილტონი (ვერდერი) | 15 |
| პიზარო (ბაიერნი) | 14 |

### XXXII ტური

20 აპრილი

კოტბუსი - მიუნხენი
გლადბახი - შტუტგარტი
ბაიერნი - ჰერთა
შალკე - ნიურნბერგი
ლევერკუზენი - ვერდერი
ზანქტ პაული - ჰამბურგი
დორტმუნდი - ქიოლნი
ფრაიბურგი - ლაუტერნი
ვოლფსბურგი - ჰანზა

## მეორე ბუნდესლიგა

### XXXI ტური

**უნტერჰახინგი 1:1 ფიურტი**

1:0 ზაიფერტი (7), 1:1 აზუზი (17)

ფიურტი: რაიხოლდი, უნსოლდი, ბოი, მამიჩი (შლაუფი 31), სურმანი, რუმანი (დემეტრაძე 76), აზუზი, რაიხელი, დეურაკი, ჰეკენმიულერი (კროოთი 52), ამანატიდისი

მწვრთნელი: ბოიკე ბაბი

მსაჯი: შტაინბორნი

8 600 მაყურებელი

**ბაბელსბერგი 1:2 ვალდჰოფი**

0:1 მაქსიმოვი (17), 1:1 დოვე (32), 1:2 მაქსიმოვი (61)

**ბოხუმი 3:0 დუისბურგი**

1:0 ბაშემანი (58), 2:0, 3:0 ტ. კრისტიანსენი (70, 85)

**კარლსრუე 1:0 როიტლინგენი**

1:0 გრაფი (58)

**ალენი 3:1 მაინფურტი**

1:0 ბელა (26), 2:0 დორნატო (38), 3:0 ბელა (86), 3:1 ჰებერლე (90)

**ჰანოვერი 1:2 აინტრახტი**

1:0 მუსა ნდიაე (10), 1:1 ს. ჩირიჩი (16), 1:2 შური (32)

**ალემანია 1:2 უნიონი**

0:1 დივაჩი (4), 1:1 გრლიჩი (37), 1:2 დივაჩი (55)

**ობერჰაუზენი 2:1 ზაარბრიუკენი**

1:0 შარპენბერგი (44), 2:0 ოუდეტი (59), 2:1 ჰალე (71)

**მაინცი — არმინია**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰანოვერი | 31 | 20 | 9 | 2 | 82:32 | 69 |
| მაინცი | 30 | 17 | 8 | 5 | 59:32 | 59 |
| არმინია | 30 | 17 | 7 | 6 | 61:31 | 58 |
| ბოხუმი | 31 | 17 | 7 | 7 | 63:46 | 58 |
| ფიურტი | 31 | 16 | 9 | 6 | 59:34 | 57 |
| უნიონი | 31 | 15 | 8 | 8 | 57:36 | 53 |
| აინტრახტი | 31 | 13 | 10 | 8 | 48:41 | 49 |
| ალენი | 31 | 13 | 6 | 12 | 55:64 | 45 |
| დუისბურგი | 31 | 11 | 9 | 11 | 53:48 | 42 |
| ვალდჰოფი | 31 | 10 | 9 | 12 | 39:44 | 39 |
| კარლსრუე | 31 | 10 | 8 | 13 | 40:47 | 38 |
| როიტლინგენი | 31 | 11 | 5 | 15 | 44:52 | 38 |
| ობერჰაუზენი | 31 | 10 | 7 | 14 | 49:46 | 37 |
| ალემანია | 31 | 11 | 4 | 16 | 38:61 | 37 |
| უნტერჰახინგი | 31 | 8 | 8 | 15 | 36:46 | 32 |
| შვაინფურტი | 31 | 6 | 5 | 20 | 26:63 | 23 |
| ზაარბრიუკენი | 31 | 4 | 7 | 20 | 22:66 | 19 |
| ბაბელსბერგი | 31 | 4 | 4 | 23 | 34:76 | 16 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

29-ე ტური: დიუსელდორფი — ოსნაბრიუკი 4:1; კილი — მიუნსტერი 0:0; ფერლი — იუერდინგენი 2:1; ლევერკუზენი (მ) — დრეზდენი 1:1; ბრაუნშვაიგი — ვერდერი (მ) 3:0; ესენი — ქემნიცი 3:2; მაგდებურგი — ლიუბეკი 2:3; აუე — პადერბორნი 2:1; ვატენშაიდი — ფორტუნა 1:1

## სამხრეთ რეგიონალლიგა

29-ე ტური: ელვერსბერგი — დარმშტადტი 2:1; შტუტგარტი (მ) — ბურგჰაუზენი 1:2; ალენი — აშაფენბურგი 7:0; ფულდა — კაიზერსლაუტერნი (მ) 0:2; ოფენბახი — ბაიერნი (მ) 0:0; რეგენსბურგი — ერფურტი 1:0; ტრირი — კობლენცი 2:2; მანჰაიმი — ვეენი 0:0; ზიგენი — ჰოფენჰაიმი 3:2

## ესპანეთი
პრიმერადივიზიონი
XXXIV ტური

# ეგრე არ არის, რეალო, ვალენსიავ და სხვებო!


REUTERS

დეპორტივო — ესპანიოლი. დიეგო ტრისტანს ქაჩეს, ქაჩეს, ვერ დაქაჩეს

### მალიორკა 1:1 ვალენსია
1:0 ლუკე (45), 1:1 ბარახა (62)
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, ნივიერი, ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო, იბაგაზა (ნოვო 73), მარკოსი, რობლესი (პანდიანი 65), ეტოო, ლუკე
მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი
ვალენსია: კანიზარესი, ჟუკინი, მარჩენა (მისტა 83), კარბონი, კური ტორესი, ალბელდა, ბარახა, კილი გონსალესი (ვისენტე 45), რუფეტე (ხუან სანჩესი 63), აიმარი, ანგულო
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ოლაიზოლა, მარკოსი, აიმარი, ეტოო
მსაჯი: რამირეს დომინგესი
20 000 მაყურებელი

### ოსასუნა 3:1 რეალი
1:0 ფერნანდო (31), 2:0 ალფრედო (39), 2:1 მორიენტესი (49), 3:1 ივან როსადო (74)
ოსასუნა: უნსუე, იანგუასი, კრუჩაგა, ხოსემი, პაბლო კონტრერასი, ალფრედო (მალაბიონი 79), პუნიალი, ფერნანდო, გაბიდო, ლეკუმბერი, ივან როსადო (ალოიზი 86)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
რეალი: სესარი, სალგადო, იერო, რაულ ბრავო (მუნიტისი 64), ი. ელგერა, სოლარი (ა. კარანკა 46), მაკელელე, ფიგუ, ზიდანი, რაული, მორიენტესი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ალფრედო, სოლარი, ფერნანდო, ფიგუ, ხოსემი, რაული, იერო
გაძევება: ელგერა (45)
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
16 237 მაყურებელი

### დეპორტივო 3:1 ესპანიოლი
1:0 მაკაი (1), 2:0 ტრისტანი (7), 3:0 მაკაი (35), 3:1 როტჩენი (68)
დეპორტივო: მოლინა, რომერო, ნაიბეტი, კაპდევილა, მაურო სილვა, ფრანი (ამავისკა 46), სკალონი, სერხიო, ვალერონი (ჯალმინია 62), ტრისტანი (ემერსონი 80), მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ესპანიოლი: არგენსიო, ლოპო (რიკარდო 47), სოლდევილა, ნავასი, დავიდ გარსია, მორალესი, პალენსია (მაჩუ 65), პაულუ სოუზა (როტჩენი 50), მარტინ პოსე, დე ლუკასი, ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო ხავიერ ფლორესი
გაფრთხილება: მაურო სილვა, სოლდევილა, როტჩენი, დე ლუკასი, მაურო სილვა
გაძევება: სოლდევილა (66), მაურო სილვა (76)
მსაჯი: მეჯია დავილა
32 000 მაყურებელი

### ბარსელონა 3:2 ალავესი
1:0 სავიოლა (14), 2:0 როჩემბაკი (65), 2:1 მაგნო (70), 3:1 სავიოლა (89), 3:2 ივან ალონსო (90)
ბარსელონა: რეინა, ფ. დე ბური, აბელარდო, კოკო, პუიოლი, ხავი, კოკუ (მოტა 83), როჩემბაკი, ლუის ენრიკე (რეიზიგერი 90), სავიოლა, ოვერმარსი (გაბრი 56)
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
ალავესი: ერერა, კოლომინი, ტელესი, ლომბარდი, ლორენსო (მაგნო 64), იბონ ბეგონია, პაბლო (ივან ალონსო 76), კრუიფი, ასტუდილიო, ტურიელი (ვუჩკო 64), რუბენ ნავარო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ლორენსო, როჩემბაკი, ლომბარდი, კრუიფი
მსაჯი: პერეს პერესი
55 000 მაყურებელი

### ვილიარეალი 2:1 სელტა
0:1 ხესული (62), 1:1, 2:1 ვიქტორი (70, 77პ)
კატანიამ ვერ გაიტანა პენალტი (54, ააცილა)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, ბერუეტა, ჰოსე ალვარესი (ქავიერი 64), ბალესტეროსი, გალკა, ამორი, ხორხე ლოპესი (გრანაია 80), კალეხა, გუაირე (პალერმო 68), ვიქტორი
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
სელტა: კავალიერო, სილვინიო, კასერესი, მენდესი (გუსტავო ლოპესი 79), სერხიო, კარპინი, ედუ (ფ. მორისი 82), ხესული (მოსტოვოი 79), ლუქინი, ვაგნერი, კატანია
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ვაგნერი, ლუქინი, ბერუეტა, ბერუეტა, ჰოსე ალვარესი, ამორი
გაძევება: ბერუეტა (49)
მსაჯი: ლოსანო ანდრეუ
22 000 მაყურებელი

### სარაგოსა 2:2 ბილბაო
1:0 არაგონი (9), 1:1 ურსაისი (33), 1:2 ლარასაბალი (75პ), 2:2 მილოშევიჩი (90)
სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, კუარტერო, პაბლო, პაკო ხემესი (გარიტანო 82), არაგონი (მარკოს ვალესი 67), ხოსე იგნასიო, აკუნია, ხუანელე, მილოშევიჩი, გალეტი (ჟამელი 57)
მწვრთნელი: მარკოს ალონსო
ბილბაო: არანსუბია, ლარასაბალი, ალკორტა, ოსკარ ვალესი, ორბაისი, მურილიო, იესტე (დელ ჰორნო 80), გილერმე, ტიკო (კარლოს გარსია 68), ეზკერო, ურსაისი (გურპეგი 85)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: კუარტერო, პაბლო, პაკო ხემესი, ურსაისი, ოსკარ ვალესი, დელ ჰორნო, აკუნია, მურილიო
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
33 000 მაყურებელი

### ტენერიფე 2:1 ბეტისი
0:1 დენილსონი (4), 1:1 ბინუ (57), 2:1 ბიზი ფურტადო (74)
ტენერიფე: ხულიო იგლესიასი, ალექსისი, ლუსენიოგო, მუსტაფა, ბერმუდო (ბასავასი 69), იდალგო, მარტი, ბინუ, მარიონი, ბიზი ფურტადო (ბაიბე 82), ხოსუ (ხორდი 64)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი (მინგო 76), ბელენგერი, ტაისი (გუდიონსონი 77), ხუანიტო, კაპი, იტო, დენილსონი, ხოაკინი, ბენხამინი, ფანი (ამატო 37)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: პრატსი, ალექსისი, ბერმუდო, ლუის ფერნანდესი, იდალგო, ბელენგერი, ლუსენიოგო
მსაჯი: პუენტეს ლეირა
20 000 მაყურებელი

### სოსიედადი 2:1 მალაგა
0:1 დელი ვალდესი (33), 1:1 ხაბი ალონსო (41), 2:1 ლუის ალბერტო (69)
სოსიედადი: ვესტერველდი, ჰაური, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, დე პედრო, არანბურუ (ლუის ალბერტო 46), ხოხლოვი (ნიჰატი 90), ხაურეგი, კოვაჩევიჩი (დე პაულა 82), იდიაკესი
მწვრთნელი: რობერტო ოლაბე
მალაგა: პედრო კონტრერასი, ლოტუში, როტეტა, მიგელ ანხელი (ზარატე 74), ფერნანდო სანსი, ხოსემი (ლეკო 74), მუსამპა, რომერო, ხერარდო, დელი ვალდესი (კანაბალი 83), დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: პედრო კონტრერასი, რომერო, ხაბი ალონსო, იდიაკესი, იდიაკესი, დარიო სილვა, დარიო სილვა
გაძევება: იდიაკესი (73), დარიო სილვა (90)
მსაჯი: პინო სამორანო
25 000 მაყურებელი

### სევილია 1:1 ლას პალმასი
1:0 ტოედტლი (34), 1:1 ორლანდო (53)
სევილია: ნოტარიო, დავიდ კასტედო, ხუანმი (მოისესი 81), პაბლო ალფარო, ნიეგესი, ფრედი, ტორადო, კასკერო (ვ. სალასი 63), გალეარდო (ლუის ხილი 74), ტოედტლი, რეიესი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპარროსი
ლას პალმასი: ო. კინტანა, ოლიასი, სარასუა, ანხელი, ალბერტო, კესადა, ხაირო, ედუ ალონსო, ხორხე (მურგუი 66), პაბლო ლაგო (ტოვანტი 74), ორლანდო (რუბენი 69)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: ფრედი, ნიეგესი, კესადა, ორლანდო, სარასუა, ნიეგესი
გაძევება: ნიეგესი (85)
მსაჯი: პერეს ბურული
30 000 მაყურებელი

### რაიო ვალეკანო 1:0 ვალიადოლიდი
1:0 ერნანდესი (45)
რაიო ვალეკანო: ი. ეტხებერია, გრაფი, დე კინტანა, ერნანდესი, კორინო, მიშელი, კევედო, ფლორინი (ბლუშიო 48), პაბლო სანსი (ვიქტორ დიოგო 84), პერაგონი, ბოლიჩი (ასკოიტია 89)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ვალიადოლიდი: რიკარდო, პენა, მარკოსი, გასპარი, მარიო (ტონი 65), ტორეს გომესი, ხუსესი, ფერნანდო სანჩესი, ფერნანდო (ქუსტბიო 86), ბლანკო (პაჩონი 76), ლუის გარსია
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: დე კინტანა, პაჩონი
მსაჯი: ტელიოს სანჩესი
13 000 მაყურებელი

„რეალი" მოიგებდა, „ვალენსია" და „დეპორტივო" კი დამარცხდებოდნენ, რითაც მადრიდული კლუბი ფაქტობრივად ვადამდე გახდებოდა ესპანეთის ჩემპიონი და ეს ამბავი „სამეფო კლუბის" საუკუნოვან იუბილეს დაუკავშირდებოდა... არა, ბატონებო, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა და ძალიანაც კარგი — ისედაც გაურკვეველი სატურნირო ვითარება სულ მთლად ჩაიხლართა და დარჩენილი ტურები კიდევ უფრო საინტერესო გახდა, გულშემატკივარს კი სწორედ ეს უნდა.

ოცდამეთოთხმეტე ტური „ვალენსიას" წაფორხილებით დაიწყო და შევნიშნოთ, რომ თამაშიდან გამომდინარე, პალმა დე მალიორკაში ფრე სამართლიანი შედეგი იყო. ანგარიში კუნძულელმა ალბერტო ლუკემ გახსნა აუღებელი თავურით, რაც მეორე ტაიმში რუბენ ბარახამ ვისენტეს ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ გაქვითა. ამის გარდა კარგი მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა.

ერთი სიტყვით, ვალენსიელებმა ყურებჩამოყრილებმა დატოვეს ბალეარის კუნძულები და პამპლონელთა გმირობის იმედად დარჩნენ.

„ოსასუნას" გმირობა არ ჩაუდენია, ითამაშა როგორც შეეძლო, მაგრამ „რეალის" ყოვლად უსუსურობის ფონზე ესეც საკმარისი იყო — „რეალი" არაფრით გავდა იმ გუნდს, რამდენიმე დღით ადრე „ბაიერნს" რომ გაუსწორდა და მატჩის სადავეები მთლიანად მასპინძლებს გადააბარა.

თამაში საკმაოდ უხეში გამოდგა და პირველი გოლიც უხეშობის შედეგად გავიდა. სანტიაგო სოლარიმ სრულიად უადგილოდ ჯარიმა აიკიდა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, რაც ფერნანდომ გოლად გარდასახა. ხოლო მეორე გოლისას ალფრედომ ბურთი ზემოდან გადაუგდო მეკარე სესარს. ტაიმის მიწურულს სტუმრები კაცნაკლულნიც დარჩნენ — ივან ელგერას უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის წითელი აუფრიალეს.

შესვენების მერე მადრიდელებს გამოცოცხლება კი დაეტყოთ, რაც ფერნანდო მორიენტესის გოლში აისახა, მაგრამ ამის იქით საქმე აღარ წასულა. შეტევის ხაზის გასაძლიერებლად ვისენტე დელ ბოსკემ მცველი რაულ ბრავო პედრო მუნიტისით შეცვალა და მხოლოდ ის მოიმკო, რომ კაცნაკლულობის გამო ისედაც ზურგმოშიშვლებულმა უკანა ხაზი კიდევ უფრო დაასუსტა. შედეგად ივან როსადომ მესამე გოლიც გაიტანა და „ვალენსიას" ხასიათი გამოუკეთა (თავადაც რომ გაიხარა, თქმაც არ უნდა).

„ვალენსიამ" კი მიიღო მოულოდნელი საჩუქარი, მაგრამ საქმე ამეწყოო, „დეპორტივომ" უნდა თქვას. ლაკორუნიელები ახლა ლიდერს ორი ქულით ჩამორჩებიან, მეორეადგილოსანს კი — ერთით. და მთავარი ისაა, რომ „დეპორტივოს" ორივე მათგანთან სათამაშო აქვს.

გალისიელები „ესპანიოლს" იოლად რომ გაუსწორდებოდნენ, შვიდ წუთში გაირკვა, რადგან ამ დროისთვის როი მაკაის და დიეგო ტრისტანს ორი გოლი ჰქონდათ გატანილი. პირველივე ტაიმში მაკაიმ ერთიც შეაგდო და მაურო სილვას გარდა ყველა დაარწმუნა საბოლოო გამარჯვებაში. და მაურო სილვას რატომ არ სჯეროდა? აბა, როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ 3:1-ს იგებ, მომდევნო ტურში უმნიშვნელოვანესი მატჩი გელის ვალენსიაში და იმდენს ფაფხურობ, სანამ წითელ ბარათს არ გიჩვენებენ? „დეპორტივოს" მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ კი ამის გამო იხტიბარი არ გაიტეხა: „მაურო სილვა არც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ოლდ ტრეფორდზე" თამაშისას გვყავდა, მაგრამ „მანჩესტერის" დამარცხება მის გარეშეც შევძელით. ამიტომ ტრაგიკულს არაფერს ვხედავ".

კარლოს რექსაჩს პატრიკ კლუივერტი დასჯილი ჰყავდა, ხოლო რივალდო დაასვენა. აქედან გამომდინარე, თამაშის აწყობა ხავიერ სავიოლაზე მოუხდა და არგენტინელმაც დუბლი შეასრულა, რომლის გარეშეც „ბარსელონა" „ალავესს" ვერ დაამარცხებდა. ხოლო მატჩის შემდეგ რექსაჩმა მოულოდნელი რამ განაცხადა: „ბარსელონა" ჩემპიონობისთვის ბრძოლას დაუბრუნდა. დარჩენილ შეხვედრებს მოვიგებთ და თუ ჩვენს წინ მყოფებმა კვლავაც დაკარგეს ქულები..." სავიოლაზე კი რექსაჩმა თქვა, „ბარსელონაში" გადმოსვლამდეც დიდი ფეხბურთელი იყოო.

ზედა ოთხეულის ამბები ვთქვით, ახლა თუ ქვემოთ ჩავიხედავთ, უცნაურ რამეს აღმოვაჩენთ. კერძოდ, მეხუთედან მეთორმეტე ადგილებამდე მყოფი რვა გუნდიდან — „სელტა", „რეალ ბეტისი", „ბილბაო", „მალაგა", „ალავესი", „ესპანიოლი", „ვალიადოლიდი", „სევილია" — ერთმაც ვერ მოიგო. ჰოდა, რა გამოდის? ოცდამეთოთხმეტე ტური მაჩანჩალებისა ყოფილა. მართლაც, მეცამეტე ადგილიდან ცხრილის ბოლომდე მყოფი რვა გუნდიდან ხუთმა გაიმარჯვა, სამმაც ფრედ ითამაშა. ისე, ამათ თავიდანვე რომ ასე დაეწყოთ, ახლა გათამაშების ცხრილში ვინძლო საპირისპირო სურათი ყოფილიყო. მაგრამ მეორე მხრივ, როგორც ცხრილის თავში, ისევე ბოლოშიც ვითარება ოდნავაც ვერ გაირკვა და გავარდნის საშიშროება ბარე ათ გუნდს ემუქრება.

ტურის გმირად კი ვილიარეალელი მარტინ პალერმო შეგვიძლია მივიჩნიოთ. არგენტინელი ფეხბურთელი, რომელსაც კოჭის მოტეხვამ ოთხთვენახევარი გააცდენინა, „სელტასთან" შეხვედრაში 68-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში, მაშინ, როცა მისი გუნდი ათი კაცით დარჩენილიყო და 0:1 აგებდა. შესვლიდან ორ წუთში კი პალერმომ საჯარიმოს, ხოლო კიდევ შვიდ წუთში პენალტის დარტყმის უფლება მოინადირა და ბურთთან ორივე შემთხვევაში ვიქტორი მიუშვა. სწორედაც მოიქცა.

**გიორგი დარჯანია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 34 | 17 | 12 | 5 | 44:26 | 18 | 63 | 16 | 11 | 4 | 1 | 23:7 | 16 | 37 | 18 | 6 | 8 | 4 | 21:19 | 2 | 26 |
| 2 | რეალი | 34 | 18 | 8 | 8 | 65:37 | 28 | 62 | 17 | 13 | 4 | 0 | 44:13 | 31 | 43 | 17 | 5 | 4 | 8 | 21:24 | -3 | 19 |
| 3 | დეპორტივო | 34 | 18 | 7 | 9 | 57:38 | 19 | 61 | 17 | 12 | 3 | 2 | 35:11 | 24 | 39 | 17 | 6 | 4 | 7 | 22:27 | -5 | 22 |
| 4 | ბარსელონა | 34 | 16 | 9 | 9 | 57:33 | 24 | 57 | 17 | 10 | 5 | 2 | 38:16 | 22 | 35 | 17 | 6 | 4 | 7 | 19:17 | 2 | 22 |
| 5 | სელტა | 34 | 14 | 12 | 8 | 60:42 | 18 | 54 | 17 | 9 | 5 | 3 | 33:18 | 15 | 32 | 17 | 5 | 7 | 5 | 27:24 | 3 | 22 |
| 6 | ბეტისი | 34 | 13 | 14 | 7 | 36:28 | 8 | 53 | 17 | 10 | 5 | 2 | 23:10 | 13 | 35 | 17 | 3 | 9 | 5 | 13:18 | -5 | 18 |
| 7 | ბილბაო | 34 | 13 | 10 | 11 | 48:58 | -10 | 49 | 17 | 6 | 6 | 5 | 22:27 | -5 | 24 | 17 | 7 | 4 | 6 | 26:31 | -5 | 25 |
| 8 | მალაგა | 34 | 12 | 12 | 10 | 40:39 | 1 | 48 | 17 | 8 | 6 | 3 | 24:18 | 6 | 30 | 17 | 4 | 6 | 7 | 16:21 | -5 | 18 |
| 9 | ალავესი | 34 | 15 | 3 | 16 | 38:40 | -2 | 48 | 17 | 9 | 1 | 7 | 20:19 | 1 | 28 | 17 | 6 | 2 | 9 | 18:21 | -3 | 20 |
| 10 | ესპანიოლი | 34 | 12 | 8 | 14 | 42:49 | -7 | 44 | 17 | 11 | 2 | 4 | 30:17 | 13 | 35 | 17 | 1 | 6 | 10 | 12:32 | -20 | 9 |
| 11 | ვალიადოლიდი | 34 | 11 | 9 | 14 | 37:52 | -15 | 42 | 17 | 8 | 4 | 5 | 22:17 | 5 | 28 | 17 | 3 | 5 | 9 | 15:35 | -20 | 14 |
| 12 | სევილია | 34 | 10 | 11 | 13 | 45:39 | 6 | 41 | 17 | 5 | 6 | 6 | 23:18 | 5 | 21 | 17 | 5 | 5 | 7 | 22:21 | 1 | 20 |
| 13 | ვილიარეალი | 34 | 10 | 10 | 14 | 42:46 | -4 | 40 | 18 | 8 | 6 | 4 | 28:20 | 8 | 30 | 16 | 2 | 4 | 10 | 14:26 | -12 | 10 |
| 14 | სოსიედადი | 34 | 11 | 7 | 16 | 41:49 | -8 | 40 | 17 | 7 | 5 | 5 | 27:21 | 6 | 26 | 17 | 4 | 2 | 11 | 14:28 | -14 | 14 |
| 15 | ლას პალმასი | 34 | 9 | 12 | 13 | 37:43 | -6 | 39 | 17 | 7 | 8 | 2 | 23:14 | 9 | 29 | 17 | 2 | 4 | 11 | 14:29 | -15 | 10 |
| 16 | მალიორკა | 34 | 10 | 8 | 16 | 37:48 | -11 | 38 | 17 | 6 | 5 | 6 | 21:19 | 2 | 23 | 17 | 4 | 3 | 10 | 16:29 | -13 | 15 |
| 17 | ოსასუნა | 34 | 9 | 11 | 14 | 32:44 | -12 | 38 | 17 | 5 | 6 | 6 | 16:18 | -2 | 21 | 17 | 4 | 5 | 8 | 16:26 | -10 | 17 |
| 18 | რაიო ვალეკანო | 34 | 9 | 10 | 15 | 38:50 | -12 | 37 | 17 | 9 | 3 | 5 | 22:17 | 5 | 30 | 17 | 0 | 7 | 10 | 16:33 | -17 | 7 |
| 19 | სარაგოსა | 34 | 9 | 9 | 16 | 32:48 | -16 | 36 | 17 | 6 | 6 | 5 | 20:21 | -1 | 24 | 17 | 3 | 3 | 11 | 12:27 | -15 | 12 |
| 20 | ტენერიფე | 34 | 9 | 8 | 17 | 27:46 | -19 | 35 | 17 | 6 | 5 | 6 | 18:22 | -4 | 23 | 17 | 3 | 3 | 11 | 9:24 | -15 | 12 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტრისტანი (დეპორტივო) | 19 |
| მორიენტესი (რეალი) | 18 |
| კატანია (სელტა) | 17 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 16 |
| სავიოლა (ბარსელონა) | 15 |

### XXXV ტური
21 აპრილი

ესპანიოლი - ვილიარეალი
სელტა - ბარსელონა
ალავესი - სარაგოსა
ბილბაო - სევილია
ლას პალმასი - რაიო ვალეკანო
ვალიადოლიდი - ოსასუნა
რეალი - ტენერიფე
ბეტისი - სოსიედადი
მალაგა - მალიორკა
ვალენსია - დეპორტივო

## მეორე დივიზიონი
XXXVI ტური

### ლევანტე 1:2 ლეგანესი
1:0 სეტკალსი (18), 1:1 მიგელ ანხელი (48პ), 1:2 არნალი (86)

### უელვა 1:0 ეიბარი
1:0 გალანი (90)

### ატლეტიკო 0:0 ხერესი

### სპორტინგი 3:2 ხაენი
1:0 კური მონტოია (16პ), 1:1 რუედა (23), 2:1 ბორგერი (42), 3:1 სოტო (67), 3:2 ბისკაიზაგა (89)

### ალბასეტე 1:1 ესტრემადურა
1:0 ხესუს პერერა (2), 1:1 ხორხე პერესი (14)

### ბადახოსი 2:3 ბურგოსი
0:1 ტიტო (22), 1:1 პეპინი (41), 1:2 ისაილოვიჩი (69), 2:2 ხორხე ზაფრა (64), 2:3 დანი პენდონი (80)

### კორდობა 0:1 ოვიედო
0:1 ოლი (85)

### ელჩე 1:0 ხიმნასტიკი
1:0 მეკა (83)

### სალამანკა 3:1 ფიროლი
1:0 ზეგარა (25პ), 1:1 ისმაელი (57), 2:1, 3:1 მაკუკულა (58, 65)

### მურსია 0:1 პოლი ეხიდო
0:1 სერხიო კრუზი (73)

### ნუმანსია 0:1 რასინგი
0:1 მაკო (12)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 36 | 20 | 8 | 8 | 56:34 | 68 |
| ხერესი | 36 | 18 | 8 | 10 | 37:33 | 62 |
| რასინგი | 36 | 16 | 12 | 8 | 50:35 | 60 |
| უელვა | 36 | 15 | 14 | 7 | 39:28 | 59 |
| ოვიედო | 36 | 13 | 18 | 5 | 34:23 | 57 |
| ელჩე | 36 | 14 | 11 | 11 | 43:36 | 53 |
| ალბასეტე | 36 | 14 | 10 | 12 | 39:32 | 52 |
| სპორტინგი | 36 | 13 | 13 | 10 | 45:39 | 52 |
| სალამანკა | 36 | 12 | 14 | 10 | 45:43 | 50 |
| ბურგოსი | 36 | 12 | 14 | 10 | 28:29 | 50 |
| ფეროლი | 36 | 14 | 6 | 16 | 50:49 | 48 |
| კორდობა | 36 | 12 | 10 | 14 | 39:40 | 46 |
| ეიბარი | 36 | 10 | 14 | 12 | 34:26 | 44 |
| ლეგანესი | 36 | 10 | 14 | 12 | 31:37 | 44 |
| ბადახოსი | 36 | 12 | 7 | 17 | 36:46 | 43 |
| პოლი ეხიდო | 36 | 10 | 11 | 15 | 32:41 | 41 |
| ნუმანსია | 36 | 10 | 11 | 15 | 37:48 | 41 |
| მურსია | 36 | 9 | 13 | 14 | 29:36 | 40 |
| ხაენი | 36 | 10 | 9 | 17 | 28:44 | 39 |
| ესტრემადურა | 36 | 9 | 11 | 16 | 30:39 | 38 |
| ლევანტე | 36 | 8 | 14 | 14 | 36:51 | 38 |
| ხიმნასტიკი | 36 | 9 | 10 | 17 | 32:41 | 37 |



REUTERS

ინტერი — ბრეშა. რონალდომ რონალდოობა გაიხსენა

# გონდაკარგულები, შერეკილები, გავარდნილები, რონალდო და სხვა

## იტალია

### სერია A. XXXI ტური

**იუვენტუსი 1:0 მილანი**

1:0 შამოტა (78ა.გ.)
იუვენტუსი: ბუფონი, ტიურამი, ფერარა, იულიანო (ბირინდელი 68), პესოტო, კ. ძანეტი (ზალაიეტა 52), კონტე, დავიდსი (პარამატი 66), ძამბროტა, დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
მილანი: აბიატი, ჰელვეგი (როკე ჟუნიორი 72), ლაურსენი, შამოტა, კალაძე, კონტრა (ალბერტინი 37), გატუზო, ამბროზინი (პირლო 45), შევჩენკო, ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: პესოტო, სერჯინიო, ჰელვეგი
მსაჯი: ბორიელო
50 000 მაყურებელი

**ინტერი 2:1 ბრეშა**

0:1 გვარდიოლა (29პ), 1:1, 2:1 რონალდო (80, 83)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი (სორონდო 46), ი. კორდობა, გრეშკო, ს. კონსეისაო (დალმა 56), კ. ძანეტი, დი ბიაჯო (ემრე 60), რეკობა, რონალდო, ვიერი
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
ბრეშა: კასტელაცი, ბონერა, პეტრუცი, კალორი, მანგონე (ტარე 84), სუსა, ბიონდი (ფ. ფილიპინი 68), გვარდიოლა, ილანა, ბაჯო, ტონი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: პეტრუცი, ემრე, ბაჯო, ბონერა, ტარე
გაძევება: კარლო მაცონე (73, „ბრეშას" მწვრთნელი)
მსაჯი: როზეტი
69 171 მაყურებელი

**რომა 3:1 პარმა**

1:0 დელვეკიო (7), 2:0 კასანო (41), 2:1 სამუელი (42ა.გ.), 3:1 სამუელი (46)
რომა: ანტონიოლი, პანუჩი, ვ. სამუელი, ძაგო, კანდელა, კაფუ, ტომაზი, ემერსონი, ბატისტუტა (ა. კასანო 14; გუზერი 75), მონტელა, დელვეკიო (ასუნსაო 66)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
პარმა: ფრეი, ფერარი, სენსინი (ბოგოსიანი 34), ფ. კანავარო, დიანა, ალმეიდა (ბონაცოლი 59), ლამუში, ჟუნიორი, ნაკატა, დი ვაიო, შუქური (მიკუ 59)
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
გაფრთხილება: პანუჩი
მსაჯი: პაპარესტა
62 000 მაყურებელი

**ბოლონია 1:2 პიაჩენცა**

0:1 ტონეტო (3), 0:2 დი ფრანჩესკო (50), 1:2 ფრეზი (61)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ფრეზი, მ. კასტელინი, ნერვო (სინიორი 46), ბრიოში, ოლივე, ტარანტინო (ვოლპე 74), პაოლა, ძაული (ბელუჩი 70), ხ. კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
პიაჩენცა: გუარდალბენი, საკეტი (კრისტალინი 81), კარდონე (ა. ლუკარელი 42), ლამაკა, ტოსტო, სომეზე, პოლი, მატუზალემი, დი ფრანჩესკო, გაუტიერი (მიჯი 68), ჰიუბნერი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ლამაკა, ფრეზი, ჰიუბნერი, ოლივე, ფალკონე, სომეზე, პოლი, ლამაკა
გაძევება: ლამაკა (90)
მსაჯი: ბერტინი
25 000 მაყურებელი

**ლეჩე 2:3 კიევო**

0:1 ლეგროტალიე (16), 1:1, 2:1 ჩევანტონი (26, 39), 2:2 პეროტა (73), 2:3 ერიბერტო (79)
ლეჩე: ჩიმენტი, სტოვინი, პოპესკუ, სავინო, ბილი, კონტიკიო (ტეზა 59), პიანჯერელი, ჯაკომაცი (ჯორჯევიჩი 68), ტონეტო, ჩევანტონი, ვუკოვიჩი (ცმიროტიჩი 74)
მწვრთნელი: დელიო როსი
კიევო: ლუპატელი, ლეგროტალიე, დანჯელო (რინალდი 46), დანა, ს. ლანა, ერიბერტო (მ. ესპოზიტო 70), პეროტა, ბარონე, ფრანჩესკინი, კორადი, მარაცინა (ფ. კოსატო 67)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: კონტიკიო, ბარონე, ჩევანტონი
მსაჯი: ჩეზარი
11 500 მაყურებელი

**ფიორენტინა 0:1 ლაციო**

0:1 კასტრომანი (24)
ფიორენტინა: ტალიალატელა, ადანი, ტორიჩელი, პიერინი, დი ლივიო, პალომბო (რობიატი 70), ამარალი, კ. ამორუზო, აგოსტინი (მ. როსი 65), განცი, ადრიანო (ე. გონსალესი 54)
მწვრთნელი: ანტონიო კიარუჯი
ლაციო: პერუცი, პანკარო, სტამი, ფ. კოუტო, ფავალი, კასტრომანი (პობორსკი 61), ჯანიკედა, ლივერანი (სიმეონე 80), მენდიეტა, ფიორე (სეზარი 74), კ. ლოპესი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ტორიჩელი, პანკარო, ლივერანი
მსაჯი: პელეგრინო
7 000 მაყურებელი

**ვერონა 1:0 უდინეზე**

1:0 ფრიკი (33)
ვერონა: ფერონი, ა. კანავარო, ძანჩი, დაინელი, კასეტი, იტალიანო, ჯ. კოლუჩი, მელისი (სალვეტი 66), კამორანეზი (ოდო 70), ფრიკი (მატიასი 78), მუტუ
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
უდინეზე: დე სანქტისი, კაბალერო, ძამბონი, ბერტოტო, ალბერტო (ნიმჯეტი 46), პინცი (იაკინტა 76), დ. პიზარო, მარკოს პაულუ, პიერი, სოზა, მუცი
მწვრთნელი: ჯამპიერო ვენტურა
გაფრთხილება: პიერი, მელისი, კოლუჩი, პიერი, მუტუ, პინცი, კამორანეზი
გაძევება: პიერი (56), მუცი (68), ძანჩი (68), ჯამპიერო ვენტურა (90, „უდინეზეს" მწვრთნელი)
მსაჯი: მესინა
17 236 მაყურებელი

**ატალანტა 1:1 ტორინო**

1:0 ბერეტა (16), 1:1 ფერანტე (50)
ატალანტა: ტაიბი, პაგანინი, სალა, კარერა, ფოლიო (ფალზინი 78), ბერეტა, დაბო, პინარდი (ბელინი 39), ძაული, სომაზი (ბიანკი 69), კომანდინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ტორინო: ბუჩი, დელი კარი, ფატორი, გალანტე, კომოტო, ვერგასოლა, დე აშენტისი (ვენტურინი 84), სკარკინი (მასპერო 78), ა. კასტელინი, ფერანტე, ფრანკო (კალიარულა 78)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: ფატორი, დაბო
მსაჯი: პალანკა
13 000 მაყურებელი

**ვენეცია 0:2 პერუჯა**

0:1 ბაიოკო (36), 0:2 ბაცანი (39)
ვენეცია: ჯ. როსი, ბალეარი, ბილიკა, ვაილა, ბეტარინი, ბრესანი (მაგალიანეში 56), დ. ანდერსონი (ლაი 67), მარასკო, დე ფრანჩესკო (სანტანა 46), დი ნაპოლი, მანიერო
მწვრთნელი: ალფრედო მაგნი
პერუჯა: ო. კორდობა, რეზაეი, დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო (ფ. ონილი 67), ბლაზი, ბაიოკო, გროსო, ვრიზასი, ბაცანი (გატი 87)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: რეზაეი, ონილი, ბილიკა, სანტანა, ბლაზი
მსაჯი: რიცოლი
6 288 მაყურებელი

**წინა ტურის** მიმოხილვაში ვწინასწარმეტყველებდით, რომ ამ უქმეებზე სერია A-ს ლიდერთა მატჩები ლოგიკურად დამთავრდებოდა, ანუ ისინი სამ-სამ ქულას მოიპოვებდნენ და მათ შორის სხვაობა უცვლელი დარჩებოდა. ჰოდა, ოლოლო ჩვენ! ამრიგად, იტალიის ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტური რჩება, ცხრილის სათავეში „ინტერია", მას ორი ქულით „რომა" ჩამორჩება, ხოლო „რომაზე" ერთი ქულით უკან „იუვენტუსია".

და ახლა, ალბათ, ყველაზე საინტერესო მომდევნო ტურის ამბებია: ერთი კვირის შემდეგ „ინტერი" ვერონაში მიდის „კიევოსთან" სათამაშოდ, „რომამ" „სან სიროზე" „მილანთან" უნდა გაარკვიოს ურთიერთობა, ხოლო „იუვენტუსი" პიაჩენცაში შეეცდება სამი ქულის მოპოვებას.

ახლა კი დავუბრუნდეთ წინა შაბათ-კვირას, რომელიც იმით გახლდათ მნიშვნელოვანი, რომ რონალდომ ორი გოლი გაიტანა. მაგრამ, გამოჯანმრთელებული ბრაზილიელის გოლებამდე „სან სიროზე" მთლად სასიამოვნო ატმოსფერო არ სუფევდა. „ინტერის" ქომაგებს წინა ტურში, „ატალანტასთან" მარცხი მწარედ ჰქონდათ ჩარჩენილი და ამით ისედაც განერვიულებულებს 29-ე წუთზე ბრეშელი ხოსეპ გვარდიოლას გოლი გულზე მთლად მაჯლაჯუნასავით დააწვათ. ეს პენალტი იყო: მასპინძელმა მცველმა მარკო მატერაციმ დანიელე ბონერას წინააღმდეგ საჯარიმოში წესი დაარღვია და მსაჯმაც ხელი თეთრი ნიშნულისკენ გაიშვირა, ხოლო იქიდან, როგორც მოგახსენეთ, გვარდიოლამ გახსნა ანგარიში. პირველი ტაიმი ასეც დასრულდა.

შესვენების შემდეგ კი სურათი შეიცვალა. ჯერ იყო და „ბრეშას" ექსცენტრიული მწვრთნელი კარლო მაცონე დაიფრინეს მწვრთნელთათვის გამოყოფილი ადგილიდან, ხოლო მერე რონალდო ჭეშმარიტ რონალდოდ გადაიქცა და სამწუთიან მონაკვეთში შეგდებული ორი გოლით ნამდვილი ზეიმი მოუწყო საკუთარ თავს, „ინტერისა" და პირად გულშემატკივრებს.

მაგრამ, გამარჯვებულთა თავკაცი ექტორ რაულ კუპერი მაინც არ გახლდათ ბოლომდე კმაყოფილი.

„გუნდს კარგად არ უთამაშია, თუმცა მაინც შეძლო და კბილებით მოიპოვა სამი ქულა, რაც ერთი კვირის წინ, „ატალანტასთან" მარცხის შემდეგ ნამდვილი შვება იყო".

თუმცა, საბოლოოდ შვების ამბავი სამი კვირის შემდეგ გაირკვევა, რადგან ამ ტურში „რომამ" „პარმას" მოუგო 3:1. ამ შეხვედრაში ერთობ უსიამოვნო რამ შეემთხვა რომაელთა არგენტინელ თავდამსხმელ გაბრიელ ბატისტუტას, რომელიც მე-12 წუთზე მოედანზე უგონოდ დაეცა — „პარმას" მცველმა ფაბიო კანავარომ ორთაბრძოლისას შემთხვევით ნოკაუტში ჩააგდო. მიუხედავად იმისა, რომ ბატისტუტა გონს მალე მოეგო, იგი რომის „სან პიეტროს" საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც ექიმებს უთხრა, რომ ეპიზოდი, რომელმაც გონების დაკარგვამდე მიიყვანა, არ ახსოვს.

მოედანზე კი ბატისტუტას თანაგუნდელებმა ფრიად იყოჩაღეს. გონება არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით არ დაუკარგავთ და მარკო დელვეკიომ მეშვიდე წუთზევე გახსნა ანგარიში. აღსანიშნავია, რომ ეს დელვეკიოსთვის მხოლოდ მეორე გოლი იყო მიმდინარე სეზონში, მაგრამ ამის მიუხედავად, „სკუადრა აძურას" მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, ფორვარდს მსოფლიო ჩემპიონატზე წავიყვანო.

გამოხდა ხანი და „სტადიო ოლიმპიკოზე" მილანიდან ცნობა ჩაფრინდა, „ბრეშამ" ანგარიში გახსნაო. ადვილი წარმოსადგენია, რა ამბავი ატყდებოდა შერეკილი იტალიელი ფანებით სავსე ტრიბუნებზე. განსაკუთრებით მას მერე, რაც ამ ცნობას ბატისტუტას ნაცვლად მოედანზე შესულმა ყმაწვილკაცმა ანტონიო კასანომ ერთი გოლიც მიაყოლა, მაგრამ იმავ წუთს „რომას" კარშიც შევარდა ბურთი, რაც ჯერ პარმელ დიანას მიეწერა, თუმცა ეჭვია, რომ ბოლოწამს იგი მასპინძელთა გამოჯანმრთელებულ მცველ ვალტერ სამუელს შეეხო. თუმცა, დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი სამუელმა კასანოს ჩაწოდებული კუთხურისას თავური დარტყმით მესამედ დასცა სტუმრების კარი.

„დღეს ნამდვილად კარგად ვითამაშეთ — კუპერისგან განსხვავებით „რომას" მწვრთნელი ფაბიო კაპელო კმაყოფილებას ვერ მალავდა — და ჩემპიონატის ბოლო წამამდე ასე გავაგრძელებთ".

სკუდეტოს მესამე მაძიებლის, „იუვენტუსის" ამბებს, რაკი „მილანს" ეთამაშებოდა, ცალკე მოგახსენებთ. აქ კი ისა ვთქვათ, რომ მეოთხე ანუ ჩემპიონთა ლიგაში გასვლელი კიდევ ერთი ადგილისთვის გაჩაღებული ბრძოლა მეტად და მეტად მძაფრდება. კერძოდ, ლეჩეში ჩასულმა „კიევომ" დიდი გაწამაწიით 3:2 გაიმარჯვა და, როგორც ხედავთ, სანუკვარ მეოთხე ადგილზე გახლავთ წამოსკუპებული. ეს ადგილი კი მანამდე „ბოლონიას" ეკავა, ოლონდ მან შინ 1:2 წააგო „პიაჩენცასთან" და ამიტომაც ჩაცურდა მეხუთეზე. იქვე ტრიალებენ „მილანი" და „ლაციოც", რომელმაც არგენტინელი კასტრომანის გოლით ფლორენციაში „ფიორენტინა" დასცა და გააგდო კიდეც სერია B-ში.

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS

რომა — პარმა. გაბრიელ ბატისტუტას ეს ინციდენტი არ ახსოვს

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ინტერი | 31 | 19 | 8 | 4 | 55:28 | 27 | 65 | 16 | 10 | 3 | 3 | 30:16 | 14 | 33 | 15 | 9 | 5 | 1 | 25:12 | 13 | 32 |
| 2 რომა | 31 | 17 | 12 | 2 | 52:24 | 28 | 63 | 16 | 12 | 4 | 0 | 28:8 | 20 | 40 | 15 | 5 | 8 | 2 | 24:16 | 8 | 23 |
| 3 იუვენტუსი | 31 | 17 | 11 | 3 | 56:23 | 33 | 62 | 16 | 12 | 3 | 1 | 33:11 | 22 | 39 | 15 | 5 | 8 | 2 | 23:12 | 11 | 23 |
| 4 კიევო | 31 | 13 | 11 | 7 | 53:44 | 9 | 50 | 15 | 8 | 4 | 3 | 26:18 | 8 | 28 | 16 | 5 | 7 | 4 | 27:26 | 1 | 22 |
| 5 ბოლონია | 31 | 14 | 7 | 10 | 38:36 | 2 | 49 | 16 | 11 | 2 | 3 | 26:17 | 9 | 35 | 15 | 3 | 5 | 7 | 12:19 | -7 | 14 |
| 6 მილანი | 31 | 12 | 12 | 7 | 42:32 | 10 | 48 | 15 | 6 | 7 | 2 | 22:14 | 8 | 25 | 16 | 6 | 5 | 5 | 20:18 | 2 | 23 |
| 7 ლაციო | 31 | 12 | 11 | 8 | 41:29 | 12 | 47 | 15 | 8 | 6 | 1 | 29:12 | 17 | 30 | 16 | 4 | 5 | 7 | 12:17 | -5 | 17 |
| 8 ტორინო | 31 | 10 | 11 | 10 | 35:36 | -1 | 41 | 15 | 7 | 4 | 4 | 22:16 | 6 | 25 | 16 | 3 | 7 | 6 | 13:20 | -7 | 16 |
| 9 ატალანტა | 31 | 11 | 8 | 12 | 37:46 | -9 | 41 | 16 | 5 | 6 | 5 | 20:22 | -2 | 21 | 15 | 6 | 2 | 7 | 17:24 | -7 | 20 |
| 10 პერუჯა | 31 | 11 | 7 | 13 | 34:44 | -10 | 40 | 15 | 8 | 4 | 3 | 21:15 | 6 | 28 | 16 | 3 | 3 | 10 | 13:29 | -16 | 12 |
| 11 პიაჩენცა | 31 | 10 | 9 | 12 | 45:39 | 6 | 39 | 15 | 7 | 1 | 7 | 27:17 | 10 | 22 | 16 | 3 | 8 | 5 | 18:22 | -4 | 17 |
| 12 ვერონა | 31 | 11 | 6 | 14 | 36:43 | -7 | 39 | 16 | 9 | 3 | 4 | 22:16 | 6 | 30 | 15 | 2 | 3 | 10 | 14:27 | -13 | 9 |
| 13 პარმა | 31 | 10 | 7 | 14 | 38:44 | -6 | 37 | 15 | 7 | 5 | 3 | 19:13 | 6 | 26 | 16 | 3 | 2 | 11 | 19:31 | -12 | 11 |
| 14 ბრეშა | 31 | 7 | 13 | 11 | 37:47 | -10 | 34 | 15 | 3 | 8 | 4 | 22:26 | -4 | 17 | 16 | 4 | 5 | 7 | 15:21 | -6 | 17 |
| 15 უდინეზე | 31 | 9 | 7 | 15 | 38:49 | -11 | 34 | 15 | 3 | 5 | 7 | 18:24 | -6 | 14 | 16 | 6 | 2 | 8 | 20:25 | -5 | 20 |
| 16 ლეჩე | 31 | 6 | 9 | 16 | 34:50 | -16 | 27 | 16 | 3 | 6 | 7 | 18:22 | -4 | 15 | 15 | 3 | 3 | 9 | 16:28 | -12 | 12 |
| 17 ფიორენტინა | 31 | 5 | 7 | 19 | 28:56 | -28 | 22 | 16 | 3 | 6 | 7 | 15:21 | -6 | 15 | 15 | 2 | 1 | 12 | 13:35 | -22 | 7 |
| 18 ვენეცია | 31 | 3 | 8 | 20 | 28:57 | -29 | 17 | 16 | 2 | 5 | 9 | 16:25 | -9 | 11 | 15 | 1 | 3 | 11 | 12:32 | -20 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| უბნერი (პიაჩენცა) | 22 |
| ვიერი (ინტერი) | 21 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 20 |
| დი ვაიო (პარმა) | 17 |
| დონი (ატალანტა) | 16 |
| მანიერო (ვენეცია) | 16 |

### XXXII ტური

21 აპრილი

პარმა - ატალანტა
პერუჯა - ბოლონია
ბრეშა - ფიორენტინა
კიევო - ინტერი
პიაჩენცა - იუვენტუსი
ტორინო - ლეჩე
მილანი - რომა
უდინეზე - ვენეცია
ლაციო - ვერონა

### სერია B

XXXI ტური

**სალერნიტანა 1:0 ემპოლი**
1:0 არკადიო (89)

**ანკონა 1:0 ვიჩენცა**
1:0 ალბინო (76)

**ჩიტადელა 1:1 სამპდორია**
1:0 ბუდუმა (31), 1:1 ფლაკოვიო (80)

**კომო 2:2 პისტოიეზე**
1:0 ბედინი (24), 1:1 აკასი (43), 2:1 ოლივერა (64), 2:2 ძინი (89)

**კროტონე 1:2 ნაპოლი**
1:0 დევლიორი (26), 1:1 ლუბა (44), 1:2 გროზოდი (48)

**ჯენოა 3:2 კოზენცა**
0:1 ძანოლო (16), 1:1 ფრანჩესკონი (19პ), 1:2 ძანოლო (57), 2:2 მანეტი (80), 3:2 მადები (83)

**მესინა 1:0 რეჯინა**
1:0 გორდი (56)

**მოდენა 2:0 პალერმო**
1:0 ფერარი (30), 2:0 ფაბრინი (52)

**ტერნანა 0:0 კალიარი**

**სიენა — ბარი**
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 31 | 17 | 8 | 6 | 51:25 | 59 |
| მოდენა | 31 | 16 | 10 | 5 | 47:18 | 58 |
| კომო | 31 | 17 | 7 | 7 | 41:29 | 58 |
| რეჯინა | 31 | 16 | 9 | 6 | 42:27 | 57 |
| ნაპოლი | 31 | 14 | 10 | 7 | 39:31 | 52 |
| სალერნიტანა | 31 | 14 | 8 | 9 | 48:43 | 50 |
| პალერმო | 31 | 12 | 8 | 11 | 40:44 | 44 |
| ვიჩენცა | 31 | 11 | 10 | 10 | 44:43 | 43 |
| ჯენოა | 31 | 9 | 13 | 9 | 34:30 | 40 |
| ანკონა | 31 | 11 | 7 | 13 | 34:42 | 40 |
| სამპდორია | 31 | 9 | 11 | 11 | 37:39 | 38 |
| მესინა | 31 | 8 | 13 | 10 | 31:33 | 37 |
| ბარი | 30 | 9 | 10 | 11 | 30:39 | 37 |
| კალიარი | 31 | 7 | 14 | 10 | 28:30 | 35 |
| კოზენცა | 31 | 9 | 7 | 15 | 36:50 | 34 |
| ტერნანა | 31 | 6 | 15 | 10 | 37:42 | 33 |
| ჩიტადელა | 31 | 8 | 9 | 14 | 38:46 | 33 |
| სიენა | 30 | 8 | 8 | 14 | 25:38 | 32 |
| პისტოიეზე | 31 | 6 | 11 | 14 | 30:41 | 29 |
| კროტონე | 31 | 3 | 10 | 18 | 33:55 | 19 |

### სერია C1/a

31-ე ტური: ალძანო — კარარეზე 1:1; არეცო — ლეკო 2:3; ჩეზენა — სპალ 2:3; ლუმეცანე — რეჯანა 0:0; მონცა — ლივორნო 0:1; პიზა — პადოვა 2:1; სპეცია — ტრიესტინა 3:1; ტრევიზო — ლუკეზე 0:1; ვარეზე — ალბინოლეფე 2:0

### სერია C1/b

31-ე ტური: ბენევენტო — ლანჩანო 1:0; კატანია — კროტე 1:2; ფერმანა — აველინო 1:1; ჯულიანოვა — პესკარა 4:0; ლოდიჯანი — ტორესი 3:4; ნოჩერინა — ასკოლი 1:3; პესკარა — ტარანტო 1:2; სორა — დი სანგრო 2:0; ვიტერბეზე — აკილა 0:1

# იტალიის ჩემპიონატი

★★ ოცდამეთერთმეტე ტურის მატჩი

## იუვენტუსი 1:0 მილანი

კახა კალაძე: 90 წუთი

# შამოტს რომ არ შამოეტანა...

**ასე შეფასდა:** მთელ ტურში ყველაზე დრამატული ამბავი ტურინის „დელე ალპიზე“ მოხდა, სადაც „იუვენტუსმა“ „მილანს“ 1:0 მოუგო და სადაც „იუვენტუსი“ „მილანს“ ვერ უგებდა, სანამ ალესანდრო დელ პიეროს მიერ ჯარიმიდან დარტყმულ ბურთს მილანელთა არგენტინელმა მცველმა ხოსე ანტონიო შამოტმა საკუთარი გუნდის კარში არ მიუჩინა ადგილი.

მატჩის (რომელიც კახა კალაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა) შემდეგ „იუვენტუსის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა: „მართალია, დამაჯერებლად ვერ გავიმარჯვეთ, მაინც უნდა ითქვას, რომ საკუთარ კარში გოლის შეგდება მეტოქეს ჩვენმა ზეწოლამ აიძულა, ხოლო ყველაფერზე მნიშვნელოვანი, ცხადია, სამი ქულა იყო. ფეხბურთში ასეთი რაღაცეები ხდება“.

მილანელთა თავკაცის, კარლო ანჩელოტის აზრი კი ასეთი გახლდათ: „საკუთარ კარში გოლი ალბერტინის ტრავმის გამო ათი კაცით დარჩენილებმა გავიტანეთ, არადა, შესვენების მერე მეტოქე ვერ გვჯობდა. პირველ ტაიმში სხვა ვითარება იყო. „იუვე“ გვიტევდა და გვავიწროვებდა, მაგრამ საბოლოოდ ქულას მაინც ვიმსახურებდით. მე თუ მკითხავთ, დღეს „მილანმა“ კარგად ითამაშა“.

ხოლო „კიევოს“ გამარჯვებასა და „ბოლონიას“ მარცხთან დაკავშირებით ანჩელოტიმ ასე ბრძანა: „კაცმა რომ თქვას, თითქმის არაფერი შეცვლილა. მიზნად მეოთხე ადგილზე გასვლა გვაქვს დასახული და მისი მიღწევა შეგვიძლია. „პიაჩენცას“ მიერ „ბოლონიას“ ძლევამ კი გამაოცა და გამახარა“.

ახლა კი, ორი სიტყვით, უშუალოდ „მილანისთვის“ ამ უიღბლო თამაშის დეტალებზე: თამაში უიღბლო იმიტომაც გამოდგა, რომ უკვე დაშავებულ მალდინის, კოსტაკურტას, რუი კოშტასა და ხოსე მარის „დელე ალპიზე“ მიღებული სხვადასხვა ხარისხის ტრავმებით კონტრა, სერჟინიო, პელეგი და ალბერტინიც შეუერთდნენ.

„მილანმა“, როგორც ზემოთ ითქვა, მეორე ტაიმი უკეთ ჩაატარა. ერთ ეპიზოდში ინძაგიმ შორეული დარტყმით „შავ-წითლები“ კინაღამ დააწინაურა — ბურთი გოჯით გაცდა კარს, შემდეგ კი „იუვენტუსის“ მეკარემ, ჯანლუიჯი ბუფონმა ორი სანწაული ჩაიდინა, კალაძის და პირლოს დარტყმები მოიგერია.

**ბაჩუნა ძიძია**



ფილიპო ინძაგიმ მარტო წაქცევა არ ინდომა და ჩირო ფერარაც წაიყოლია

# ოცი წლის შემდეგ

## ინგლისი

### ასოციაციის თასი ნახევარფინალი

#### ფულემი 0:1 ჩელსი

0:1 ტერი (40)

ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, მელვილი, გოუმა, ბრევეტი, მალბრანკი, ლეგვინსკი (ჰეილსი 86), შ. დევისი, კოლინზი (ბოა მორტე 64), საჰა, მარლე

მწვრთნელი: ჟან ტიგანა

ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, ტერი, დესაი, ლე სო (ფერერი 5), სტანიჩი (ზენდენი 76), ლამპარდი, გრონკიაერი, პეტი, გუდიონსენი, ჰასელბაინკი (იოკანოვიჩი 84)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: ფერერი, ფინანი, გრონკიაერი, ბოა მორტე

მსაჯი: პოლი

36 147 მაყურებელი

#### მიდლსბრო 0:1 არსენალი

0:1 ფესტა (39ა.გ.)

მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი, ემიოგუ (ფესტა 32), საუთგეიტი, კუპერი, უილკშირი (სტამპი 56), მასტო, დებევე, ჯონსტონი (მარინელი 76), უინდასი, ბოკსიჩი

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

არსენალი: რ. რაიტი, ლუჟინი (დიქსონი 33), კოული, ს. კემპბელი (პარლოუ 58), ლორენი, ვიეირა, ედუ, ლიუნგბერგი, ვილტორდი, ანრი, ბერგკამპი (ნ. კანუ 89)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: უინდასი, ედუ, პარლოუ

მსაჯი: ელერი

61 168 მაყურებელი

*ფინალში 21 მაისს, კარდიფის „მილენიუმზე“ „ჩელსი“ და „არსენალი“ შეხვდებიან*

**ასოციაციის** თასის ბოლო ოთხეულის მატჩები მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდსა“ და ბირმინგემის „ვილა პარკზე“ გაიმართა. მანჩესტერში „არსენალი“ ხვდებოდა „მიდლსბროს“, ბირმინგემში — „ჩელსი“ „ფულემს“.

ამ ორ შეხვედრაში სულ თითო გოლი გავიდა და ფინალში ბობოლებმა გააღწიეს. 21 მაისს კარდიფის „მილენიუმზე“ სწორედ „არსენალი“ და „ჩელსი“ ითამაშებენ.

„არსენალი“, თასის შეიდგზის მფლობელი, შარშანაც ფინალში იყო და წლეულს მეთხუთმეტედ იბრძოლებს მსოფლიოს უძველესი საფეხბურთო ჯილდოსთვის.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ფინალში გასულებს დიდი არაფერი შთამბეჭდავი თამაში უჩვენებიათ. „ჩელსიმ“ ფულემელ ლუი საჰას ფეხიდან ავარდნილი რიკოშეტით მოიგო, ბოროელმა ჯანლუკა ფესტამ კი, საერთოდაც თავის კარში შეაგდო.



მიდლსბრო — არსენალი. ბოროელებს ლონდონელებმა ვერაფერი დააკლეს, მაგრამ ჯანლუკა ფესტამ (№5) დაალალატა

ასე წყვილად ლონდონის გუნდები ფინალში ოცი წელიწადია არ გასულან. 1982 წელს „ტოტენჰემი“ და „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ იყვნენ ფინალში და მაშინ გადათამაშებით „ტოტენჰემმა“ მოიგო.

კვირას გამარჯვებულებს კი მაინც გვარიანი ოფლისღვრა მოუხდათ. პოლ ინსისა და ბენიტო კარბონეს გარეშე მოთამაშე „ბორო“ ისე დააწვა „არსენალს“, რომ მეთოფეთა მენეჯერ არსენ ვენგერს ათქმევინა: „ეს ერთგვარად მოულოდნელიც იყო. ჩვენი თამაში ვერ ვითამაშეთ. ბურთი ვერ გავაგორეთ, „ბორომ“ ფრთების გაშლის საშუალება არ მოგვცა.“

ფულემელთა მწვრთნელი ჟან ტიგანა გულგატეხილი იყო, ბოროელთა სტივ მაკლარენი კი ამბობდა, ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, ფესტას გოლი ერთადერთი იყო, ამ სათასო გათამაშებაში რომ გავუშვითო. „ბოროელი“ დინ უინდასის თავური კარის ხაზიდან გამოიტანეს ლონდონელებმა და რომ არა პატრიკ ვიეირას მოულოდნელობა და მებრძოლი სული, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა.

სამაგიეროდ, ხარობდა „ჩელსის“ თავკაცი კლაუდიო რანიერი: „ფინალისთვის მზად ვარ. „არსენალი“ ძლიერია, მაგრამ მე მოუთმენლად ველი ამ თამაშს.“

**ირაკლი ბაგურელიძე**



ჩელსელი გრემ ლე სო ხუთ წუთში საკაცეზე დასაწვენი გახდა

# მე ვინ ვარ, ლოუ ვინ იყო!

## ფრანგთა დამჩაგრავი ფრანგმა დაასაჩუქრა

**კვირას**, ლონდონის ფეშენებელურ სასტუმრო GROSVENOR HOUSE HOTEL-ში ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელი დააჯილდოვეს. გამოკითხვა პრემიერლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებს შორის მოეწყო.

შაბათს ვწერდით, რომ გამარჯვებული ფაქტობრივად ცნობილი იყო — ჰოლანდიელ რუუდ ვან ნისტელროის ბადალი არ ჰყავდა. ასეც მოხდა, ვარაუდი სავსებით გამართლდა, რამაც ფრანგული ფეხბურთის ქომაგთ გული დასწყვიტა, რადგან რუუდ ვან ნისტელროის მთავარი კონკურენტები სწორედ „მამლები“ — რობერ პირესი და ტიერი ანრი იყვნენ. აქვე ვთქვათ ისიც, რომ მაინცდამაინც გახარებულები არც ინგლისელები უნდა იყვნენ — საუკეთესო ექვსეულში მხოლოდ ერთი კუნძულელი, დევიდ ბექჰემი მოხვდა.

ინგლისელებს არც მეორე ნომინაციაში გაუღიმათ ბედმა. საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად „ნიუკასლის“ უელსელი შემტევი კრეიგ ბელამი დასახელდა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა „ლივერპულის“ ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი და „ბოლტონის“ ახმახი მეგოლე მაიკლ რიკეტსი.

„ეს დღე მუდამ მემახსოვრება. მიმაჩნია, რომ პრემიერლიგა საუკეთესო ჩემპიონატია მსოფლიოში, მე კი იქ მობურთალთა შორის უძლიერესად მიმიჩნიეს. ჩემი გამარჯვება მით უფრო სასიხარულო და დაუჯერებელია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლამდე უმძიმესი ტრავმა მოვიშუშე.

სამუშაო ჯერაც ბევრი მაქვს. ამ სეზონში 33 გოლი გავიტანე, თუმც ვფიქრობ, ლეგენდარული დენის ლოუს მიღწევას ვერ გავიმეორებ“ — განაცხადა რუუდ ვან ნისტელროიმ.

შეგახსენებთ, რომ 1963-64 წლების სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშისას შოტლანდიელმა დენის ლოუმ 40 მატჩში 46 გოლი გაიტანა, რაც დღემდე ინგლისურ რეკორდად ითვლება, სწორედ ამაზე მიანიშნა ჰოლანდიელმა მეგოლემ.

დასასრულს აღვნიშნოთ, რომ ვან ნისტელროის პრიზი „ლივერპულის“ ფრანგმა თავკაცმა ჟერარ უილიემ გადასცა.

საინტერესოა, რომ ეს ჯილდო უკვე ზედიზედ მესამე წელია, მანჩესტერელთა ნადავლი ხდება: 2000 წელს — როი კინი, ხოლო 2001 წელს — ტედი შერინგემი ასევე საუკეთესოებად აღიარეს.

| 24.00 | 423 | ჩრდ. ირლანდია-ესპანეთი | 6,0 | 3,5 | 1,5 | 2,2 | 1,2 | 1 |
| 24.00 | 424 | შოტლანდია-ნიგერია | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 01.00 | 425 | პორტუგალია-ბრაზილია | 2,5 | 2,9 | 2,6 | 1,3 | 1,25 | 1,35 |
| 02.30 | 426 | მექსიკა-ბულგარეთი (ნიუ იორკი) | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| | | **კალათბურთი.** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 501 | ვაშინგტონი-ნიუ იორკი | 1,4 | 12,0 | 2,3 | | | |
| 04.00 | 502 | კლივლენდი-ინდიანა | 2,1 | 12,0 | 1,4 | | | |
| 04.30 | 503 | მაიამი-შარლოტი | 1,8 | 12,0 | 1,6 | | | |
| 04.30 | 504 | ატლანტა-ორლანდო | 1,7 | 12,0 | 1,7 | | | |
| 05.00 | 505 | ნიუ ჯერსი-დეტროიტი | 1,4 | 12,0 | 2,3 | | | |
| 05.00 | 506 | მილუოკი-ტორონტო | 1,5 | 12,0 | 2,0 | | | |
| 05.30 | 507 | დალასი-იუტა | 1,25 | 12,0 | 3,1 | | | |
| 05.30 | 508 | სან ანტონიო-ფინიქსი | 1,1 | 12,0 | 5,0 | | | |
| 06.00 | 509 | დენვერი-ჰიუსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 | | | |
| 07.00 | 510 | საკრამენტო-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 6,0 | | | |
| 07.30 | 511 | კლიპერსი-მემფისი | 1,15 | 12,0 | 3,5 | | | |
| | | **ჰოკეი. (ნჰლ პლეი-ოფი)** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 534 | ფილადელფია-ოტავა | 1,7 | 3,6 | 3,4 | | | |
| 04.00 | 535 | კაროლინა-ნიუ ჯერსი | 2,3 | 3,4 | 2,4 | | | |
| 04.00 | 536 | დეტროიტი-ვანკუვერი | 1,5 | 4,0 | 4,4 | | | |
| 07.00 | 537 | სან ხოსე-ფინიქსი | 1,7 | 3,6 | 4,4 | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 538 | ბოსტონი-მონრეალი | 1,55 | 4,0 | 4,0 | | | |
| 04.00 | 539 | ტორონტო-აილენდერსი | 1,85 | 3,6 | 3,0 | | | |
| 04.00 | 540 | სენტ ლუისი-ჩიკაგო | 1,75 | 3,6 | 3,2 | | | |
| 07.00 | 541 | კოლორადო-ლოს ანჯელესი | 1,65 | 3,8 | 3,5 | | | |
| | | **ჰოკეი. (ნჰლ პლეი-ოფი) შემდეგ ეტაპზე გასვლა. 17 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 801 | ფილადელფია-ოტავა | 1,35-2,3 | | | | | |
| 04.00 | 802 | კაროლინა-ნიუ ჯერსი | 2,0-1,5 | | | | | |
| 04.00 | 803 | დეტროიტი-ვანკუვერი | 1,2-3,5 | | | | | |
| 07.00 | 804 | სან ხოსე-ფინიქსი | 1,45-2,1 | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 805 | ბოსტონი-მონრეალი | 1,3-2,5 | | | | | |
| 04.00 | 806 | ტორონტო-აილენდერსი | 1,45-2,1 | | | | | |
| 04.00 | 807 | სენტ ლუისი-ჩიკაგო | 1,45-2,1 | | | | | |
| 07.00 | 808 | კოლორადო-ლოს ანჯელესი | 1,25-2,8 | | | | | |

## საქართველოს ჩემპიონატი



დინამო — თსუ. დინამოელი აჰმედ მუპე სტუდენტებზე ალზევდა

# რუსთაველებმა თარხანმოურავს ნერვიულობა აჩუქეს

15 აპრილი. სპორტის სასახლე

**აზოტი 104:98 მაკაბი**

30:27, 25:29, 25:21, 24:21

**აზოტი:** გაბისონია (6), გოგობერიშვილი (12), კურილჩუკი (17), შმუნტი (15), მაჭარაძე (12); ბერუაშვილი (6), იამზე (16), კოკოლიშვილი (19), ჯიმშელეიშვილი (2)

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (23), ი. ბერიშვილი (27), სარიშვილი (4), ფიცხელაური (18), სუხიშვილი (16); კუდია (10), კრიხელი

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**დინამო 98:88 თსუ**

22:20, 31:26, 20:17, 25:25

**დინამო:** მაისურაძე (3), ნაცვლიშვილი (4), ჩხეიძე (13), ნინიაშვილი (18), ოგანესიანი (23); მუპე (9), ფლენტი (9), ჯაფარიძე (8), ტურაშვილი (11)

**თსუ:** ნიკოლაძე (24), ხეცურიანი (12), გ. მარკოიშვილი (9), კილაძე (14), მუშკუდიანი (9); არსიაშვილი, სანიკიძე, ვეფხვაძე (4), შანიძე (16)

**მსაჯები:** ზაზა მაჩილაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**ვაგლახ**, რად ვერ შეინარჩუნა კამერული ქოლივეტ ტუცანი, ანაც გოჩა წოწელია თბილისის „მაკაბიმ", თორემ ხომ გვექნებოდა კიდევ უფრო დაძაბული ექვსეული. საქართველოს ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვას უკვე მერამდენედ ვიწყებთ ამ მოურჯულებელი გუნდით. შესაძლოა, იმიტომ, რომ მაკაბელებს თითქმის ყოველ ტურში პირველებს უწევთ თამაში, მაგრამ არა, ამ გუნდმა სეზონში იმდენი სიურპრიზი უთავაზა ძლიერთა ამა ჩემპიონატისათა, სტატიის კონწეროში მოქცევას უცილობლად იმსახურებდა. ოღონდ გუშინ „მაკაბის" სენსაცია არ მოუხდენია.

მაშ, რატომ ვიწყებთ ამჯერადაც „მაკაბით". არა მხოლოდ იმიტომ, რომ გუშინ სპორტის სასახლეში პირველი მატჩი „მაკაბი" — „აზოტი" იყო, მეორე კი „დინამო" — თსუ და მიმდევრობას ვიცავთ. „მაკაბიმ" ბოლომდე იბრძოლა და ლეგიონერებით დახუნძლულ „აზოტის" დამარცხებამდე ცოტაღა დააკლდა. არადა, „აზოტს" გაცილებით დიდი მოტივაცია ჰქონდა. ზურაბ ტომარაძის გუნდი მესამე ადგილისთვის (მეორეობისთვისაც) იბრძვის, რაც პლეიოფში ბათუმის „ბასკოს" აცილებს. ისე, მთლად არც მეოთხე ადგილი აქვს განაღდებული. ერთიც იყო, რუსთაველთა თარხანმწვრთნელ ოთარ ხმელიძეს გუშინ დღეობა ჰქონდა და აზოტელებსაც გულით ეწადათ, თავიანთი ამაგდარი გაეხარებინათ, მაგრამ ეს საკმაო ნერვიულობად დაუსვეს.

„აზოტმა" იცოდა, ვის ეთამაშებოდა. პირველი მარცხი ამ სეზონში ხომ სწორედ „მაკაბისთან" იგემა და მაინც ვერ აიძულებდა, თავს ბოლომდე დახარჯულიყო. მოინდომებდა, წინ გაიჭრებოდა, მაგრამ უმალ ტყუპ ბერიშვილთა სამქულიანს, ანაც ფიცხელაურის ორიანს მიიღებდა და სხვაობა მინიმუმამდე იკვეცებოდა. მეტიც, თბილისელები არაერთხელ იყვნენ წინ, პირველ ტაიმი კი სულაც მოიგეს — 56:55.

დაცვაში ორივეს უჭირდა, განსაკუთრებით „აზოტს", რასაც 98 მიღებული ქულაც კარგად აჩვენებს. თუმცა, მათდა საბედნიეროდ, ქვემოქართლელებმა ექვსით მეტის ჩაგდება მოახერხეს და ძნელად მოსადრეკ მეტოქესთან თავი არ შეირცხვინეს. „მაკაბის" საქმე მაშინ მოუთავდა, დამთავრებამდე 6 წუთით ადრე დავით ბერიშვილი რომ გაუვარდა, მაგრამ ხუხაშვილის შეგირდები რა კაცები იქნებოდნენ, ბოლომდე არ ებრძოლათ. ბრძოლის კვალი კი ბოლოს ტაბლოს აჩნდა — 98:104.

ჯერაც ადრეა, მაგრამ თსუ-მ ოთხეულში მოხვედრის შანსი ვინძლო გუშინ „დინამოსთან" მარცხით მოიხპო. გელა წულაძის გუნდი ბოლომდე ებრძოდა მეტოქეს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში დავით მუშკუდიანის ტრავმამ ხელი მოუთავა და დამარცხდა. თსუ-ს ცენტრს მეოთხე ათწუთეულის დასაწყისში სადავო გდებისას ფეხი გადაუბრუნდა და... ისე ძნელია იმის მტკიცება, რომ სტუდენტები ამ მომენტისთვის არსებულ 10-ქულიან სხვაობას გააბათილებდნენ, მაგრამ უმუშკუდიანოდ რომ ყველაფერი დამთავრდა, მერეც გამოჩნდა. ლევან მოსეშვილმა უმალ არმენ ოგანესიანს უხმო მოედანზე, რომელიც თსუ-ს ფარქვეშ ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. მის შეჩერებას ამაოდ ცდილობდნენ ვალერი კილაძე და ზურაბ სანიკიძე და სომეხმა ბოლო ათ წუთში 12 ქულა ჩააგდო. სტუდენტების ერთადერთი იარაღი შორი სროლები იყო. ირაკლი შანიძემ ორჯერ კი ჩააგდო, მაგრამ ამან, არაფერი შეცვალა. თსუ-მ ოთხეულში მოხვედრის ისედაც მოკრძალებული შანსები კიდევ უფრო გაიფერმკრთალა.

**ირაკლი ბერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 23 | 21 | 2 | +485 | 44 |
| დინამო | 24 | 16 | 8 | +260 | 40 |
| აზოტი | 24 | 15 | 9 | +173 | 39 |
| სტუ-ჯეოსელი | 24 | 14 | 10 | +180 | 38 |
| თსუ | 23 | 12 | 11 | +9 | 35 |
| მაკაბი | 24 | 11 | 13 | -94 | 35 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ამბავი მალიქ ალენისა და მისი გავარდნა-ჩავარდნისა

**12 აპრილი**

**მაიამი 99:94 ორლანდო**

**მაიამი:** სტრიკლენდი (9), ჯონსი (15), გილი (10), ბ. გრანტი (2), მურნინგი (13); მეისი (28), ალენი (16), სტეფანია (8 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 დაფარება), კარტერი (2)

**ორლანდო:** არმსტრონგი (16), მილერი (4), მაკგრეიდი (34 ქულა, 11 მოხსნა), გარიტი (6), ჰ. გრანტი (3); ჰადსონი (18), ოუინგი (8), რიდი (3), ჯეკსონი (2), უილიამსი (1), დეკლერკი

**14 აპრილი**

**მაიამი 67:94 ნიუ იორკი**

**მაიამი:** სტრიკლენდი (10), ჯონსი (10), გილი (10), გრანტი (6), მურნინგი (15); მეისი (6), მარქსი (4), ბრაუნი (3), ალენი (3), კარტერი, ჯეიმსი

**ნიუ იორკი:** ჯეკსონი (4), ჰიუსტონი (19), ანდერსონი (11), ვეზერსპუნი (12), ტომასი (20); ჰარინგტონი (10), ვორდი (8), ეისლი (7), რობინსონი (3), ნაითი

„მაიამის" ღრმა სათადარიგო, კლუბისთვის მნიშვნელობით ასე, მეთორმეტე მეცამეტე მოთამაშე მალიქ ალენი მთელი სეზონის განმავლობაში ელოდა შანსს. მისი გუნდი ხშირად აგებდა, ხანდახან უიმედოდაც, მაგრამ ამ ჯეელს ბედგადაწყვეტილ მატჩებში თუნდ ათი წუთით ბურთაობაც ენატრებოდა. ხშირად ზედმეტი იყო და 12-კაცა შემადგენლობიდანაც ამოუგდიათ. 12 აპრილს, „ორლანდოსთან" კვეთებისას, ალენი, მისდა საბედნიეროდ, „მაიამის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა. მის უაზრო თვალებში ყველაფრისადმი გულგრილობა იკითხებოდა. იგი არაფერს ელოდა.

ირლანდიელთა ყოჩის, ტრეისი მაკგრეიდის დევნაში მაიამელმა ქენდალ გილმა მესამე მეოთხედში მეხუთე პერსონალური რომ მიიღო და ბრძოლის ველს გამოეცალა, „მაიამის" მწვრთნელმა პატ რაილიმ სწორედ მალიქ ალენს უხმო. სწრაფად წამოხტა, იქნებ იგრძნო, რომ სწორედ ახლა ჩამოიარა მისმა მატარებელმა. მანაც შანსი არ გაუშვა და შეახტა.

ორლანდოელებს გაუჭირდათ მისი დაჭერა, თავიდან თითქოს არც მიაქციეს ყურადღება. ერთი-ორი რომ ჩააგდო, აედევნენ, მაგრამ მალიქი მაგრად ჩაბღაუჭებოდა ბოძებულ შანსს, კარგად იხსნებოდა და ასევე კარგად ესროდა. ცხრა სროლიდან რვა ჩააგდო და 15 წუთში 16 ქულით დაასრულა თამაში, რაც მისი კარიერის რეკორდია. „მაიამის" ძირითადი ფრთა ქენდალ გილი მთელი სეზონის განმავლობაში ოცდაათიოდ წუთს ატარებდა მოედანზე, მაგრამ 13 ქულაზე მეტი არასდროს გაუკეთებია, ამ მაიამელებისთვისაც ცუდად ცნობილმა ახალბედამ კი უცებ 16 ქულა გაჩარხა და უმოტივაციო „მაიამის" მოწინავე ალმოსავლურ ოთხეულში მოხვედრისთვის მეომარი თანაშტატელი „ორლანდო" დაამარცხებინა. ალენი მიხვდა, რომ ფლორიდულ დერბიში თავგამოჩენით საკალათბურთო გარემომცველ სამყაროს და პირველ რიგში მწვრთნელ პატ რაილის თავისი არსებობა შეახსენა. ნამატჩევს ის საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. „ვარ თუ არა ბედნიერი? რაზე შემატყუთ? ბედნიერი მაშინ ვიყავი, როდესაც „მაიამიმ" საწვრთნელ ბანაკში მიმიღო და შემდეგ სეზონის წინ შემადგენლობაში ჩამრიცხა. მერე გაირკვა, რომ მე საშუალო გუნდის სათადარიგოთა თადარიგში ვარ და თამაშის დროს ჩემი ადგილი სკამზეა. დღეს მოედანზე შემთხვევით აღმოვჩნდი და ვითამაშე ისე, როგორც შემეძლო მეთამაშა ნებისმიერ სხვა მატჩში. განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია" — ალენის სიტყვებში რაილის მიმართ საყვედური, თან ნიშნის მოგებაც ჩანდა.

რაილიმ ერთგვარად მოუბოდიშა მას, თქვა მალიქი შესანიშნავი მოთამაშე ყოფილა და, სამწუხაროდ, ეს მაშინღა აღმოვაჩინეთ, როდესაც ის ვერაფერს შეცვლისო. მატჩის გმირს იმ საღამოს ბევრი ქება ერგო, ვინც არ დაიზარა ყველამ შეაწია ერთი-ორი ტკბილი სიტყვა, მხოლოდ „ორლანდოს" ლიდერ ტრეისი მაკგრეიდის დასცდა მის მიმართ აუგი — კი, კარგად ითამაშა, მაგრამ ეგ ბევრს არაფერს ნიშნავს, ერთხელ დაუტენავი თოფიც ისვრისო.

ორი დღის შემდეგ მაკგრეიდის აზრს მრავალი შეუერთდა. „ნიუ იორკთან" რაილიმ 24 წუთით ათამაშა ალენი, მეტ დროსაც მისცემდა, ამას რაიმე სასარგებლო რომ გაეკეთებინა და მისი გუნდის მოსისხლე „ნიუ იორკთან" 67:94 განადგურების ერთ-ერთი მიზეზი არ გამხდარიყო. ეგებ რაილიმაც იცოდა, რომ მალიქ ალენი „დაუტენავი თოფია", მაგრამ იგი ტაქტიანი კაცია და „ორლანდოსთან" ნამარცხევს მისი მკიცხავი შეგირდისთვის ეს არ შეუხსენებია.

**ირაკლი ფირცხვილი**

**12 აპრილი**

**ფილადელფია 100:91 ვაშინგტონი**

ფილადელფია: მუტომბო (24 ქულა, 16 მოხსნა), კოულმენი (20), კლაქსტონი (19)
ვაშინგტონი: ჰამილტონი (21), ალექსანდერი (20)

**ტორონტო 112:73 ატლანტა**

ტორონტო: უილიამსი (20), კლერკი (20), პეტერსონი (18)
ატლანტა: ტერი (20), აბდულ-რაჰიმი (13)

**ბოსტონი 107:92 ნიუ იორკი**

ბოსტონი: უოლკერი (26 ქულა, 12 მოხსნა), პირსი (20 ქულა, 8 პასი, 7 ჩაჭრა, 6 მოხსნა), როჯერსი (18)
ნიუ იორკი: სპრიუელი (20), ანდერსონი (17), ჰარინგტონი (17)

**შარლოტი 112:100 კლივლენდი**

შარლოტი: ვესლი (30), მაშბერნი (25 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), დევისი (20 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა, 5 ჩაჭრა)
კლივლენდი: ლანგდონი (24), დევისი (19), მილერი (16 ქულა, 16 პასი, 6 მოხსნა)

**ინდიანა 112:107 მილუოკი**

ძირითადი დრო 98:98

ინდიანა: რ. მილერი (30), ბ. მილერი (24), ონილი (20 ქულა, 13 მოხსნა)
მილუოკი: ალენი (24), კასელი (24), მეისონი (23 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი)

**დეტროიტი 86:96 სან ანტონიო**

დეტროიტი: ეტკინსი (18), სტეკჰაუზი (17), ბერი (15)
სან ანტონიო: დანკანი (32 ქულა, 11 მოხსნა), სმიტი (16), პარკერი (14 ქულა, 10 პასი)

**ჰიუსტონი 79:80 პორტლენდი**

ჰიუსტონი: მობლი (24), გრიფინისი (14)
პორტლენდი: ველსი (29), ვოლესი (14 ქულა, 12 მოხსნა)

**დენვერი 97:89 გოლდენ სტეიტი**

დენვერი: ფოუზი (17 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი, 6 ჩაჭრა)
გოლდენ სტეიტი: ჯეიმისონი (21), არენასი (14)

**კლიპერსი 106:125 საკრამენტო**

კლიპერსი: ბრენდი (24), ოლოუოკანდი (21), მაილზი (14)
საკრამენტო: ვებერი (28), სტოიაკოვიჩი (27), კრისტი (20)

**13 აპრილი**

**მემფისი 92:113 სან ანტონიო**

მემფისი: გასოლი (19), უილიამსი (15), რაიტი (14)
სან ანტონიო: დანკანი (30 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი, 4 დაფარება), როუზი (26 ქულა, 11 მოხსნა)

**ატლანტა 128:123 კლივლენდი**

ძირითადი დრო 105:105

ატლანტა: ტერი (43 ქულა, 10 პასი), აბდულ-რაჰიმი (36 ქულა, 12 მოხსნა), ნიუბლი (17 ქულა, 12 მოხსნა)
კლივლენდი: მილერი (27 ქულა, 16 პასი, 6 მოხსნა), პერსონი (25), დევისი (19)

**სიეტლი 99:116 დალასი**

სიეტლი: პეიტონი (21)
დალასი: ფინლი (29), ვან ექსელი (22), ბაკნერი (17)

**დენვერი 98:94 ფენიქსი**

დენვერი: ლენარდი (28), ჰარვი (15 ქულა, 10 მოხსნა)
ფენიქსი: მარიონი (22 ქულა, 13 მოხსნა), მარბერი (18 ქულა, 11 პასი)

**ჩიკაგო 106:124 დეტროიტი**

ჩიკაგო: როუზი (26), კარი (19), ბეკერი (15)
დეტროიტი: ეტკინსი (26), რობინსონი (21), სტეკჰაუზი (19), რებრაცა (16), ვოლესი (14 ქულა, 14 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 101:109 იუტა**

გოლდენ სტეიტი: ჯეიმისონი (24 ქულა, 10 მოხსნა), არენასი (16)
იუტა: სტოქტონი (26 ქულა, 9 პასი, 4 ჩაჭრა), მარშალი (18)

**კლიპერსი 98:101 მინესოტა**

კლიპერსი: მეგეტი (24), რიჩარდსონი (19), ბრენდი (14)
მინესოტა: გარნეტი (35 ქულა, 10 მოხსნა), ბილაპსი (20 ქულა, 10 პასი), შჩერბიაკი (17)

**14 აპრილი**

**პორტლენდი 128:120 ლეიკერსი**

ძირითადი დრო 105:105

პორტლენდი: ველსი (33), ვოლესი (25 ქულა, 13 მოხსნა), სტუდემაირი (18 ქულა, 12 პასი), პატერსონი (17 ქულა, 10 მოხსნა), პიპენი (14)
ლეიკერსი: ონილი (36 ქულა, 11 მოხსნა), ბრაიანტი (23 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), ფიშერი (14), ფოქსი (13)

**ვაშინგტონი 80:86 ინდიანა**

ვაშინგტონი: ვიტნი (12), საიმონსი (12)
ინდიანა: ონილი (26), ბ. მილერი (17 ქულა, 11 მოხსნა)

**საკრამენტო 100:113 დალასი**

საკრამენტო: ვებერი (19), დივაცი (18)
დალასი: ვან ექსელი (27), ლაფრენცი (21 ქულა, 13 მოხსნა), ნეში (21 ქულა, 13 პასი), ფინლი (20)

**ორლანდო 89:95 ფილადელფია**

ორლანდო: მაკგრეიდი (31), ჰადსონი (15)
ფილადელფია: სნოუ (22), კლაქსტონი (19), მუტომბო (18 ქულა, 12 მოხსნა)

**ჰიუსტონი 95:98 მემფისი**

ჰიუსტონი: ვილისი (18 ქულა, 5 ჩაჭრა), ტომასი (14)
მემფისი: ბეტიე (19), გასოლი (18 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი)

**მილუოკი 98:91 შარლოტი**

მილუოკი: ალენი (27), რობინსონი (23)
შარლოტი: მაშბერნი (28), დევისი (16)

**ტორონტო 101:82 ნიუ ჯერსი**

ტორონტო: პეტერსონი (24), დევისი (14)
ნიუ ჯერსი: კოლინზი (16), სკალაბრინი (16)



უხერხული სიტუაცია „ლეიკერსის" პორტლენდში სტუმრობისას: პორტლენდელი დეიმონ სტუდემაირი ფეხებში მოქცეულ დერეკ ფიშერს ზურგს ეცილება

# ბადრის ამირანული

## ფინური ოქრო-ვერცხლი ქართველებსაც ერგოთ



მანუჩარ კვირკველიამ სერეფ ეროღლუს ველარაფერი მოუხერხა

ფინეთის პატარა ქალაქმა სეინაიოკიმ (რომლის რუკაზე მოსაძებნად რამდენიმე წუთი დაგვჭირდა და ჰელსინკიდან 300 კილომეტრის მოშორებით, ჭაობებში აღმოვაჩინეთ) ამ უქმეებზე ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის უმასპინძლა. მრავალი ქვეყნიდან მინიმუმ ერთი მედალი 14-მა სახელმწიფომ დაიმსახურა და გვიხარია, რომ გუნდურ ხაიში ქართველებმა მე-4 ადგილი დაიკავეს. იმძლავრეს კი რუსებმა. მარტო იმათ ვაჟებს (ქალები ცალკე ჭიდაობდნენ) დარჩათ 3 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი. რუსეთის სახელით ჩემპიონი გახდა გიორგი კოლუაშვილი და მისსავე წონით კატეგორიაში (96 კგ) დავით სალდაძემ მე-3 ადგილი დაიკავა ვაგლახ, რომ ამანაც სხვა ქვეყნის (უკრაინის) სახელით.

რუსებმა განსაკუთრებით აბსოლუტურ წონაში მოპოვებული ოქრო დააფასეს. 22 წლის იური პატრიკეევის შესახებ მასმედია ჯიუტად იმეორებს, რომ იგი ალექსანდრ კარელინის მემკვიდრეა. შარშან საბერძნეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, პატრიკეევმა კარელინის სისხლი ვერ აილო. მეოთხედფინალში მას სწორედ იმ ამერიკელმა, რულონ გარდნერმა მოუგო, ვინც სიდნეის ოლიმპიადაზე კარელინს ცხოვრების ერთადერთი მარცხი აგემა.

ფინეთში პატრიკეევი ბრდღვინავდა, ყველა მეტოქეს გადაუარა და მისი კარელინობის იდეას სიცოცხლე დაუბრუნა, თუმცა ამტკიცებს, კარელინის მაგვარები ათას წელიწადში ერთხელ იბადებიან (მეტისმეტია!) და მე მას ვერ შევწვდებიო. განთქმული თვისტომივით პატრიკეევსაც ბუნების წიაღი, ნადირობა და თევზაობა ჰყვარებია, ჩვენ კი ქართველებს მივხედოთ.

ზოგადად ჭიდაობა აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ეხერხებათ, მაგრამ ფინეთში დასავლეთელებმა ივარგეს. ბადრი ხასაიამ 74 კილოგრამიანთა ფინალში რუსეთელ ვართაზ სამურგაშევს მოუგო, ხოლო მანუჩარ კვირკველიამ გადამწყვეტი ბრძოლა თურქ სერეფ ეროღლუს დაუთმო. მე-5 ადგილზე გავიდა რამაზ ნოზაძე და ეს შედეგი როგიანია იმდენადაც, რომ სანაკრებო ჩათვლაში პირველი 6 ადგილი ალირიცხებოდა.

**დავით გულუა**

| 55 კგ |
|---|
| 1. რენატ ბიკინინი (რუსეთი) |
| 2. ტანო ტინიუ (ბულგარეთი) |
| 3. დარიუშ იაბლონსკი (პოლონეთი) |
| 14. ირაკლი ძოძუა (საქართველო) |
| **60 კგ** |
| 1. არმენ ნაზარიანი (ბულგარეთი) |
| 2. რუსტამ მამბეტოვი (რუსეთი) |
| 3. ჯამელ აინაუი (საფრანგეთი) |
| 11. ლაშა ლომაძე (საქართველო) |
| **66 კგ** |
| 1. სერეფ ეროღლუ (თურქეთი) |
| 2. მანუჩარ კვირკველია (საქართველო) |
| 3. მიხაელ ბეილინი (ისრაელი) |
| **74 კგ** |
| 1. ბადრი ხასაია (საქართველო) |
| 2. ვართაზ სამურგაშევი (რუსეთი) |
| 3. მარკო ული-ჰანუქსელა (ფინეთი) |
| **84 კგ** |
| 1. ჰამზა ერლიკაია (თურქეთი) |
| 2. არა აბრაჰამიანი (შვედეთი) |
| 3. ვიაჩესლავ მაკარენკო (ბელარუსი) |
| **96 კგ** |
| 1. გიორგი კოლუაშვილი (რუსეთი) |
| 2. სერგეი ლიშტვანი (ბელარუსი) |
| 3. დავით სალდაძე (უკრაინა) |
| 16. ზინადი ჩხაიძე (საქართველო) |
| **120 კგ** |
| 1. იური პატრიკეევი (რუსეთი) |
| 2. მიხალი დიკ ბარდოსი (უნგრეთი) |
| 3. ჯუნა აჰოკასი (ფინეთი) |
| 5. რამაზ ნოზაძე (საქართველო) |

**გუნდური ჩათვლა**

| | I | II | III | IV | V | VI |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 3 | 2 | - | - | 1 | 1 |
| 2. თურქეთი | 2 | - | - | - | - | 1 |
| 3. ბულგარეთი | 1 | 1 | - | 2 | - | - |
| 4. საქართველო | 1 | 1 | - | - | 1 | - |
| 5. ბელარუსი | - | 1 | 1 | 2 | - | - |
| 6. უნგრეთი | - | 1 | - | - | 2 | - |
| 7. შვედეთი | - | 1 | - | - | - | - |
| 8. ფინეთი | - | - | 2 | - | 1 | - |
| 9. უკრაინა | - | - | 1 | 1 | - | 1 |
| 10. ისრაელი | - | - | 1 | 1 | - | - |
| 11. პოლონეთი | - | - | 1 | - | 1 | - |
| 12. საფრანგეთი | - | - | 1 | - | - | - |
| 13. სომხეთი | - | - | - | 1 | - | - |
| 14. საბერძნეთი | - | - | - | - | 1 | 1 |
| 15. დანია | | - | - | - | - | 1 |
| აზერბაიჯანი | - | - | - | - | - | 1 |
| გერმანია | - | - | - | - | - | 1 |



# ვაგებთ, მაშასადამე, ვარსებობთ

13-14 აპრილი. სპორტის სასახლე

**საქართველო 0:3 ესტონეთი**
17:25, 17:25, 9:25

**საქართველო:** მარინა ვაშაკიძე, დარბაიძე, თეა ვაშაკიძე, აირაპეტიანი, ჯიოშვილი, დავითულიანი, არველაძე (კაპ.), საათაშვილი, მიქაძე, გურლიანი, მარიკა ვაშაკიძე, ბარათაშვილი

**ესტონეთი:** გონჩაროვა, ტალვი, რააპი, კვირუტა, დევერე, სეტი, კოვერდალგი, კასელა, ტენისი, ტერასი (კაპ.), მენგელი, ოტისი

**საქართველო 0:3 აზერბაიჯანი**
10:25, 11:25, 11:25

**საქართველო:** მარინა ვაშაკიძე, დარბაიძე, თეა ვაშაკიძე, აირაპეტიანი, ჯიოშვილი, დავითულიანი, არველაძე (კაპ.), საათაშვილი, მიქაძე, გურლიანი, მარიკა ვაშაკიძე, ბარათაშვილი

**აზერბაიჯანი:** აბუმისლიმოვა, ტარაზანოვა, ახდაზაროვა, პარხომენკო (კაპ.), კორზოვა, სიმინიაგინა, აგაევა, ნურიევა, ასკეროვა, რასულოვა, დობროვოლსკაია, კოროტენკო

**მსაჯები:** ა. პიასეცკი (ბელარუსი), კ. პოდკოპაევი (უკრაინა)

ფრენბურთი ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ფენაში მოსულდგმულე სპორტის სახეობაა. მაგალითად, მას თამაშობენ სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებლების ფიზკულტურის გაკვეთილებზე. ჩვენს დუხჭირ ქვეყანაში კი ფრენბურთი რომ ოფიციალურად ცოცხლობდა, ამაში ბევრი როდი იყო დარწმუნებული. არადა, თურმე გვყოლია ფრენბურთელთა ნაკრები, რაც თავისთავად ერთგვარი სასიამოვნო მოულოდნელობაა. თავად ჩვენი ოცწლამდე გოგონათა ნაკრების დღევანდელი თავკაცი, დასავლეთ საქართველოს წიაღში გაზრდილი კაცი, ბატონი ნუგზარ მიქაძეც, ამ ექვსი თვის წინ ვერ წარმოიდგენდა, რომ მას ქვეყნის ნაკრებს ჩააბარებდნენ.

ამ უქმეებზე ჩვენმა გოგონებმა პირველი ნაბიჯი გადადგეს საერთაშორისო სარბიელზე — სპორტის სასახლეში და ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციომდელ ტურნირში ესტონელ და აზერბაიჯანელ გოგონებს დაუხვდნენ.

„ცოტა მანდრაჟით ვითამაშეთ“ — ესტონელებთან ნამარცხევს გულწრფელად თქვა ჩვენებურთა კაპიტანმა ნათია არველაძემ. მან და მისმა თანამებრძოლებმა ორივე ყოფილ მოძმე რესპუბლიკასთან 0:3 წააგეს და სამგუნდა ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდნენ, რითაც ავტომატურად გამოეთხოვნენ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს. ეს არცაა გასაკვირი, რამეთუ ჩვენებს მეტოქედ ჰყავდათ გაბარიტებითაც და ასაკითაც მოზრდილი, თან საკუთარი ქვეყნის მთავრობისგან ნალოლიავები გუნდები.



საქართველო — ესტონეთი. მარინა ჯიოშვილი (№5) და ქართველები ესტონურ ჯებირს ვერ გადაახტნენ



# საკრივო სენსაცია ქართული მასშტაბით

## ოლიმპიურ ბრინჯაოს ქუთაისური მოხვდა





გაგა ბოლქვაძემ ვლადიმერ ჭანტურია დანოკაუტა და რინგი გამარჯვებულმა დატოვა

ვინც კი კარგი დამრტყმელი იყო, ამ უქმეებზე ყველამ ვერის ბაღში მოიყარა თავი. საკალათბურთო ცენტრს რეგიონებიდანაც მოაწყდნენ მუშტის მქნეველები: შიდაქართლელები, მესხები, აჭარლები, იმერლები, ცალკე კიდევ ქუთათურები, თბილისელები, ფოთლები და, ცხადია, ვარიანელები. საქართველოს პირადგუნდური ჩემპიონატი გახლდათ კრივში. სწორედ ამ ჩემპიონატის შემდეგ დაკომპლექტდება ეროვნული ნაკრები, რომელიც ივნისში რუსეთში, პერმში გასამართ ევროპის პირველობაზე მიიღებს მონაწილეობას. ამასთან მწვრთნელი, ვისი გუნდიც პირველობას დაისაკუთრებდა, ნაკრების მთავარ მწვრთნელ თენგიზ მესხაძეს შეეშველებოდა.

ევროპის ჩემპიონატზე, ალბათ, ოთხხუთ წონით კატეგორიაში გაემგზავრებიან მოკრივეები, რაკი უფულობის გამო მეტი ვერ ხერხდება. ჰოდა, შაბათს ყველას თავისი უნდა დაემტკიცებინა.

ფინალებამდე სულ მწვანეზე იარეს ფავორიტებმა. იქ კი ერთი ფრიად მსუყე სენსაცია მოხდა. ზემძიმე წონაში ფოთელი ვლადიმერ ჭანტურიას სამწლიანი ბატონობა დასრულდა. ქუთაისელმა გაგა ბოლქვაძემ, ვინც ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტია, სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოსანი ჭანტურია მეორე რაუნდშივე დაანოკაუტა. სხარტმა ბოლქვაძემ წონამომატებული ჭანტურიას მოქნეულები იოლად აირიდა და მერე შეტევისთვისაც მოიცალა. ქუთაისელს პირველ რაუნდში ნოკდაუნშიც ჰყავდა მეტოქე, მაგრამ მაშინ ფოთელი წამოდგა და ბრძოლა განაგრძო, თუმცა მერე დაუცველ სახეში მეტოქის მძლავრი ჰუკი მოხვდა და... რეფერიმ ათამდე დათვალა, ჭანტურია ბარბაცით წამოდგა, მაგრამ მუშტის ქნევა აღარ შეეძლო.

91 კილოგრამ წონით კატეგორიაში ახალი სახელი გამოჩნდა. ავთანდილ შოშიაშვილს, ვისაც თავად გიორგი კანდელაკი გაუზრდია, ახლა შიდაქართლელი ბექა ლობჟანიძე „უშვილებია“ და საქართველოს ჩემპიონობაც დაავემოვნებინა. ლობჟანიძემ თბილისელი დათო გეგეშიძე გალახა და ჩემპიონის ტიტული წაართვა.

51 კილოგრამ წონით კატეგორიაში იკრივა წონაშეცვლილმა და პროფესიულიდან სამოყვარულო რინგს დაბრუნებულმა რამაზ ბებნაძემ. ვარიანულ დერბიში რამაზმა უპრობლემოდ ურტყა შალვა ჯომარდაშვილს და მეტოქეს მეორე რაუნდშივე დააშვებინა მუშტები. ალბათ, საევროპოდ ბებნაძეც მოემზადება, რაკი სასურველ ფორმაშია და მისი გამოცდილების მქონე მოკრივისთვის კონტინენტის ჩემპიონობაც ხელმისაწვდომი პერსპექტივაა.

გუნდური პირველობა კი ვარიანელებმა მოიგეს. თენგიზ მესხაძესაც, ვარიანელთა მწვრთნელი გელა სხირტლაძე შეეშველება.

**ბაჩო სვანიძე**

| 48 კგ |
|---|
| 1. მიხეილ გოგებაშვილი (ვარიანი) |
| 2. ნიკა იზორია (ფოთი) |
| 3. ლევან მაკალათია (ფოთი) |
| შალვა აბაზაშვილი (თბილისი) |
| **51 კგ** |
| 1. რამაზ ბებნაძე (ვარიანი) |
| 2. შალვა ჯომარდაშვილი (ვარიანი) |
| 3. კახა თარიმანაშვილი (თბილისი) |
| ცოტნე ცანავა (ბათუმი) |
| **54 კგ** |
| 1. ლაშა ოჩიგავა (ფოთი) |
| 2. დავით ფალეალიანი (ვარიანი) |
| 3. აკაკი წერეთელი (იმერეთი) |
| ლევან რუხაძე (ფოთი) |
| **57 კგ** |
| 1. ავთო კაშია (ქუთაისი) |
| 2. კოტე კუპატაძე (თბილისი) |
| 3. ოთარ ნონიკაშვილი (შიდა ქართლი) |
| დიმიტრი გულიაშვილი (შიდა ქართლი) |
| **60 კგ** |
| 1. გოჩა რუსია (ფოთი) |
| 2. ბადრი კერესელიძე (ვარიანი) |
| 3. კარლო ტაბალუა (ფოთი) |
| ლევან ლევამიჩავა (ფოთი) |
| **63,5 კგ** |
| 1. პაატა ვარდუაშვილი (ვარიანი) |
| 2. კობა ქარქაშაძე (ფოთი) |
| 3. ლაშა გვენცაძე (ქუთაისი) |
| ალექსანდრე სააკაშვილი (ვარიანი) |
| **67 კგ** |
| 1. მალხაზ ბერკაცაშვილი (ვარიანი) |
| 2. გიორგი გურაბანიძე (თბილისი) |
| 3. დავით ლევამიჩავა (ფოთი) |
| ლაშა ადამია (ფოთი) |
| **71 კგ** |
| 1. ანატოლი ქავთარაძე (იმერეთი) |
| 2. ავთო ხურციძე (ქუთაისი) |
| 3. სოსო თათარაშვილი (თბილისი) |
| კარენ ავართუნიანი (სამცხე-ჯავახეთი) |
| **75 კგ** |
| 1. დავით ნიკლაური (თბილისი) |
| 2. გიორგი ადუაშვილი (ვარიანი) |
| 3. გია ჭელიძე (ქუთაისი) |
| ლაშა ალრებაშვილი (თბილისი) |
| **81 კგ** |
| 1. მინდია ნოზაძე (ვარიანი) |
| 2. ზურაბ უჩანეიშვილი (ფოთი) |
| 3. გიორგი ხაჭაპურიძე (კახეთი) |
| ზურაბ ხუციშვილი (კახეთი) |
| **91 კგ** |
| 1. ბექა ლობჟანიძე (შიდა ქართლი) |
| 2. დავით გეგეშიძე (თბილისი) |
| 3. დავით ზედგენიძე (განათლება) |
| ვახტანგ ჭიჭიშვილი (ქუთაისი) |
| **+91 კგ** |
| 1. გაგა ბოლქვაძე (ქუთაისი) |
| 2. ვლადიმერ ჭანტურია (ფოთი) |
| 3. კობა ნაჭყებია (ვარიანი) |
| დავით შველიძე (თბილისი) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეოთხე ეტაპი

# იმოლას დუბლი, მარანელოს ვახტანგური

ოკეანისგაღმა სამეტაპიანი ხეტიალის შემდეგ იტალიის პატარა ქალაქი იმოლა მეფორმულეთა პირველი ევროპული გაჩერებაა. იქ თამაშდება ჯუჯა ქვეყნის, სან მარინოს დიდი პრიზი. ავტოდრომი ერთ-ერთი უძველესია, 1950 წელს აიგო და „ფერარის" დამაარსებლის ენცო ფერარისა და 24 წლის ასაკში გარდაცვლილი მისი ვაჟიშვილის ენცოს სახელს ატარებს.

რვა წლის წინ „იმოლაზე" ლეგენდარული ბრაზილიელის აირტონ სენასა და ავსტრიელი როლანდ რაცენბერგერის დაღუპვის შემდეგ ტრასას უსაფრთხოების მიზნით იმდენი ცვლილება ჩაუტარდა, ძნელად საცნობი გახდა, თუმცა დღესაც უწინდელივით ჩქაროსნული და საკმაოდ რთულია. ხუთკილომეტრიან, აღმართ-დაღმართიან წრეზე უჩვეულო, საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით ჯირითი პილოტებს დამატებით სიძნელეებს უქმნის. როგორც ჩანს, ყველას, ფერარელების გარდა.

წინა ორი ჩემპიონატის მსგავსად, წლევანდელიც ისე მიმდინარეობს, რომ შეიძლება, მალე ინტერესი დაკარგოს. მიხაელ შუმახერი ზუსტად იცავს შარშანწინდელ გრაფიკს. მაშინაც საწყისი ოთხი რბოლიდან სამი მოიგო, ერთში კი მესამე ადგილს დასჯერდა, მერე იმ სამ დიდ პრიზს კიდევ ექვსი მიამატა და ვადამდე განაღდა მესამე ტიტული. მართალია, მიხაელს შარშან ზედიზედ ორ ეტაპზე გამარჯვების შემდეგ სწორედ იმოლაში უმტყუნა ბედაურმა, მაგრამ მერე ისე აიწყვიტა, რომ დღემდე ველარ აჩერებენ — ბოლო 17 რბოლიდან ათი მოიგო და კიდევ ექვსჯერ პოდიუმზე იდგა. გუშინწინ სარეკორდო, მეოთხე იმოლური გამარჯვება „წითელმა ბარონმა" ისე იოლად მოიპოვა, მიმდინარე სეზონის ბედიც ბევრისთვის უკვე გადაწყვეტილი ჩანს.

ტყუილად არ აქებდა „ფერარის" ხელმძღვანელობა თავიანთ ახალ ბოლიდს, 21-ე საუკუნის საოცრებაა, ლამის ყოველ კვანძში რევოლუციური სიახლე შევიტანეთ და წარმოუდგენლად სწრაფი მანქანა გამოვიდაო. მიხაელმა და რუბენს ბარიკელომ კონკურენტებს წარმატების უმცირესი შანსიც კი არ დაუტოვეს — კვალიფიკაციაც და რბოლაც უზარმაზარი უპირატესობით, დუბლით მოიგეს.

შაბათს საპოულე საათის ბოლომდე რუბენსი მიხაელზე წინ იყო. ჩემპიონს სამი ცდა უხეირო გამოუვიდა — ჯერ წინმყოფმა ჯაგლაგებმა შეაფერხეს, მერე მოსახვევში არაზუსტად შევიდა, მესამედაც მცირე შეცდომა დაუშვა და როცა უკვე თავადაც აღარ ჰქონდა იმედი, მეოთხე გასვლისას ბოლო წამებზე შეძლო, თანაგუნდელის შედეგისთვის ეჯობნა. მიხაელმა ისე გაიხარა, თითქოს კვალიფიკაცია კი არა, რბოლა მოეგო. მისი დრო — 1 წუთი, 21, 091 წამი (218,998 კმ/სთ საშუალო სიჩქარე) ორი წამით სჯობს დევიდ კულთარდის შარშანდელ რეკორდს. აღსანიშნავია, რომ ძველი მიღწევა ცხრა მრბოლმა გააუმჯობესა. მალაიზიელი ალექს იონგი შუმახერს 6 წამით ჩამორჩა, ზღვრულ 107 პროცენტში ვერ ჩაეტია და, ბუნებრივია, რბოლაში არ დაუშვეს. „ფერარების" უკან რალფ შუმახერის და ხუან პაბლო მონტოიას „უილიამსები" იდგნენ, მესამე რიგში — კიმი რაიკონენის და დევიდ კულთარდის „მაკლარენები".

საათნახევრიან ასპარეზობაში განსაკუთრებული, ამაღელვებელი პრაქტიკულად არაფერი მომხდარა — მეტად მშვიდი რბოლა გამოვიდა. სტარტმაც კი, როცა უდიდესი დაძაბულობაა, ამჯერად გაწევ-გამოწევის და შეჯახების გარეშე ჩაიარა. არავინ გამოთიშულა, თუმცა ექსიეულში ერთი გადაადგილება მაინც მოხდა: რალფი ბარიკელოზე ოდნავ სწრაფად დაიძრა და პირველივე მოსახვევში შეძლო მისთვის გვერდის ავლა. ბრაზილიელი ძალიანაც არ შებრძოლებია და ქარავანს ძმები გაუძღვნენ.

შუა დისტანციამდე, ანუ ბოქსებში პირველ სტუმრობამდე მიმდევრობა უცვლელი იყო. დაწინაურებულთაგან მექანიკოსებს პირველმა კიმი რაიკონენმა მიაკითხა. თერთმეტივე გუნდს ორი პიტსტოპის ტაქტიკა ჰქონია შერჩეული და მოლაპარაკებულებივით ყველამ ერთდროულად გაუხვია საწვავის ჩასამატებლად. შუმახერები ერთნაირად — 7,4 წამით შეყოვნდნენ და ლიდერობა ორიოდე წუთით ბარიკელოს ერგო. რუბენსმაც ზუსტად იმდენივე დრო დაკარგა, მაგრამ ისე იყოჩაღა, რომ პიტლაინიდან გამოსვლისას რალფის ცხვირწინ აღმოჩნდა. ეს იყო და ეს. საპოდიუმე სამეულიც მაშინ გაირკვა. ის კი არა, რაიკონენი გამოსაბოლქვი მილის მიზეზით რომ არ გამოთიშულიყო, საფინალო ექვსეული სასტარტოს გამეორება გამოვიდოდა.

ფერარელებს იმხელა უპირატესობა ჰქონდათ, რომ მცირე მეტოქეობაც კი ვერავინ გაუწია. ბარიკელოს პოზიციას ვერც მეორე პიტსტოპისას შეფერხებამ ავნო, თუმცა მისი ბოლიდის უკანა ბორბლის მორგებას 14 წამი დასჭირდა. მანამდე რუბინიომ უსწრაფესი წრე ერთ წუთში და 24,170 წამში გაიქროლა, რაც ტრასის რეკორდია და რალფ შუმახერის შარშანდელ მიღწევას თითქმის წამნახევრით სჯობს. ბრაზილიელმა წლეულს პირველი ქულები მოიპოვა და თავის 151-ე რბოლაში მოახერხა 200-ქულიანი ზღვარის გადალახვა.

სან მარინოს 22-ე, საკმაოდ მონოტონური ეტაპი „ფერარის" შთამბეჭდავი, 52-ე დუბლით დასრულდა. მიხაელმა 56-ე მოგება მიითვალა და 166 რბოლაში 835 ქულა დაუგროვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ ეტაპზე საშუალოდ ზუსტად ხუთ ქულას აგროვებს. უკეთესი მაჩვენებელი (5,4) მხოლოდ ხუთგზის ჩემპიონ არგენტინელს ხუან მანუელ ფანხიოს აქვს.

ცოტა სხვებზეც. მონტოია მიხაელთან ერთად წლეულს ყველაზე სტაბილური პილოტია — ქულებს ყოველ რბოლაში შოულობს. ხუანი იმოლაზე უჩვეულოდ თვინიერად, უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა. მისი ინერტულობის მიზეზი ფინიშის შემდეგ გახდა ცნობილი: „ცხადია, გულგატეხილი ვარ, რადგან მეტის იმედი მქონდა, მაგრამ ვერაფერს გავხდი მანქანის დისბალანსის გამო. დილის ვარჯიშზე ის ნორმალურად მუშაობდა, მაგრამ მაინც შევცვალეთ რაღაც-რაღაცები, სასურველ შედეგს კი ვერ მივაღწიეთ".

იყოჩაღა ახალბედა ფელიპე მასამ — ფინიშამდე სამი წრით ადრე მოსახვევში ოსტატურად გაასწრო იარნო ტრულის და რბოლა საპატიო, მერვე ადგილზე დაასრულა. აღსანიშნავია ნიკ ჰაიდფელდიც, რომელიც ოთხი პიტსტოპის მიუხედავად (აქედან ორი დაუგეგმავი იყო), მაინც ათეულში აღმოჩნდა.

ტრიუმფატორები, ცხადია, სიხარულს ვერ მალავდნენ. „ფერარის" სპორტული დირექტორი ჟან ტოდტი: „დუბლი საშინაო ტრასაზე — ფანტასტიკაა. დღეს ვიხილეთ ორი გამორჩეული პილოტი, უდიდესი გუნდი და ბრიჯსტოუნის არაჩვეულებრივი საბურავები. მაგრამ ყოველთვის ასე არ იქნება, ამიტომ მომავალშიც დიდი მუშაობა გვმართებს. აქედან მარანელომდე ორიოდე ნაბიჯია და სწორედ იქ აღვნიშნავთ დღევანდელ ტრიუმფს". მიხაელ შუმახერი: „შარშანდელი წაგების შემდეგ ჩვენს ტიფოზებს შესანიშნავი საჩუქარი მივუძღვენით. ჩემთვის ეს მუდამ განსაკუთრებული რბოლაა და ვამაყობ დღევანდელი შედეგით. აუცილებლად შევსვამთ თითო ჭიქა შამპანურს, მერე კი, სამშაბათიდან, ესპანური ეტაპისთვის მზადებას დავიწყებთ".

**გია ახალაძე**




რუბენს ბარიკელო და მიხაელ შუმახერი: რაც მაგრები ვართ, ფერარელები ვართ!

## რბოლის შედეგები

### სან მარინოს დიდი პრიზი

14 აპრილი. იმოლა

დისტანცია — 62 წრე — 305,846 კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:29.10,789 (205,613 კმ/სთ) |
| 2. ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 17,907 |
| 3. რ. შუმახერი (უილიამსი) | 19,755 |
| 4. მონტოია (უილიამსი) | 44,725 |
| 5. ბატონი (რენო) | 1.23,395 |
| 6. კულთარდი (მაკლარენი) | 1 წრით |
| 7. ვილნევი (BAR) | 1 წრით |
| 8. მასა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 9. ტრული (რენო) | 1 წრით |
| 10. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 11. ვებერი (მინარდი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ბერნოლდი (ეროუსი) | გაიარა 50 წრე |
| ირვაინი (იაგუარი) | 45 |
| რაიკონენი (მაკლარენი) | 44 |
| პანი (BAR) | 44 |
| დე ლა როსა (იაგუარი) | 30 |
| სალო (ტოიოტა) | 26 |
| ფრენცენი (ეროუსი) | 25 |
| ფიზიკელა (ჯორდანი) | 19 |
| სატო (ჯორდანი) | 5 |
| მაკნიში (ტოიოტა) | 0 |
| იონგი (მინარდი) რბოლაში არ დაუშვეს (107%) | |

**საუკეთესო წრე**

ბარიკელო 1.24,170 (210,987 კმ/სთ)

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 3 მარტი | მალაიზია 17 მარტი | ბრაზილია 31 მარტი | სან მარინო 14 აპრილი | ესპანეთი 28 აპრილი | ავსტრია 12 მაისი | მონაკო 26 მაისი | კანადა 9 ივნისი | ევროპა 23 ივნისი | დ.ბრიტანეთი 7 ივლისი | საფრანგეთი 21 ივლისი | გერმანია 28 ივლისი | უნგრეთი 18 აგვისტო | ბელგია 1 სექტემბ. | იტალია 15 სექტემბ. | აშშ 29 სექტემბ. | იაპონია 13 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი (ფერარი, გერმანია) | 10 | 4 | 10 | 10 | | | | | | | | | | | | | | 34 |
| 2 რ. შუმახერი (უილიამსი, გერმანია) | – | 10 | 6 | 4 | | | | | | | | | | | | | | 20 |
| 3 მონტოია (უილიამსი, კოლუმბია) | 6 | 6 | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | 17 |
| 4 ბატონი (რენო, დ. ბრიტანეთი) | – | 3 | 3 | 2 | | | | | | | | | | | | | | 8 |
| 5 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია) | – | – | – | 6 | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 6 კულთარდი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | – | – | 4 | 1 | | | | | | | | | | | | | | 5 |
| 7 რაიკონენი (მაკლარენი, ფინეთი) | 4 | – | – | – | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 8 ირვაინი (იაგუარი, დ. ბრიტანეთი) | 3 | – | – | – | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 9 ჰაიდფელდი (ზაუბერი, გერმანია) | – | 2 | – | – | | | | | | | | | | | | | | 2 |
| 10 ვებერი (მინარდი, ავსტრალია) | 2 | – | – | – | | | | | | | | | | | | | | 2 |

სალო (ტოიოტა) — 2, მასა (ზაუბერი) — 1 ქულა

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 10 | 4 | 10 | 16 | | | | | | | | | | | | | | 40 |
| 2 უილიამსი | 6 | 16 | 8 | 7 | | | | | | | | | | | | | | 37 |
| 3 მაკლარენი | 4 | – | 4 | 1 | | | | | | | | | | | | | | 9 |
| 4 რენო | – | 3 | 3 | 2 | | | | | | | | | | | | | | 8 |
| 5 იაგუარი | 3 | – | – | – | | | | | | | | | | | | | | 3 |

ზაუბერი — 3; მინარდი — 2; ტოიოტა — 2 ქულა



ამ განსხვავებულით ვინუს უილიამსი მამა რიჩარდს დაალევინებს



დავით ნალბანდიანი თავის პირველ ჯილდოს ეამბორა



მაგი სერნას ნამატჩევმა ემოციებმა შამპანურივით ამოხეთქა

# ახლაც ეტყვის, ხელი სხვა რამესაც მოკიდეო?!

## ქვეშევრდომი მეფისას ეუფლება

**ამელია აილენდი. თიხნარი**
**საპრიზო 585 ათასი $**

**ნახევარფინალი**

**ვინუს უილიამსი (1, აშშ) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 7:5, 6:0; ჟუსტინ ჰენენი (2, ბელგია) — ელენა დოკიჩი (3, იუგოსლავია) 6:2, 4:1 (ტრავმა)**

**ფინალი**

**უილიამსი — ენენი 2:6, 7:5, 7:6 (7:5)**

მეღვრად მოთამაშე ბელგიელი ჟუსტინ ენენის ჩოგანზე დასადებად და კარიერის ოცდამეხუთე, ხოლო წლის მე-4 ტიტულის მოსაპოვებლად ვინუს უილიამსს ერთსეტიანი და ოთხგეიმიანი დეფიციტის აღმოფხვრა დასჭირდა.

პო, ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი შავგოგო ფინალის ერთ საბედისწერო მომენტში სწორედ ასე — 2:6, 0:4 მარცხდებოდა და მეტიც, საკუთარ ჩაწოდებაზე ერთი ბურთის აცილება ანაც მეტოქის ერთი მომგებიანი ჩაგლაჯუნებაღა აკლდა, რათა სამეორსეტო ანგარიში უკვე 0:5 გამხდარიყო.

მაგრამ ყველაფერი, აპრუწუწუნ, პირუკუ მოხდა — აცილებით ენენმა ააცილა, მომგებიანად უილიამსმა ჩააგლაჯუნა და... შეხვედრის დაწყებიდან 2 საათისა და 24 წუთის თავზე ვინუსს თავისი მორიგი განსხვავებული ჩაებღუჯა და გამარჯვებულისთვის კუთვნილ 93-ათასდოლარიან ჩეკსაც მამა რიჩარდის დასანახად აფრიალებდა.

ეგებ ვინმეს არ გახსოვდეთ და, მამა რიჩარდმა სწორედ ზედ ამელია აილენდის „ბაუშ ენდ ლომბ ჩემპიონშიპის" წინ განაცხადა, კარგი იქნება, ჩემი გოგონები ჩოგანზე ხშირად ხელს სხვა რამეს თუ მოკიდებენო. წიგნებს გულისხმობდა, ცხადია. ჰოდა, ამიტომაც იყო, ამ ტურნირში გამარჯვებას ვინუსისთვის დამატებითი მუღამიც რომ ჰქონდა.

თუმცა ყველა მაინც იმ ჯიგარმა და შეუპოვრობამ მოხიბლა, რითიც მან ჩოქბჯენიდან ამოხვლა და გაუკულმართებული მატჩის წალმა შეტრიალება მოახერხა.

„ეგეთი რამე მართლაც არასოდეს მინახავს — ვინუსის საარაკო გარჯას ნამატჩევს ენენიც ეხოტბებოდა — 6:2, 4:0-მდე კინკილა შეცდომაც არ დამეშვა და ვფიქრობდი, ეგაა, ცოტაც დამრჩა-მეთქი. თურმე, სადა ვბანაობდი... ვინუსი დიადი ჩემპიონია და მის მიმართ თავის დახრის გარდა არაფერი დამრჩენია".

თავად ვინუსი კი აი, ასეთ რამეებს ამბობდა: „ვინ იცის, ადრე რამდენი ასეთი თამაში წამიგია. მაგრამ ეს ადრე იყო, სადღაც 2-3 წლის წინ. მერე კი, როცა წაგება ჩემთვის უკვე აუტანელი გახდა, როცა გაუთავებელი დამარცხებებისგან და გულისხეთქვისგან უბრალოდ დავიღალე, ჩემს თავს ვუთხარი, ვინუს, ეგრე გაგრძელება აღარ შეიძლება-მეთქი...

ჟუსტინი დღეს დიდებულად თამაშობდა, 0:4-ზე თითქმის აღარაფრის იმედი აღარ მქონდა, ერთადერთი, მეთქი, ძალიან არ შევრცხვე, 0:6 და რამე. ამიტომაც იყო, მე-5 გეიმის გადასარჩენად თავი რომ მოვიკალი. მერე და მერე კი როგორღაც დავიჯერე და რადგან მატჩის ასეთ შეტრიალებას ისიც არ ელოდა, მივხვდი, რომ წამგები აღარ ვიყავი".

2000 წლის იანვრიდან მოყოლებული ვინუსმა 17 ფინალში ითამაშა და აქედან მხოლოდ ერთში, იმავე წელს ავსტრიულ ლინცში წააგო. ენენთან ნათამაშები 6 შეხვედრიდან კი მას 5-ში უმარჯვია, ამასთან ფინალში 4-ჯერ დაპირისპირებია და 4-ჯერვე მომგებიანად. ამათში შარშან, უიმბლდონში მოგებული სამსეტიანი ბრძოლაც ითვლება.

ამელია აილენდში მოგებულმა 93 ათასმა ვინუსის წლევანდელი მონაგარი ნახევარ მილიონს გადააცილა, სულ კი ოტროველა, მაგრამ ოსტატ და გულკეთილ გოგონას მამა რიჩარდის ქისა 9,8 მილიონი დოლარით გაუჩეჩქავს.

ამის მერეც ეტყვის, ხელი სხვა რამესაც მოკიდეო?!

**ეშტორილი. თიხნარი**
**საპრიზო 625 ათასი $**

**კაცები**

**ნახევარფინალი**

**დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — კარლოს მოია (3, ესპანეთი) 6:4, 5:7, 6:4; იარკო ნიემინენი (ფინეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 7:5, 6:1**

**ფინალი**

**ნალბანდიანი — ნიემინენი 6:4, 7:6 (7:5)**

**ქალები**

**ნახევარფინალი**

**მაგი სერნა (4, ესპანეთი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:3, 6:3; ანკა ბარნა (გერმანია) — დინარა საფინა (რუსეთი) 7:6 (8:6), 6:4**

**ფინალი**

**სერნა — ბარნა 6:4, 6:2**

არმენოარგენტინელმა დავიდ ნალბანდიანმა და ესპანელმა მაგი სერნამ ეშტორილში თავიანთი პირველი ტიტულები მოიპოვეს.

20 წლის ქერათმიანმა დავიდმა თავისსავე კბილა ნიემინენს აჯობა, იმ ნიემინენს, მეოთხედფინალიდან მარატ საფინის დაფრენა რომ იკისრა და სიცქაფისა და სიმარდის გამო „მფრინავ ფინელს" რომ უწოდებენ.

ამ გამარჯვებამ ნალბანდიანის პირადი ბიუჯეტი 68 300 დოლარით გაამდიდრა. მასაც და ნიემინენსაც ფინალში აქამდე თითო-თითოჯერ, პირველს შარშან სექტემბერში პალერმოში, მეორეს კი იმ დროსვე პორტუგალიურ მაიაში ეთამაშათ.

სხვათა შორის, დავიდმა ამ ტურნირიდან ისეთი სახელიანი და განთესილი ესპანელები დაიფრინა, ხუან კარლოს ფერერო (2) და კარლოს მოია (3) რომ არიან, ხოლო ფინელზე კიდევ იმის თქმაც შეიძლება, რომ ბოლო 21 წლის განმავლობაში იგი პირველი „ათასტბის ქვეყნელია", ვინაც სა-ATP-ო ფინალში გასვლა მოახერხა.

მათი ნამატჩევი ფრაზები კი ერთობ ტრაფარეტული გახლდათ. არმენოგაუჩო „მომენტის დაუჯერებლობასა და პირველი ტიტულის ფაქტორზე" საუბრობდა, ხოლო მეორე გამორჩევით ხაზგასმავდა „პირველ სათიხნარე ფინალში მონაწილეობის უდიდეს მნიშვნელობას".

რაც შეეხება მდედრიონს, მესამე ნომრად განთესილმა ბუთხუზა მაგი სერნამ თავის მეოთხე სა-WTA-ო ფინალში ითამაშა და, როგორც იქნა, იმარჯვა კიდეც. გერმანელი ანკე ბარნას ძლევამ მაგის 22 ათასი დოლარი მოუტანა.

ეგ ის ბარნაა, 24 წლისა ქალთა საუკეთესო 70-ეულში ახლა პირველად რომ შევა, ფინალის გზაზე ტურნირის 1999 წლის ჩემპიონი, კატარინა სრებოტნიკი და შარშანდელი გამარჯვებული ანხელეს მონტოლიო რომ ჩამოიცილა და აქამდე WTA-ის ნახევარფინალამდე არასოდეს გაუღწევია.

სხვათა შორის, სერნამ ბარნა პირველად წინა კვირაშიც დაჯაბნა, როცა პორტუს თიხნარზე შეეყარა. მაშინ სერნას, ვაგლახ, სწორედ მონტოლიომ უყელა.

**კასაბლანკა. თიხნარი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**ნახევარფინალი**

**იუნეს ელ აინაუი (2, მაროკო) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:3, 7:6 (7:2); გილერმო კანასი (1, არგენტინა) — ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) 7:5, 6:4**

**ფინალი**

**აინაუი — კანასი 3:6, 6:3, 6:2**

ეს სულ მეორედ მოხდა, რაც რომ ტურნირის 18-წლიან ისტორიაში მეფე ჰასან II-ის ჯილდო ამ მრისხანე და მორჭმული მონარქის ქვეშევრდომმავე მიისაკუთრა. იუნეს ელ აინაუიმდე, ვისაც კასაბლანკურ ფინალში 1993 წელსაც ეთამაშა, თასს 1997-ში მეორე ჩაუქი მაროკოელი, სახელოვანი ჰიშამ არაზი შესწვდენია.

შარშანდელი ჩემპიონისა და ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი გილერმო კანასის წინააღმდეგ 30 წლის აინაუის თავისი დახვეწილი ოსტატობის გარდა ალ-ამალის 5-ათასიანი, პირთამდე გადავსებული კორტის იმედიც ჰქონდა. იგი არც პირველმა დაალალატა და არც მეორემ.

განსაკუთრებით სასეირო მესამე სეტი იყო, როცა აინაუიმ შმაგი თამაშის ტაქტიკა არჩია, არგენტინელს ორი ჩაწოდება გაუტეხა და მოღრიალე ქომაგის თვალწინ პირველ სეტში უშნოდ შექანებული სასწორი დასტურ თავის სასარგებლოდ გადახარა.

გამარჯვებულისთვის დათქმული 48 850 დოლარის გარდა აინაუიმ კარიერის მეოთხე, ხოლო სეზონის მეორე ტიტულიც მოინაგრა. მშობლიური მიწის გარდა წლეულს მან იანვარში, ყატარქალაქ დოჰაშიც იმარჯვა.

„ეს ფანტასტიკურია — ყიჟინობდა ნამატჩევს არაბი — თუმცა პირველ სეტში ჩავფლავდი, მაგრამ მილეთი მაინც სასწაულად მქომაგობდა და ისე შემაგულიანა, რომ კანასი კი არა, დღეს ბარე ორი მეჩოგნე ვერ დამიდგებოდა".

**ლევან ბელაურაძე**



**NHL**
**რეგულარული ჩემპიონატი**

**12 აპრილი**

ბუფალო 1:3 ვაშინგტონი 0:1 1:1 0:1
კოლუმბუსი 5:4 ატლანტა 1:1 2:1 1:2 1:0
ნიუჯერსი 5:2 მონრეალი 1:1 3:0 1:1
ტამპა 1:3 აილენდერსი 1:0 0:1 0:2
ფლორიდა 1:3 კაროლინა 1:0 0:1 0:2
პიტსბურგი 2:5 ტორონტო 0:2 1:2 1:1
დალასი 3:1 ჩიკაგო 0:1 1:0 2:0
ედმონტონი 0:2 კალგარი 0:0 0:1 0:1
ფინიქსი 7:1 მინესოტა 2:0 5:0 0:1
ანაჰაიმი 1:3 კოლორადო 0:1 1:1 0:1

**13 აპრილი**

კალგარი 1:4 ვანკუვერი 1:1 0:1 0:2
ოტავა 2:5 ტორონტო 0:2 1:1 1:2
მონრეალი 0:3 ბუფალო 0:0 0:1 0:2
ბოსტონი 7:1 პიტსბურგი 2:1 4:0 1:0
ვაშინგტონი 3:4 ნიუ ჯერსი 1:2 2:1 0:0 0:1
სან ხოსე 3:1 ლოს ანჯელესი 0:0 2:0 1:1
ფილადელფია 2:1 რეინჯერსი 1:0 0:0 1:1
სენტ ლუისი 3:2 დეტროიტი 1:2 1:0 0:0

**14 აპრილი**

აილენდერსი 3:1 ფილადელფია 0:1 1:0 2:0
მინესოტა 2:4 ედმონტონი 1:0 0:2 1:2
ატლანტა 2:2 კაროლინა 1:1 0:0 1:1 0:0
ფლორიდა 2:3 ტამპა 1:0 1:2 0:0 0:1
ჩიკაგო 2:0 კოლუმბუსი 0:0 1:0 1:0
კოლორადო 2:2 დალასი 0:0 0:1 2:1 0:0
დეტროიტი 3:5 სენტ ლუისი 0:1 1:2 2:2
ლოს ანჯელესი 1:0 ანაჰაიმი 0:0 0:0 1:0
ფინიქსი 6:4 ნეშვილი 1:1 1:3 4:0

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსტონი | 82 | 43 | 6 | 9 | 24 | 236:201 | 101 |
| ფილადელფია | 82 | 42 | 10 | 3 | 27 | 234:192 | 97 |
| კაროლინა | 82 | 35 | 16 | 5 | 26 | 217:217 | 91 |
| ტორონტო | 82 | 43 | 10 | 4 | 25 | 249:207 | 100 |
| აილენდერსი | 82 | 42 | 8 | 4 | 28 | 239:220 | 96 |
| ნიუ ჯერსი | 82 | 41 | 9 | 4 | 28 | 205:187 | 95 |
| ოტავა | 82 | 39 | 9 | 7 | 27 | 243:208 | 94 |
| მონრეალი | 82 | 36 | 12 | 3 | 31 | 207:209 | 87 |
| ვაშინგტონი | 82 | 36 | 11 | 2 | 33 | 228:240 | 85 |
| ბუფალო | 82 | 35 | 11 | 1 | 35 | 213:200 | 82 |
| რეინჯერსი | 82 | 36 | 4 | 4 | 38 | 227:258 | 80 |
| პიტსბურგი | 82 | 28 | 8 | 5 | 41 | 198:249 | 69 |
| ტამპა | 82 | 27 | 11 | 4 | 40 | 178:219 | 69 |
| ფლორიდა | 82 | 22 | 10 | 6 | 44 | 180:250 | 60 |
| ატლანტა | 82 | 19 | 11 | 5 | 47 | 187:288 | 54 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 82 | 51 | 10 | 4 | 17 | 251:187 | 116 |
| კოლორადო | 82 | 45 | 8 | 1 | 28 | 212:169 | 99 |
| სან ხოსე | 82 | 44 | 8 | 3 | 27 | 248:199 | 99 |
| სენტ ლუისი | 82 | 43 | 8 | 4 | 27 | 229:188 | 98 |
| ჩიკაგო | 82 | 41 | 13 | 1 | 27 | 216:207 | 96 |
| ფინიქსი | 82 | 40 | 9 | 6 | 27 | 228:210 | 95 |
| ლოს ანჯელესი | 82 | 40 | 11 | 4 | 27 | 214:190 | 95 |
| ვანკუვერი | 82 | 42 | 7 | 3 | 30 | 254:211 | 94 |
| ედმონტონი | 82 | 38 | 12 | 4 | 28 | 205:182 | 92 |
| დალასი | 82 | 36 | 13 | 5 | 28 | 215:213 | 90 |
| კალგარი | 82 | 32 | 12 | 3 | 35 | 201:220 | 79 |
| მინესოტა | 82 | 26 | 12 | 9 | 35 | 195:238 | 73 |
| ანაჰაიმი | 82 | 29 | 8 | 3 | 42 | 175:198 | 69 |
| ნეშვილი | 82 | 28 | 13 | 0 | 41 | 196:230 | 69 |
| კოლუმბუსი | 82 | 22 | 8 | 5 | 47 | 164:255 | 57 |

პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები

**პლეი ოფში ერთმანეთს შეხვდებიან**

**აღმოსავლეთი**

ბოსტონი — მონრეალი
ფილადელფია — ოტავა
კაროლინა — ნიუ ჯერსი
ტორონტო — აილენდერსი

**დასავლეთი**

დეტროიტი — ვანკუვერი
კოლორადო — ლოს ანჯელესი
სან ხოსე — ფინიქსი
სენტ ლუისი — ჩიკაგო


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge